პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

18 აპრილი **ორშაბათი** 2011

№ 089 (13 386) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერნეტ-ტოტალიზატორი
www.liderbeti.com
LIDERBETI
ლიდერი ინტერნეტ სივრცეში

## ჩემპიონობა თითქმის



10

რეალი-ბარსელონა 1:1. პენალტი იქით, პენალტი აქეთ



9

დირკ კუიტის გოლი 112-ე წუთზე 90-წუთიან მატჩში

## გოლიანი ლეგიონი



კაშიამ გრონინგენს, ატალანტას მჭედლიძემ



11



5

ბაიერნი: ცალი ფეხით ლიგაში. ბორუსია: ხელის გაწვდენა სინამდე

## სად უფრო მალე ითქმის?



6

რობინიო და მილანი სკუდეტოსკენ მიფრინავენ



## საქართველო და რუსეთი: ჭაბუკი და ნადარა 38:3



15

## არმიამ ხარებთან გაიხარა

**დღევანდელი ლელო 20-გვერდიანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთელი კლუბის წინააღმდეგ

# ჭანტურია vs ზესტაფონი 29 000:0

## არბიტრაჟში მოსარჩელეს გამოესარჩლა, მაგრამ მთავარი ახლა იწყება: როგორ აღსრულდება გადაწყვეტილება?

37 წლის გია ჭანტურიასა და "ზესტაფონის" ხანგრძლივი დავა საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში პირველის სასარგებლოდ გადაწყდა. სხდომა პარასკევს გაიმართა.

**გია ჭანტურია** თავის ყოფილ კლუბ "ზესტაფონს" კონტრაქტის განყვეტის გამო ედავებოდა და კომპენსაციის სახით 29 ათას ლარს ითხოვდა. ეს თანხა მას უნდა აელო კონტრაქტის დასრულებამდე, ანუ მისი გაშვებიდან 14 თვის განმავლობაში, ფეხბურთელის ხელფასი თვეში 2000 ლარს შეადგენდა.

**ჯიმშერ ტყებუჩავა,** საფეხბურთო დავების საფეხბურთო არბიტრაჟის დირექტორი: *"15 აპრილს არბიტრაჟში გია ჭანტურიასა და "ზესტაფონის" დავა განიხილეს თავმჯდომარე ეთერ ხორნაულმა, აგრეთვე არბიტრაჟის წევრებმა ზურაბ ბიწაძემ და გია აბაშიძემ, რომელთაც გადაწყვიტეს: "ზესტაფონს" ჭანტურიას სასარგებლოდ დაეკისრა 14 თვის მიუღებელი შემოსავლის, 29 ათასი ლარის, აგრეთვე ჭანტურიას მიერ საქმის აღძვრისას გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის - 725 ლარის გადახდა. საქმის განხილვას არ დასწრებია "ზესტაფონის" წარმომადგენელი, არადა, მას წინასწარ გავუგზავნეთ დადგენილება არბიტრაჟის კომპეტენციის თაობაზე და თუ განხილვაზე თანახმა არ იყვნენ, შეეძლოთ კანონის საფუძველზე გაესაჩივრებინათ".*

"ჭანტურიაVS"ზესტაფონი" არბიტრაჟის განხილული ერთადერთი დავა არ იყო. არბიტრაჟმა პირველად **ვალტერ გუჩუას** სარჩელი განიხილა, რომელმაც "სამტრედიას" ხელფასის გადაუხდელობისთვის უჩივლა. ტყებუჩავას თქმით, "სამტრედია" ფეხბურთელს 3300 ლარის გადახდაზე უპრობლემოდ მოურიგდა, თანხას კი აგვისტოს დასაწყისში დაუფარავს.

ყველაზე საინტერესო კი ახლა დაიწყება: როგორ აღსრულდება არბიტრაჟის გადაწყვეტილება? "ზესტაფონისა" და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტების, **ილია კოკაისა** და **ზვიად სიჭინავას** ამასწინანდელი პოლემიკის დროს კოკაიამ "მსოფლიო სპორტთან" ინტერვიუში განაცხადა: *"უნდა დაფუძნებულიყო დამოუკიდებელი სპორტული არბიტრაჟი. როცა მას რომელიმე კლუბი, ფედერაცია ან პროფლიგა აფუძნებს, ეს კანონის დარღვევაა და შემდეგ მეპატიჟებიან, მოდი და ამ ჩემს არბიტრაჟში გავარჩიოთ საქმეო. ეს არბიტრაჟი აპირებს ჭანტურიასა და "ზესტაფონის" დავის გარჩევას. გეკითხებით - სად აპირებენ მერე ამ გადაწყვეტილების აღსრულებას? მერწმუნეთ, არც ერთი სასამართლო მათი განაჩენის აღსრულებაში მონაწილეობას არ მიიღებს".*



გია ჭანტურია



ილია კოკაია



ილია კოკაია (მარცხნივ) და ზვიად სიჭინავა

ამას სიჭინავამ პრესკონფერენციაზე უპასუხა – არბიტრაჟი ფედერაციამ იმიტომ დააფუძნა, რომ ამას ფიფა ითხოვს, არბიტრაჟის დაფუძნებაში კი "ზესტაფონის" წარმომადგენელიც მონაწილეობდაო.

აპირებს კი "ზესტაფონი" გადაწყვეტილებას დაემორჩილოს? ამ კითხვით კლუბის პრესატაშე **სერგო ფუტკარაძეს** მივმართეთ.

*"საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებას გავეცნობით და უახლოეს დღეებში "ზესტაფონის" პოზიციას აუცილებლად გაცნობებთ" - გვითხრა მან.*

რა მოხდება, თუ "ზესტაფონი" არბიტრაჟის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილება, საინტერესოა, ვინ აღასრულებს ვერდიქტს?

ჯიმშერ ტყებუჩავა: *"არბიტრაჟის შექმნაზე მემორანდუმს პირველად ხელი "ზესტაფონის" წარმომადგენელმა მოაწერა. ჩვენ დავას მხოლოდ საფეხბურთო სუბიექტებს შორის განვიხილავთ, რაც არბიტრაჟის დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხზე მეტყველებს. საფეხბურთო არბიტრაჟი 2001 წელს თავად ფიფამ დააფუძნა, პოსტსაბჭოურ საფეხბურთო სივრცეში კი ამ საქმეში საქართველოა პიონერი.*

*რაც შეეხება აღსრულებას: ჩვენი გადაწყვეტილება საბოლოოა და ვერ გასაჩივრდება. თუ "ზესტაფონი" თანხას არ გადაიხდის, ჭანტურიას ადვოკატს აქვს უფლება, აღსრულების თაობაზე ჯერ მიმართოს ფეხბურთის ფედერაციას, რომელსაც შეუძლია ყველა სახის სანქციის გამოყენება - კლუბისთვის ტრანსფერების, ლიცენზიის შეჩერება და სხვა.*

*თუმცა მხარეები მაქსიმალურად უნდა შეეცადონ, თავი შეიკავონ სამოქალაქო სასამართლოს ჩარევისაგან. თუ ფედერაციის გადაწყვეტილებაც ვერ იმოქმედებს, ფეხბურთელმა უნდა მიმართოს ფიფას და უეფას, რომ მხარე არ ასრულებს გადაწყვეტილებას, რაც ქართული ფეხბურთის სახელისთვის მომგებიანი არ იქნება.*

*ბოლოს კი, თუ ყველა სპორტული გზა ამოიწურება, არბიტრაჟის შესახებ კანონით, ჭანტურიას შეუძლია მიმართოს სამოქალაქო სააპელაციო სასამართლოს და არსებულ გადაწყვეტილებაზე საალსრულებო ფურცლის ამოწერა მოითხოვოს. თუმცა დასაშვებია, რომ აღსრულების უფლება არც გასცენ".*

**მერაბ მამულაშვილი**

## გაგრძელება იქნება

მეტოქე



## ოლიჩი: ქართველებს გაუმართლათ

**დიდი** ხანია, **ივიცა ოლიჩს** ფეხბურთი აღარ უთამაშია. ხორვატთა საუკეთესო თავდამსხმელი საქმეს მძიმე ტრავმის გამოა ჩამოშორებული, მაგრამ მიუნხენის "ბაიერნისა" და ხორვატიის ნაკრების თამაშებს სისტემატურად ადევნებს თვალს.

რუსულ "სპორტ-ექსპრესს" მან საქართველო-ხორვატიის მატჩის ყურებისას მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარა და მარცხის მიზეზების ახსნას შეეცადა.

*"ამ ნაგებამ საქმე ძალიან გაგვირთულა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის კარგ შანსს მაინც ვინარჩუნებთ. მთავარია, ასეთი გაუთვალისწინებელი დანაკარგი მეორედ აღარ განვიცადოთ. თბილისში ცუდად ვითამაშეთ და გამარჯვებას არ ვიმსახურებდით, მაგრამ მარცხი მაინც ნამეტანი იყო. მეტოქეს ძალიან გაუმართლა"*, - ამბობს ოლიჩი.

მან იმედი გამოთქვა, რომ მალე ნაკრებისთვის ძველებურად საჭირო ფიგურა იქნება და გუნდის წარმატებაში წვლილს გოლებით შეიტანს.

ხორვატიის ნაკრებთან დაკავშირებით ბარემ იმასაც გეტყვით, რომ 3 ივნისს სპლიტში საქართველოს წინააღმდეგ ვერ ითამაშებს **სლავენ ბილიჩის** გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ამ შესარჩევ ციკლში ოთხი გოლის გამტანი **ნიკო კრანჩარი**. თბილისში ხორვატთა შემტევმა ნახევარმცველმა ყვითელი ბარათი მიიღო, რომელიც მისთვის ამ შესარჩევში მეორე იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ნატურალიზებული

## ოვონიკოკოსთვის ქართული პასპორტი ევროპის ბილეთია

### ნეტავ როგორ არის ნიგერიულად ზოგი ჭირი მარგებელიაო

*„გაგრას“ თავდამსხმელმა აბაიომი ოვონიკოკომ საქართველოს მოქალაქის პასპორტი აიღო. სხვაგვარად შეუძლებელი ჩანდა იმ პრობლემების მოგვარება, რომელთა გამოც ევროპაში გადასვლას ვერ ახერხებდა"* – გვითხრა ფიფას აგენტმა, საქართველოს მოქალაქე **მამუკა ამიროვმა**, რომელიც "გაგრასთან" და "ზესტაფონთან" თანამშრომლობს.

18 წლის ნიგერიელ ფორვარდს დეკემბერში ორ კლუბში, ფრანგულ „რენსა“ და ბელგიურ „გენკში“ იწვევდნენ. ცხადია, საფრანგეთს ბელგიაზე ბევრად უფრო მიმზიდველი საფეხბურთო ლიგა აქვს და კლუბმა და ფეხბურთელმა თავდაპირველად ფრანგული ვარიანტი ამჯობინეს. მიუხედავად იმისა, რომ "გაგრამ" ყველა საჭირო საბუთი წარადგინა, 27 დეკემბერს საფრანგეთის საელჩომ **ოვონიკოკოს** ვიზაზე უარი უთხრა.

შემდეგ ნიგერიელს ბელგიაში ელოდნენ: „გენკის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი **რონალდ იანსენი** ქართული კლუბის თავკაცებს ყოველდღე უკავშირდებოდა და როდესაც „რენის“ ვარიანტის ჩაშლის ამბავი შეიტყო, აბაიომის ოფიციალური მიწვევა გაუგზავნა.

ოვონიკოკომ საბუთები ჰოლანდიის საკონსულოში შეიტანა, რომელიც ბელგიურ ინტერესებს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზეც, მაგრამ ამჯერადაც უარი მიიღო და მაშინ გადაწყვიტეს "გაგრამ" და ოვონიკოკომ საქართველოს პასპორტის აღება.

ამიროვი დარწმუნებულია, რომ 18 წლის ნიგერიელით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელებიც დაინტერესდებიან და ის გუნდს გააძლიერებს.

*"ასეთი საინტერესო ფეხბურთელი საქართველოში ბევრი არ მეგულება. თუ ადრე მას ნიგერიის პასპორტი აბრკოლებდა, ახლა ევროპაში ნაკლები პრობლემა შეექმნება და დარწმუნებული ვარ, რომელიმე ცნობილ ევროპულ კლუბში ჩაირიცხება. ქართული ანდაზისა არ იყოს, ზოგი ჭირი მარგებელია, დარწმუნებული ვარ, ოვონიკოკო საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებსაც გამოადგება"* – ამბობს ამიროვი.

მანვე დაადასტურა, რომ ბელგიური "ლოკერენის" სპორტული დირექტორი **ვილი რეინდერსი** საქართველოს ოვონიკოკოთი დაინტერესების გამო ესტუმრა: *"დიდი ხანია, ეს კლუბი ნიგერიელით დაინტერესდა, მაგრამ "ლოკერენის" გარდა, ოვონიკოკოს გადაბირება კიდევ შვიდ ევროპულ კლუბს სურს. თუმცა ჯერ მათზე ლიად ვერ ვილაპარაკებ, ზაფხულში ყველაფერს შეიტყობთ".*

**მერაბ მამულაშვილი**



აბაიომი ოვონიკოკო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში გადაბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# კობიაშვილის საიდუმლო ენა

## რუსებმა, ჰერტას ძალა ტუდა-სუდაშიაო


ლევან კობიაშვილი

ოთხი შეხვედრაც და, იმედია, **ლევან კობიაშვილი** და მისი ბერლინის "ჰერტა" ბუნდესლიგას დაუბრუნდებიან. 30-ე ტურში ბერლინელებმა "ოსნაბრუკს" სტუმრად 4:0 მოუგეს და ეს იმედი კიდევ უფრო რეალური გახდა - ოთხ ტურში "ჰერტას" სამი ქულაც ჰყოფნის, რადგან მესამეადგილოსან "ბოხუმს" გვარიანად უსწრებს.

რუსული გაზეთი "არგუმენტი ნედელი" კი დარწმუნებულია, რომ ბერლინელთა და 33 წლის კობიაშვილის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არა სათამაშო ძალა, არამედ კლუბში რუსულის მცოდნეთა სიმრავლეა და ასეთ სახალისო ამბავს მოგვითხრობს.

*"ბერლინის "ჰერტას" ფეხბურთელებმა წარმატების საიდუმლო გაამხილეს. როგორც გაირკვა, მათ არა მხოლოდ საფეხბურთო ოსტატობა, არამედ რამდენიმე ფეხბურთელის რუსული ენის ცოდნაც ეხმარება.*

ეს მით უფრო გასაოცარია, რომ კლუბის ღირსებას არც ერთი რუსი ფეხბურთელი არ იცავს. ყველაზე უკეთ რუსული ჩეხმა **რომან ხუბნიკმა** იცის, რომელიც "მოსკვაში" თამაშობდა; აგრეთვე საქართველოს ნაკრების წევრმა, ბერლინელი ფანების ფავორიტმა **ლევან კობიაშვილმა**. ქართველი და ჩეხი საგარეო შეხვედრებისას სასტუმროში მუდამ ერთ ოთახში არიან.

*"აქედან დაიწყო ყველაფერი. შევნიშნეთ, რომ ერთმანეთს რუსულად მშვენივრად ვუგებდით. ამიტომ, როდესაც მოედანზე სწრაფი და მოულოდნელი გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო, ერთმანეთს სასურველ გაგრძელებას რუსულად ვთავაზობთ. ეს მოსახერხებელია, რადგან ბუნდესლიგაში ჩვენი მოწინააღმდეგეების უმრავლესობას ჩვენი რეპლიკების გაგება არ შეუძლია," – ამბობს კობიაშვილი.*

*მათ გარდა, "ჰერტაში" რუსული იციან ხორვატმა ანდრე მიატოვიჩმა და ბულგარელმა ვალერი დომოვჩისკიმ, ფაქტობრივად, ნახევარმა გუნდმაო, ხუმრობენ ფეხბურთელები.*

*ასე გადაიქცა ბერლინელთა ხელში "საიდუმლო ენა" საშიშ ძალად", – წერს "არგუმენტი ნედელი".*

**მერაბ მამულაშვილი**

# სირბილაძე კოკოლაში კონტრაქტით გააჩერეს

## არადა, წინადადებების კოლექცია ჰქონდა


ირაკლი სირბილაძე

გასული სეზონის ფინეთის პირველი ლიგის საუკეთესო თავდამსხმელი, ბომბარდირი და ფეხბურთელი, 29 წლის **ირაკლი სირბილაძე** იმედოვნებდა, რომ ამავე ქვეყნის უმაღლეს (კიუსიუსლიგა), ან სხვა ქვეყნის უკეთეს კლუბში გადავიდოდა, მაგრამ კოკოლას "კოპევემ" გაშვებაზე უარი უთხრა.

სირბილაძე კლუბის პოზიციით უკმაყოფილოა, მაგრამ ამბობს, რომ ეს მის განწყობაზე გავლენას მაინც ვერ მოახდენს.

*"წლეულს საუკეთესო შანსი მქონდა, ბევრად ძლიერ კლუბსა და ლიგაში მეთამაშა, მაგრამ "კოპევეს" პრეზიდენტმა ჩემი გაშვება კატეგორიულად იუარა. ძირითადი შემადგენლობის შვიდ ფეხბურთელს კონტრაქტის ვადა ამოეწურა და წავიდა, ჩემი დატოვების უპირველესი მიზეზი კი სწორედ ეს გახდა, შენც რომ გაგიშვათ, დიდი პრობლემები შეგვექმნებაო.*

*არადა, ძალიან მიმზიდველი წინადადებები მივიღე. მიწვევდა პიეტარსაარის "იარო", სადაც წლეულს **გიორგი ხიდეშელი** ჩაირიცხა. გუნდის მწვრთნელმა კონტრაქტი გასული წლის ბოლოს შემომთავაზა. "იარო" ძლიერი კლუბია, გასული სეზონი მეხუთე ადგილზე დაასრულა. უმაღლესი ლიგის ვაასას ვპსის წარმომადგენელი 2010 წლის ზაფხულში მიწვევდა, ზამთრის შესვენების შემდეგ ფინეთში დაბრუნებულს კიდევ დამიკავშირდა. "მარიაჰამინშიც" მიმიწვიეს. დაინტერესებული კლუბების უმრავლესობა უმაღლესის კლუბი იყო, სხვა ვარიანტებიც მქონდა შვედეთიდან, ნორვეგიიდან, დანიიდან.*

*რა თქმა უნდა, დარჩენა აღარ მინდოდა, რადგან ამის შემდეგ ძველებურად გულიანად და მთელი მონდომებით თამაში ძნელია. სტიმულიც არ მაქვს, მაგრამ კონტრაქტი მაკავშირებს და ვერაფერს ვახერხებ. საკუთარ თავს ისევ უკეთეს კლუბში გადასვლის იმედით უნდა ვაჯობო, ვითამაშო და მუდამ ფორმაში ვიყო. რომ გავჩერდე, ისევ მე დავზარალდები და მერე ვინლა მიმიწვევს?*

*თან წლეულს ძალიან დაძაბული ჩემპიონატი გველის, რადგან ლიგიდან ხუთი გუნდი ვარდება და დიდი ბრძოლა მოგვიწევს. გითხარით კიდეც, წელს შვიდი წასული ფეხბურთელის ნაცვლად გამოუცდელი მოთამაშეები მოიყვანეს, თუ არ ჩავთვლით ნიკა კილაძეს. ამიტომ უმაღლესში გადასვლისთვის ბრძოლა ძალიან გაგვიჭირდება.*

*კილაძის დამატება კი "კოპევეს" წაადგა, პერსპექტიული ფეხბურთელია და ვფიქრობ, შეუძლია გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდეს,"* – ამბობს სირბილაძე

**მერაბ მამულაშვილი**

U17

# პრეზიდენტის თასზე მხოლოდ 16-ს ითხოვენ

## ყაზახეთში სომხეთით დავიწყებთ

17-წლამდელთა ახალი თაობის ნაკრები **ვასილ მაისურაძის** ხელმძღვანელობით პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოლდოვაში, მასპინძლების გარდა, შვედ და ბულგარელ თანატოლებთან ითამაშებს.

მაისურაძემ გუნდი შარშან ჩაიბარა და სელექციის პროცესიც დაიწყო. ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა საქართველოს ყველა რეგიონი მოიარა და არაერთ კანდიდატს დააკვირდა. ნაკრებში ახალი სახეების გამოჩენა ჯერაც არ არის გამორიცხული, მაგრამ ოფიციალურ მატჩებამდე არცთუ დიდი დრო დარჩა და გუნდის ბირთვიც უკვე ჩამოყალიბებულია.

წლეულს ყოველ უქმეებზე ტარდებოდა საკონტროლო მატჩები, სადაც მწვრთნელები ახალ კანდიდატებს აკვირდებოდნენ. ისინი თავიდანვე შეაშფოთა იმან, რომ ამ ასაკში ნიჭიერი ბიჭები მხოლოდ დედაქალაქში მოიძებნებიან. დღეისთვის ნაკრების კანდიდატთა აბსოლუტური უმრავლესობა თბილისის საფეხბურთო სკოლებს წარმოადგენს, რეგიონელებიდან მხოლოდ ორი ზუგდიდელია.

ზამთარში სანაკრებო შეკრების მოწყობა ვერ მოხერხდა, სამაგიეროდ, ნაკრების წევრებსა თუ კანდიდატებს ერთად ყოფნის საშუალება თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე მიეცათ. მწვრთნელთა შეფასებით, გუნდმა "კუშადასის თასზე" ნორმალური ფეხბურთი აჩვენა, სადაც რვაგუნდიან ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა.

შემდეგი საერთაშორისო შეჯიბრება კი ქართველ 17-წლამდელებს ყაზახეთში ელით, ისინი იქ 23 აპრილს გაემგზავრებიან. "პრეზიდენტის თასზე" ჩვენი და მასპინძელთა 17-წლამდელების გარდა, უკრაინის, თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანისა და უზბეკეთის ნაკრებები ითამაშებენ.

ყაზახეთში გამგზავრებამდე ნაკრები ზუგდიდში "ბაიას" ბაზაზე გაივლის შეკრებას. *"ახალს არაფერს ვიტყვი, თუ კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს "ბაიას" ბაზის შესანიშნავ მდგომარეობას. აქ მოსამზადებლად სრულყოფილი პირობები გვაქვს"*, - ამბობს მაისურაძე.

ზუგდიდში მან 21 ფეხბურთელი იახლა. შეკრებაზე ვერ წავიდნენ თბილისის "ლოკომოტივის" წევრები - ისინი საკუთარ გუნდთან ერთად ბარსელონის საერთაშორისო ტურნირზე არიან და ვისაც მათგან მაისურაძე "პრეზიდენტის თასისთვის" შეარჩევს, ნაკრებს პირდაპირ ყაზახეთში შეუერთდება.

თითოეულ გუნდს განაცხადში 16 ფეხბურთელის (მათ შორის ორი მეკარის) შეყვანის უფლება აქვს. 16-კაციანი განაცხადი შეკრების ბოლოს დადგინდება, მანამდე კი გუნდი საკონტროლო მატჩებს ჩაატარებს.

"პრეზიდენტის თასის" ჯგუფურ ეტაპზე ჩვენების განრიგი ასეთია: 26 აპრილი - სომხეთი, 27 - თურქეთი, 29 - უკრაინა. 1-ელ მაისს ფინალში ჯგუფების გამარჯვებულები ითამაშებენ, მეორეადგილოსნები კი მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ.

გადაწყვეტილია აგვისტოში პოლანგის ტრადიციულ ტურნირზე წასვლაც.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიტუაცია


გიორგი არევაძე

# ბათუმი? არა, მადნეული ისევ ბოლნისს მიხედავს

*„კომპანია "მადნეული" ბათუმის "დინამოს" დააფინანსებს, ამ საკითხზე ოფიციალურ გადაწყვეტილებას მალე შეიტყობთ"* - ასეთი ხმები კარგა ხანს აქტიურად ვრცელდებოდა, ბოლო დღეებში კი ლამის ფაქტად ასაღებდნენ.

შეეფერება თუ არა ეს ინფორმაცია სინამდვილეს? ამ კითხვით **გიორგი არევაძეს** მივმართეთ, რომელიც "მადნეულს" ბოლნისის "სიონში" წარმოადგენს და კომპანიაში სპორტულ მიმართულებას კურირებს.

*„მსგავსი საკითხი რომ წამოჭრილიყო, აუცილებლად მეცოდინებოდა. ახლა კი კომპანია "სიონს" პატრონობს და მომავალ სეზონშიც იმავეს ვაპირებთ. ფეხბურთის ფედერაცია სეზონის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე მონაწილე კლუბებს უგზავნის კითხვარს, სადაც ერთ-ერთი პუნქტში უნდა მიუთითონ, დაფინანსების და შემოსავლების რა წყაროებს დაეყრდნობიან ახალ სეზონში. "მადნეულმა" დააფიქსირა, რომ 2011-12 წლების სეზონშიც "სიონის" დაფინანსებას აპირებს. ასე რომ, კომპანიაში ბათუმის „დინამოს" დაფინანსებაზე ლაპარაკი არც ყოფილა,"* - გვითხრა არევაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ლიგა

### გადმოტანილი მატჩები

### მეშახტე–ნ. დინამო 0:0

11.04. ტყიბული. „ვ. ბოჭორიშვილი". 300 მაყურებელი

*22-ე წუთზე კაკაშვილმა (ნ. დინამო) და 27-ე წუთზე ნოზაძემ (მეშახტე) ვერ გაიტანეს პენალტი.*

მეშახტე: დ. ოდიშარია, ა. ქუთათელაძე, თ. ღვინიაშვილი, ბ. ბერაია, ა. გუბელაძე, ა. ნოზაძე, გ. აბურჯანია, ვ. აფციაური, დ. გოგოლაძე, გ. ბოხუა, გ. ჯიშიაშვილი.

*სათადარიგოები:* ი. ორბელაძე, ბ. ჯიშიაშვილი, ა. სახელაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

ნ. დინამო: ა. ბილიხოძე, გ. გურაბანიძე, ვ. კაკაშვილი, გ. ლომიძე, ო. გაგნიძე, გ. შუშიაშვილი (66. ზ. კვარაცხელია), გ. თანიაშვილი, ბ. ბეროშვილი (77. ა. ხვთისავრიშვილი), ლ. ლაბარტყავა (52. თ. ცინცაბაძე), ზ. ძაგანია, გ. მაისურაძე.

*სათადარიგოები:* გ. ჩუბინიძე, ნ. ბიწკინაშვილი, მ. ლომაია, დ. ქიმერიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერი გაგუა

გაფრთხილება: ბ. ბერაია; ვ. კაკაშვილი, ო. გაგნიძე, გ. ლომიძე

გაძევება: ა. ბილიხოძე

არბიტრი: თემურ ხუჭუა (სამტრედია)

### ჩიხურა–კოლხეთი 5:1

11.04. საჩხერე. ხელოვნური. 700 მაყურებელი

1:0 თ. მუმლაძე (6), 2:0 ი. გვეტაძე (19), 3:0 ლ. ჩაგელიშვილი (21), 4:0, 5:0, დ. ჩაგელიშვილი (33, 37), 5:1 ო. ფიფია (79)

ჩიხურა: შ. დოლაძე (46. გ. ბეგაშვილი), ნ. მაჭარაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი. ი. გვეტაძე, ლ. ჩიკვაიძე, ე. ზივზივაძე, გ. ქიმაძე, ა. ივანიშვილი, ბ. პეტრიაშვილი, თ. მუმლაძე (68. მ. მიქაძე), დ. ჩაგელიშვილი (56. თ. მეტრეველი).

*სათადარიგოები:* გ. გიორბელიძე, ი. ტყებუჩავა, დ. ქამუშაძე, ა. ალავიძე

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

კოლხეთი: დ. ხარძეიშვილი (22. ზ. გელაშვილი), გ. ფარფალია, ლ. გოგენია, ვ. ფირცხალავა (35. კ. გოგენია), ი. კუტალია (69. თ. ღლონტი), ც. ბუკია, გ. გოგენია, მ. ბესარაშვილი, გ. ლომაია, ო. ფიფია, ბ. ბუკია.

*სათადარიგოები:* კ. ალანია, მ. შონია, რ. ჩიტაია

*მთავარი მწვრთნელი:* კალისტრატე ხურცილავა

გაფრთხილება: გ. ქიმაძე

არბიტრი: ხვიჩა გაგნიძე (გორი)

### XXVII ტური

### მერანი–ადელი 2:0

13.04. მარტვილი. 400 მაყურებელი

1:0, გ. თოდუა (21), 2:0 გ. თოდუა (39)

მერანი: ჯ. შეროზია, ი. ფაცაცია, გ. ჟვანია, თ. კაკუშაძე (46. გ. წოწორია), ლ. ჩალაძე, გ. ილურიძე, დ. ბერუაშვილი, გ. მემანიშვილი, ლ. კუჭუხიძე (79. გ. ამბროლაძე), მ. ტაპე (46. ო. ტორაძე), გ. თოდუა.

*სათადარიგოები:* კ. მელიავა, ჟ. იატრო, ლ. გორდეზიანი, ა. სუხიაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

ადელი: ი. დევაძე (72. გ. რომანაძე), ზ. მჟავანაძე, მ. ფუტკარაძე, გ. ფალავანდიშვილი (28. გ. ანანიძე), ნ. წულუკიძე (45. გ. დევაძე), დ. ჯალალონია, ა. ლორია, ჯ. მერაბიშვილი, ლ. მამეიშვილი, ზ. გობეჯიშვილი, ა. აბუსერიძე.

*მთავარი მწვრთნელი:* გია ჯორბენაძე

გაფრთხილება: ზ. მჟავანაძე, ლ. მამეიშვილი

არბიტრი: შოთა ქუხილავა (სოხუმი)

### ჭიათურა–დილა 0:3

13.04. ჭიათურა. თ. მაღრაძე. 300 მაყურებელი

0:1 თ. ბარამიძე (67), 0:2 გ. ქარქუზაშვილი (72), 0:3 თ. შათირიშვილი (89).

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ბ. ჭუმბურიძე, ნ. გაფრინდაშვილი ლ. ქურდაძე, ნ. ტყემალაძე (74. თემურ მიშველიძე), ლ. ცუცქირიძე, გ. ბრეგვაძე, ზ. ნოზაძე (61. გ. ცუცქირიძე), ლ. კობახიძე, დ. ტაბატაძე, დ. სევასტოპულო

*სათადარიგოები:* ა. დარბაიძე, თ. კურტანიძე, ჯ. კაპანაძე, ვ. ჯელაძე

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან სევასტოპულო

დილა: ბ. შეყრილაძე, დ. ჭითანავა, დ. ბაქრაძე, გ. ქარქუზაშვილი, თ. შათირიშვილი. ნ. ნოზაძე (65. ვ. ნემსაძე), ვ. ჯოჯუა, ი. ლომიძე (55. თ. ბარამიძე), დ. რაჟამაშვილი, რ. გოგინაშვილი (70. ნ. სადღაშვილი), რ. ახალკაცი.

*სათადარიგოები:* ბ. კეჩხუაშვილი, დ. ტლაშაძე, ა. სირბილაძე, ლ. თედიაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* გიორგი ცეცაძე

გაფრთხილება: ლ. ქურდაძე, დ. სევასტოპულო; რ. ახალკაცი

არბიტრი: მალხაზ ბეუქლიშვილი (ყვარელი)

### ბათუმი–მერცხალი 3:1

13.04. ბათუმი. ადელი. 200 მაყურებელი

1:0 თ. ბერიძე (6), 1:1 თ. ცეცხლაძე (26), 2:1 ა. ბაციკაძე (51), 3:1 თ. ბერიძე (59).

ბათუმი: შ. მამინაშვილი, ლ. რამიშვილი, ზ. ლობჟანიძე, ა. ბაჯელიძე, კ. მაკარიანი, მ. ჟვანია (59. გ. გოგიტიძე), თ. ბერიძე, ე. გრიგალაშვილი ზ. ხაჭიპერაძე (57. ვ. თევდორაძე), ა. ბაციკაძე, მ. კაკალაძე (46. ნ. დიასამიძე)

*სათადარიგოები:* რ. თევდორაძე, მ. ფარტენაძე, მ. ჯორბენაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

მერცხალი: ი. მურუსიძე (46. ბ. გოლიაძე), ზ. ხურციძე, გ. ყაჭეიშვილი, ლ. კოტრიკაძე, ო. ჭელიძე, ი. ბაჯელიძე, კ. ნაკაიძე, ზ. ტულუში (51. გ. პაპკოვი), დ. აფრიდონიძე, თ. ცეცხლაძე, გ. გოგუა (46. გ. ზაქარიაძე).

*მთავარი მწვრთნელი:* ხარიტონ ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: ზ. ხურციძე, ი. ბაჯელიძე

არბიტრი: ჯუმბერ ბუიშვილი (ჭიათურა)

### იმერეთი–ჩხერიმელა 0:0

13.04. ხონი. ცენტრალური. 500 მაყურებელი

იმერეთი: გ. ნიქაბაძე, დ. ხაბურძანია (30. დ. ფესტვენიძე), ბ. ბიბილაშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, თ. ხარებავა, რ. კაშია, ა. მეტონიძე (69. ჯ. ლოლუა), გ. გოდერიძე, ბ. ჩხეტიანი, ლ. კირკიტაძე, დ. კუხალაშვილი (46. მ. ჩხარტიშვილი).

*სათადარიგოები:* ი. შენგელია, ა. თელია, ვ. ბრეგაძე, ი. ასათიანი.

*მთავარი მწვრთნელი:* დავით ჭელიძე

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ვ. ტაბატაძე, ნ. ხარაბაძე, ვ. თაბუკაშვილი (74. ა. ქაშაკაშვილი), ც. ხარაბაძე, ლ. მახარაძე, გ. თურმანიძე, გ. კუხიანიძე (62. გ. ზაქარაშვილი), ა. ლაბაძე (69. ლ. გუმბერიძე), რ. ჩიხლაძე, კ. ძაგანია.

*სათადარიგოები:* მ. ლომსაძე, გ. გიორგობიანი კ. კუბლაშვილი, გ. ხეცურიანი.

*მთავარი მწვრთნელი:* მამუკა ხუნდაძე

გაფრთხილება: გ. გოდერიძე, თ. ხარებავა; ვ. თაბუკაშვილი, ვ. ტაბატაძე, ნ. ხარაბაძე

არბიტრი: თორნიკე გვანცელაძე (სამტრედია)

### გურია–ლოკომოტივი 1:0

13.04. ლანჩხუთი. „ე. შევარდნაძე". 300 მაყურებელი

1:0 თ. სივსივე (82)

გურია: მ. გოგუაძე, ჯ. გოგიბერიძე, რ. კუკულაძე (77. გ. კვიტაიშვილი), ბ. წერეთელი, ს. ფირცხალაიშვილი (46. გ. შეწირული), გ. თოლორდავა, ნ. ტოროტაძე, ი. კილაძე, ტ. კუკულაძე, ლ. რუსიეშვილი (70. თ. სივსივე), ი. დეისაძე

*სათადარიგოები:* ი. ხვედელიძე, ზ. რაზმაძე, გ. ჭეიშვილი.

*მთავარი მწვრთნელი:* ირაკლი ფაცურია

ლოკომოტივი: გ. ნაჭყებია, გ. ჭოველიძე, ზ. გვაძაბია, გ. ხატიაშვილი, გ. მჭედლიშვილი, ა. შენგელია, გ. ბოჭორმელი, დ. ბაქრაძე, გ. ხოკერაშვილი (65. დ. მიქავა), გ. შარანგია (85. დ. გაბელია), ნ. შერაზადიშვილი (76. დ. ვაშაკიძე),

*სათადარიგოები:* ბ. ტყემალაძე, მ. ცინცაძე, მ. მაკარაშვილი, გ. რესეზიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ლაშა ჭალიაშვილი

გაფრთხილება: ი. დეისაძე

არბიტრი: თემურ ხუჭუა (სამტრედია)

### გაგრა–კოლხეთი 3:0

14.04. თბილისი. მერანი. 200 მაყურებელი

1:0 ა. ოვონიკოკო (8), 2:0 ნ. ჯიშკარიანი (68), 3:0 გ. გაბედავა (90)

გაგრა: კ. სეფიაშვილი, ლ. კალანდაძე, გ. ტყეშელაშვილი, ზ. ჩხეტიანი, ნ. ჯიშკარიანი, ი. ხუციძე, მ. ნაკონეჩნი (81. თ. მოსიაშვილი), ლ. შარიქაძე, მ. კობერიძე (46. გ. გაბედავა), შ. კვანტალიანი (65. ვ. ორდინსკი), ა. ოვონიკოკო

*სათადარიგოები:* ლ. ნადირაშვილი. ჯ. გაბუნია, ბ. ქართველიშვილი, ბ. გედენიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ანატოლი პისკოვეცი

კოლხეთი: დ. ხარძეიშვილი, გ. გოგენია, გ. ფარფალია (46. ი. კუტალია), ლ. გოგენია (53. მ. ბესარაშვილი), ც. ბუკია, ლ. ჩაჩიბაია, კ. გოგენია, კ. ალანია (53. ბ. ბუკია), ო. ფიფია, გ. ლომაია, მ. ჭკადუა

*სათადარიგოები:* ზ. გელაშვილი, ვ. ფირცხალავა

*მთავარი მწვრთნელი:* კალისტრატე ხურცილავა

გაფრთხილება: მ. ნაკონეჩნი; გ. ფარფალია

არბიტრი: ოთარ ხეცაძე (თბილისი)

### ნ. დინამო–საჯური 3:0

15.04. თბილისი. შრომითი რეზერვები. 100 მაყურებელი

1:0 გ. მაისურაძე, (34), 2:0 გ. მაისურაძე (70), 3:0 ა. ხვთისავრიშვილი (90).

ნ. დინამო: თ. ცინცაბაძე, გ. გურაბანიძე, ვ. კაკაშვილი, ზ. ძაგანია (84. გ. ჩუბინიძე), ო. გაგნიძე, გ. შუშიაშვილი (56. ზ. კვარაცხელია), ა. ხვთისავრიშვილი, გ. თანიაშვილი, ბ. ბეროშვილი, ლ. ლაბარტყავა, გ. მაისურაძე (76. მ. ლომაია)

*სათადარიგოები:* დ. გლოველი, დ. ქიმერიძე, ი. მახათაძე, გ. ჯაჭვაძე

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერი გაგუა

საჯური: ვ. ჯომიდავა, ბ. გვილია, ე. ფარცვანია, თ. გერგედავა, ზ. მოლაშხია (46. ბ. სვანიძე), ი. მალიჩავა, ბ. გუჯეჯიანი, ლ. ქანთარია (71. დ. ჩახაია), დ. კუტალია, გ. ჭკუასელი, დ. რაფავა (78. ა. მიქენაია)

*სათადარიგოები:* ლ. გაბუნია, გ. აკობია

*მთავარი მწვრთნელი:* ვასო გულორდავა

გაფრთხილება: დ. გვილია

არბიტრი: ბაკურ ნინუა (ქუთაისი)

მეშახტე-სამგურალი 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 26 | 19 | 5 | 2 | 62-15 | 62 |
| 2. მარტვილი | 26 | 17 | 7 | 2 | 48-11 | 58 |
| 3. დილა | 26 | 15 | 8 | 3 | 48-20 | 53 |
| 4. ჩიხურა | 25 | 16 | 4 | 5 | 48-21 | 52 |
| 5. ბათუმი | 25 | 14 | 7 | 4 | 53-13 | 49 |
| 6. გურია | 26 | 12 | 3 | 11 | 44-48 | 39 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 25 | 10 | 9 | 6 | 26-26 | 39 |
| 8. ჩხერიმელა | 25 | 6 | 10 | 9 | 29-38 | 28 |
| 9. მერცხალი | 25 | 7 | 6 | 12 | 37-55 | 27 |
| 10. ნ/დინამოელი | 25 | 8 | 2 | 15 | 30-50 | 26 |
| 11. მეშახტე | 24 | 7 | 5 | 12 | 27-36 | 26 |
| 12. სამგურალი | 25 | 7 | 5 | 13 | 29-48 | 26 |
| 13. იმერეთი | 25 | 7 | 3 | 15 | 23-35 | 24 |
| 14. ლოკომოტ. | 25 | 6 | 5 | 14 | 25-39 | 23 |
| 15. ჭიათურა | 25 | 6 | 5 | 14 | 22-56 | 23 |
| 16. საჯური | 25 | 6 | 4 | 15 | 22-43 | 22 |
| 17. ადელი | 25 | 6 | 2 | 17 | 26-45 | 20 |

### მომდევნო მატჩები. 19-20 აპრილი

საჯური-ჩიხურა
კოლხეთი-მეშახტე
მერცხალი-ჭიათურა
სამგურალი-მარტვილი
ჩხერიმელა-ბათუმი
ადელი-გურია
დილა-ნ/დინამო
ლოკომოტივი-იმერეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შთამბეჭდავი დაბრუნება

## სასიამოვნო ტენდენცია

ვერაფერს ვიტყვით: მართლაც უხვგოლიანი და უკომპრომისო ტური გვქონდა; რა თქმა უნდა, შედეგიანობის მომატებაც გვახარებს: ზედიზედ სამი ტურის განმავლობაში ექვსზე მეტი გოლი არ გადიოდა, ახლა კი ხუთ შეხვედრაში 12 გოლი ვნახეთ. მეორე ეტაპი რაც დაიწყო, ამაზე მაღალი შედეგიანობა ორჯერ დაფიქსირდა: XXIV ტურში 13 გოლი გავიდა, XXIII ტურში კი — 14. ისე, ახლაც არ ველოდით განსაკუთრებულ გოლთაცვენას, მაგრამ ბოლნისის „სიონმა" პირველ ლიგაში დაქვეითებისათვის განწირული „სამტრედია" არ დაინდო და ყველანაირად გაჭირვებული მეტოქის კარში 5 უპასუხო გოლი გაიტანა. საინტერესო დეტალიც: ამ სეზონში თუ რომელიმე გუნდი იყო დაბალშედეგიანი, სწორედ „სიონზე" ითქმის; თავად განსაჯეთ: აქამდე ჩატარებულ 29 მატჩში ბოლნისურ გუნდს მეტოქეთა კარში 18 გოლი (მხოლოდ და მხოლოდ „კოლხეთს" სჯობდა ამ მაჩვენებლით) ჰქონდა გატანილი და, საერთოდაც, უმეტესწილად მინიმალური სხვაობით იმარჯვებდა. უფრო მეტიც: ბოლო სამბურთიანი სხვაობით „სიონმა" წინა სეზონის დასაწყისში გაიმარჯვა, როცა **თემურ მახარაძის** ხელმძღვანელობით... „სამტრედია" დაამარცხა! ეგ კი არა, ბოლნისურმა გუნდმა ასეთივე ანგარიშით (5:0) უკანასკნელად სამი წლის წინათ გაიმარჯვა: „სიონს" იმ დროისთვის **გიორგი ყიფშიძე** თავკაცობდა, მეტოქე კი თბილისის „მერანი" იყო. ქვემოქართლურ გუნდზე საუბარს კი ამ სეზონში „სიონის" ყველაზე შთამბეჭდავი ანგარიშით დამთავრებული მატჩით დავასრულებთ: 30 წლის **რევაზ ჯიქიამ** „დუბლი" შეასრულა და 4 გოლით ბოლნისელთა საუკეთესო ბომბარდირიც გახდა; თითო გოლი კი 20 წლის **ვილი ისიანმა**, საქართველოს ჩემპიონატის მართლაც დამსახურებულმა ვეტერანებმა - 34 წლის **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** და 35 წლის **გივი დიდავამ** გაიტანეს.


დინამო-ოლიმპი 2:0
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## საერთო კმაყოფილება

19 თებერვალს „დინამომ" ეროვნულ სტადიონზე „ზესტაფონს" უმასპინძლა და აი, თითქმის ორთვიანი შესვენების შემდეგ ჩვენ ყველაზე ტიტულიან გუნდს მხოლოდ ამ ტურში მიეცა საშუალება კვლავაც ამ არენაზე ეთამაშა. მართლაც შთამბეჭდავი დაბრუნება გამოვიდა და, „დინამოს" უაღრესად მოტივირებული თამაშის გარდა, 15 აპრილის საღამოს სხვაც ბევრი იყო აღსანიშნავ-დასამახსოვრებელი; უპირველეს ყოვლისა, მოედნის საფარი და, რაღა თქმა უნდა, დინამოელთა მონდომებაც, - უამრავი საპატიო სტუმრისა თუ კლუბის ხელმძღვანელთა თვალწინ ძლიერ მეტოქეს დამსახურებულად რომ აჯობეს. „ლელოს" შაბათის ნომერში ამ მატჩის შესახებ ვრცლად ვისაუბრეთ და ამჯერად მხოლოდ ერთ-ორ გამორჩეულ ფაქტზე შევჩერდებით. უბრალოდ, იმას კი გავიმეორებთ, რომ როგორც იქნა, თავიანთი საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნეს 22 წლის **რობერტინიომ** და 21 წლის **დონალდ ჯუისმა**, რომელთა ზეაქტიურმა თამაშმაც დიდად განაპირობა „დინამოს" წარმატება. აი, გუნდის ორ უდავო ლიდერზე კი ახალი რა უნდა ვთქვათ: 25 წლის **გიორგი ლორია** და 29 წლის **ალექსანდრე კოშკაძე** მართლაც გამორჩეულ სეზონს ატარებენ და ორივეს უდიდესი დამსახურებაა, **კახა კაჭარავას** გუნდი კვლავაც რომ აგრძელებს ჩემპიონობისათვის ბრძოლას.

...ტურის ცენტრალური მატჩის წინ „დინამოს" ხელმძღვანელობა კლუბის სასიქადულო ვეტერანებს შეხვდა; იმ საინტერესო თავყრილობაზე „დინამოს" გენერალურმა დირექტორმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმა** კლუბის ვეტერანებთან აქტიურ ურთიერთთანამშრომლობაზე ილაპარაკა და ერთი საინტერესო ფრაზაც ახსენა: „დინამოს" ხელმძღვანელის რანგში ეროვნულ სტადიონზე პირველად ვარ და ეს მატჩი ჩემთვის განსაკუთრებულიაო; ჰოდა, „დინამოს" მწვრთნელ-ფეხბურთელებმაც თავიანთი საქმე მაღალპროფესიულად შეასრულეს და, ზურაბ პოლოლიკაშვილის მსგავსად, კლუბის პრეზიდენტი **რომან ფიფიაც** და სპორტული დირექტორი **გიორგი ნემსაძეც** უაღრესად კმაყოფილი ტოვებდნენ ჩვენს უმთავრეს და უპირველეს საფეხბურთო არენას...

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

## საჯარო პრეტენზიები და ანტირეკორდი

ბოლნისურმა გუნდმა უკვე ხუთი მატჩი ჩაატარა **ხვიჩა ქასრაშვილის** ხელმძღვანელობით და ამ ხნის განმავლობაში პროგრესიც იგრძნობა: „სიონმა" ათი ქულა (3 გამარჯვება, 1 ფრე, 1 ნაგება) შემატა თავის აქტივს. აი, მეორე ქვემოქართლურ გუნდს კი ამ ბოლო დროს საამაყო თუ თავმოსაწონი არაფერი აქვს: ბოლო ოთხი მატჩიდან „ოლიმპმა" სამი წააგო და მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა. თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ქვეყნის ჯერ კიდევ მოქმედმა ჩემპიონმა ოთხივე ეს შეხვედრა სტუმრად ჩაატარა; მაგრამ, ამის მიუხედავად, „ოლიმპის" ქომაგები ძნელად თუ წარმოიდგენდნენ მოვლენების ისეთ განვითარებას, როცა ამ გადამწყვეტ ეტაპზე გუნდი ოთხ შეხვედრაში მხოლოდ სამ ქულას მოიპოვებდა. ასეთ წარუმატებელ პერიოდს, რაღა თქმა უნდა, ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა: თითქმის ყველა მატჩში „ოლიმპი" არაოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდა. ოღონდ, წამყვანი ფეხბურთელების ტრავმები არაფერ შუაშია - რუსთაველი გუნდის მოთამაშეები დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდნენ შეხვედრებს. სწორედ ამაზე განაცხადა საჯაროდ „დინამოსთან" პრინციპული მატჩის მერე „ოლიმპის" მწვრთნელ-სელექციონერმა და, ამავდროულად, გენერალურმა დირექტორმა **თორნიკე მაისურაძემ**, - მეორე ეტაპი რაც დაიწყო, მსაჯების მხრიდან ჩვენი გუნდი არნახულ ზეწოლას განიცდისო. ახალგაზრდა სპეციალისტმა „ზეწოლაში" „ოლიმპის" ფეხბურთელების ხშირ-ხშირად და უსაფუძვლოდ „გაყვითლება", მეტოქის კარში არდანიშნული პენალტ(ებ)ი და კიდევ „სხვა" იგულისხმა; არავის ადვოკატობას არ ვაპირებთ, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ „ოლიმპს" ჩემპიონობის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება - ლიდერ „ზესტაფონს" უკვე ექვსი ქულით ჩამორჩება და, ამას გარდა, გამოტოვებული მატჩების გათვალისწინებით, დიდი შანსია, მეორე ადგილიც დაკარგოს. თუმცა, საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობისას ყველაზე უარესი შედეგის (მეოთხე ადგილი) „გაუმჯობესება" გუნდს არ ემუქრება; სამაგიეროდ, „ოლიმპმა" სხვა ანტირეკორდი დაამყარა: ერთი სეზონის განმავლობაში ყველაზე მეტი წაგება (ექვსი) გუნდს 2007-2008 წლების სეზონში ჰქონდა, ახლა კი ერთით მეტი აქვს...


ხვიჩა ქასრაშვილი


თორნიკე მაისურაძე


ნიკა გელაშვილი

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 15 |
| მეგრელაძე (ტორპედო) | 13 (2) |
| მოდებაძე (ოლიმპი) | 12 (1) |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 12 (1) |
| დვალი (ზესტაფონი) | 10 |

## კვლავაც ბომბარდირთა დავაზე

საჩემპიონო რბოლაც დიდ ინტრიგას გვპირდება, „გასავარდნ ზონაშიც" ჯერ არაფერია გარკვეული და არანაკლებ ინტერესს იწვევს ბომბარდირთა შორის დავაც. ორმატჩიანი იძულებითი (დისკვალიფიკაციის გამო) უქმობის მერე „ზესტაფონის" თავდამსხმელი **ნიკოლოზ გელაშვილი** „მორიგი" გოლით დაბრუნდა და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა დავას (15 გოლით) სწორედ ეს 25 წლის ფორვარდი ლიდერობს. გელაშვილის მსგავსად, „სპარტაკთან" მატჩში თავი გამოიჩინა „ზესტაფონის" კიდევ ერთმა თავდამსხმელმა, 23 წლის **რატი წინამძღვრიშვილმაც**, ვინც სეზონში მე-12 გოლი გაიტანა და თორმეტივე შემთხვევაში... შეცვლაზე შემოსულმა მოახერხა! თუმცა იმას ნამდვილად ვერავინ იტყვის, რომ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა დავა მხოლოდ „ზესტაფონის" თავდამსხმელების „საშინაო საქმე" იქნება; ყოველ შემთხვევაში, ქუთაისის „ტორპედოსა" და, საერთოდ, ქართული ფეხბურთის მართლაც გამორჩეული ვეტერანი, 32 წლის **გიორგი მეგრელაძე** კვლავაც აგრძელებს ქომაგების გახარებას და ამ ტურში სეზონის მეცამეტე გოლიც გაიტანა. სხვათა შორის, „სიონის" მსგავსად", „ტორპედოც" არ ანებივრებდა საკუთარ გულშემატკივარს განსაკუთრებულად შედეგიანი თამაშით, მაგრამ ზედიზედ მეორე ტურია, მეტოქის კარში ორ-ორი გოლი გააქვს. თანაც, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თავის გამოჩენა შეძლო **ვახტანგ კვარაცხელიამ** - არადა, 23 წლის თავდამსხმელს... ხუთთვიანი „მშრალი სერია" ჰქონდა.



გერმანია. ბუნდესლიგა. XXX ტური

# რა დაემართა ბაიერნს?

## დორტმუნდი: ისევ რვა ქულა და ჩემპიონობა უკვე მომდევნო ტურში?



მიუნხენელები მარიო გომესის ჰეთ-თრიკს და ლევერკუზენის განადგურებას ზეიმობენ

როგორც ჩანს, „ბაიერნის" მთავარი და მეტიც, ერთადერთი პრობლემა, მარტო **ლუის ვან გაალი** იყო. თუ ეს ასე არ არის, მაშინ რას უნდა მივაწეროთ ის, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტის გათავისუფლებიდან ზუსტად ერთ კვირაში მიუნხენურმა კლუბმა ჯერ კიდევ ჩემპიონობის შანსის მქონე „ლევერკუზენი" მიწასთან გაასწორა? 5:1-ს თავი რომ დავანებოთ, რეკორდმაისტერმა გუშინ ისე ითამაშა, როგორც საჭიროა, გოლებიც გაიტანა, ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა მოიგო და რაც ყველაზე მთავარია, ისევ მესამე ადგილზე აინაცვლა - პოზიციაზე, საიდანაც ჩემპიონთა ლიგაში გავა. „ლევერკუზენი" კი, ამ მარცხით ჩემპიონობისთვის ბრძოლას ფაქტობრივად საბოლოოდ გამოეთიშა და ამიერიდან, „ფარმაცევტების" უმთავრესი მიზანი „ბაიერნთან" ექვსქულიანი უპირატესობის შენარჩუნება იქნება - მეორე და მესამე ადგილებს შორის, საპატიო ვიცე-ჩემპიონობის გარდა, ის განსხვავებაა, რომ მეორე ადგილზე გასული გუნდი პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ხვდება, მესამეადგილოსანს კი საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევს ტვინის ჭყლეტა.

„ლევერკუზენის" განადგურება გუნდის კაპიტნის, **სიმონ როლფესის** ავტოგოლით დაიწყო, რომელიც უკვე მეშვიდე წუთზე გავიდა (**შვაინშტაიგერმა** გაატანინა) და ჯერ კიდევ შესვენებამდე, **მარიო გომესმა** შეხვედრის ბედი უნაკლო ჰეთ-თრიკით გადაწყვიტა - გომესმა ამ სეზონში უკვე მეოთხედ შეძლო ჰეთ-თრიკის შესრულება. საინტერესოა ისიც, რომ 30 წელია, „ლევერკუზენს" პირველი ტაიმი 4:0 არ წაუგია. გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ამიტომაც იყო გაოგნებული და შესვენებისას ამბობდა: *„ის, რაც მოედანზე ხდება, ჩემთვის აუხსნელია. პირველი ორი გოლი ლევერკუზენელებმა ფაქტობრივად ძალით გაუშვეს, მატჩის ბედი კი უკვე გადაწყვეტილია,"* - ფაქტია, რომ ტურის ცენტრალური შეხვედრისგან, არა მარტო ლიოვი, არამედ მთელი საფეხბურთო გერმანია გაცილებით მეტს ელოდა.

მეორე ნახევარში მიუნხენელები შედარებით დამშვიდნენ, რამაც „ლევერკუზენს", კერძოდ კი შვეიცარიელ თავდამსხმელ **ერენ დერდიოკს** პრესტიჟის გოლის გატანის საშუალება მისცა, მერე კი, **ფრანკ რიბერიმ** მატჩს საბოლოო წერტილი დაუსვა. კიდევ ერთი საინტერესო სტატისტიკური ფაქტი: „ლევერკუზენმა" მიმდინარე სეზონში ყველაზე დიდი ანგარიშით წააგო და ამ მარცხით, **იუპ ჰაინკესის** გუნდისთვის, 5-მატჩიანი მოგებათა და 12-მატჩიანი წაუგებელი სერია დასრულდა. რატომ გასაზიზღრდნენ „ფარმაცევტები" შესუსტებულ „ბაიერნთან" ასე ძალიან (**რობენი და ბადშტუბერი** დისკვალიფიკაციების გამო ვერ თამაშობდნენ, **კროოსს** ტრავმა ჰქონდა, რიბერიმ და შვაინიმ კი გამაყუჩებლებით იასპარეზეს), ამ კითხვას პასუხი ალბათ არ გაეცემა, ჩვენ კი ნამდვილად არ გვაქვს იმის უფლება, ვიფიქროთ, რომ „ბაიერნისკენ" გეზაღებულმა ჰაინკესმა რაღაცრალაცები განგებ დათმო...

გუშინვე, „ბორუსიამ" „ფრაიბურგი" 3:0 დაამარცხა და „ლევერკუზენს" რვა ქულით გაასწრო. მანამდე კი იყო პარასკევის მატჩი, რომელშიც „მაინცმა" მიონხენგლადბახის „ბორუსია" 1:0 დაამარცხა და საუკეთესო ხუთეულში პოზიცია გაიმყარა, ხოლო „გლადბახი" კი ისევ აუტსაიდერი და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების ყველაზე რეალური კანდიდატია. დარჩენილ ოთხ ტურში „გლადბახს" მხოლოდ 12 ქულის მოპოვება შეუძლია, სარელეგაციო, მე-16 ადგილზე მყოფ „ვოლფსბურგს" კი სამი ქულით ჩამორჩება.

შაბათს ყველაზე დიდ ინტერესს „შალკესა" და „ვერდერის" დაპირისპირება იწვევდა, რომელიც 1:1 დასრულდა. ამ შედეგმა არც „შალკე" დაამწუხრა და არც „ვერდერი". შეიძლება ითქვას, რომ ფრე „ვერდერს" უფრო აწყობდა, რადგან „შალკეს" ბუნდესლიგაში ფაქტობრივად ალარაფერი აინტერესებს. **ლევან ყენიას** გუნდი არ ვარდება, საუკეთესო ხუთეულში მოსახვედრად ბრძოლა კი, გელზენკირხენელებს სამართლიანად ეზარებათ, რადგან გერმანიის თასის ფინალში არიან, საიდანაც, „დუისბურგის" დამარცხების შემთხვევაში, ისედაც მოიპოვებენ ევროპის ლიგის საგზურს. ყველაზე საინტერესო რამ შეხვედრის შემდეგ მოხდა, როცა „შალკესა" და გერმანიის ნაკრების მეკარე **მანუელ ნოიერმა** თქვა, ჩემი მომავლის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მივიღე და ვინც საჭიროა, უკვე ყველაფერი იცისო. როგორც ხედავთ, ნოიერმა არაფერი დააკონკრეტა. ჩვენი გერმანელი კოლეგები სამართლიანად ფიქრობენ, მანუელი „შალკეში" რომ რჩებოდეს, ამას ამაყად იტყოდაო. ეჭვი იმის შესახებ, რომ ნოიერმა გადაწყვეტილება მიუნხენის „ბაიერნის" სასარგებლოდ მიიღო, გელზენკირხენული კლუბის მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტის** კომენტარმაც გააღრმავა, რომელმაც აღნიშნა, ჩვენ ჯერ არავინ შეგვხმიანებია, მანუელს კი „შალკესთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებსო. როგორც ხედავთ, ჯერი ახლა „ბაიერნზეა" - მიუნხენელებმა „შალკეს" ხელმძღვანელებს საინტერესო წინადადებით უნდა მიმართონ (საუბარია 20 მილიონ ევროზე), ნოიერმა კი, თავის შეფებს უკვე უთხრა, რომ გული რეკორდმაისტერისკენ მიუწევს. „ბილდის" ინფორმაციით, გელზენკირხენელები ნოიერს სამწლიან კონტრაქტს და წელიწადში 7 მილიონ ევროს სთავაზობდნენ...

მას მერე, რაც „შალკეს" **რალფ რანგნიკი** წვრთნის, გელზენკირხენულმა გუნდმა ხუთიდან პირველი თამაში ვერ მოიგო, მაგრამ გულშემატკივრებს ამის გამო დიდად არ უდარდიათ - საფინალო სასტვენის შემდეგ მღეროდნენ, ბუნდესლიგაც ფეხებზე გვკიდია და „ვერცხლის სინიც", ორ ისეთ თასს მოვიგებთ, დორტმუნდში მაინც შურით გასკდებიანო. ცხადია, „შალკეს" ფანები ჩემპიონთა (ნახევარფინალში არიან) და გერმანიის თასებს (ფინალში არიან) გულისხმობდნენ. საინტერესოა ისიც, რომ რანგნიკმა „ინტერთან" მატჩის შემდეგ ძირითადი შემადგენლობიდან რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა: **ბაუმიოჰანი, ედუ, ხურადო, მატიპი** და **შარპეი** სკამზე დასვა, ძირითადში კი **ფარფანი, ხარისტეასი, დრაქსლერი, ანანი** და **აველარი** ათამაშა. დიახ, სწორედ ის 21 წლის აველარი, „შალკეს" ყოფილ მწვრთნელ **ფელიქს მაგათს** უკრაინულ „ლვოვში" რომ ჰყავდა განათხოვრებული. „ვერდერი" კი, სარელეგაციო მე-16 ადგილს ექვსი ქულით უსწრებს, რაც ბრემენული კლუბის გადარჩენისთვის, წესით, საკმარისი უნდა აღმოჩნდეს. „მუსიკოსები" მაინც უკმაყოფილოები იყვნენ. პრინციპში, სამართლიანადაც, რადგან მსაჯმა **კნუტ კირხერმა** მე-11 წუთზე **პეტრი პასანენს** გოლი არ ჩაუთვალა - მან შეტევაში ჯარიმა დააფიქსირა, არადა, ნოიერის წინააღმდეგ წესები არ დარღვეულა. საფინალო სასტვენის შემდეგ, **ტორსტენ ფრინგსმა** კიდევ ერთხელ დაიჩივლა, წელს არბიტრები ძალიან გვჩაგრავენო.

„ბაიერნმა" მესამე ადგილზე იმის გამო გადაინაცვლა, რომ „ჰანოვერმა" ჰამბურგიდან მხოლოდ ერთი ქულა წაიღო (0:0). მაგათის „ვოლფსბურგმა" კი ისევ ვერ მოიგო. თანაც, „მგლები" უშუალო კონკურენტ „ზანკტ პაულის" ხვდებოდნენ და მოგებას ვინ ჩივის, ბოლო წუთებამდე აგებდნენ და მხოლოდ 89-ე წუთზე გატანილი გოლით გადარჩნენ - რომ წაეგოთ, ახლანდელ ადგილსაც დაკარგავდნენ და მე-17 პოზიციაზე აღმოჩნდებოდნენ. „შტუტგარტმა" კიოლნში 3:1 მოიგოდა და **ბრუნო ლაბადიას** შეგირდებმა დროებით შვებით ამოისუნთქეს. **კრისტოფ დაუმის** „აინტრახტი" „ჰოფენჰაიმთან" დამარცხდა და იმდენი ქულა აქვს, რამდენიც „შტუტგარტს".

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

**21 აპრილი.** ფრაიბურგი-ჰანოვერი
**23 აპრილი.** შალკე-კაიზერსლაუტერნი, ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი, შტუტგარტი-ჰამბურგი, აინტრახტი-ბაიერნი, ზანკტ პაული-ვერდერი, ბორუსია (მ)-ბორუსია (დ).
**24 აპრილი.** ვოლფსბურგი-კიოლნი, ნიურნბერგი-მაინცი

### თურქეთი

სუპერლიგა. XXIX ტური

**ბეშიქთაში-გენჩლერი** 2:2
**გოლები:** 1:0 სიმაო (27), 2:0 თორამანი (53), 2:1 იედინაკი (62), 2:2 ფექთემექი (72)

**ანკარაგიუჯუ-ბუკა** 5:3
**გოლები:** 1:0 დურუერი (18), 1:1 იბრინი (30), 1:2 ტასკირანი (45), 2:2 დურუერი (51), 3:2 ვიტეკი (56-პენ), 3:3 ბათიაროღლუ (59), 4:3 აქანი (86), 5:3 ჩექი (90)

**ქარაბიუქი-ბუიუქშეჰირი** 0:2
**გოლები:** 0:1 ჰოლოშკო (13), 0:2 თუმი (55)

**ფენერბაჰჩე-გაზიანთეფი** 1:0
**გოლი:** 1:0 ანდრე სანტოსი (90)

**სივასი-კასიმფაშა** 1:1
**გოლები:** 0:1 გულეცი (83), 1:1 კილიჩი (90)

**ქაისერი-კონია** 1:3
**გოლები:** 0:1 რობაკი (86), 1:1 სანტანა (90), 1:2 გრანჩიარი (90), 1:3 დერე (90)

**ანთალია-ესქიშეჰირი** 2:2
**გოლები:** 1:0 ზიტუნი (25), 1:1 ბ. კარადენიზი (42), 2:1 ათესი (66-პენ), 2:2 იოზთურქი (85)

**ტრაბზონი-ბურსა** 1:0
**გოლი:** 1:0 ბ. ილმაზი (45)

**მანიშა-გალათასარაი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრაბზონი | 29 | 21 | 6 | 2 | 57:21 | 69 |
| 2. ფენერბაჰჩე | 29 | 21 | 4 | 4 | 66:28 | 67 |
| 3. ბურსა | 29 | 14 | 10 | 5 | 44:24 | 52 |
| 4. გაზიანთეფი | 29 | 14 | 7 | 8 | 39:28 | 49 |
| 5. ბეშიქთაში | 29 | 12 | 7 | 10 | 44:34 | 43 |
| 6. ესქიშეჰირი | 29 | 11 | 10 | 8 | 34:32 | 43 |
| 7. ქაისერი | 29 | 12 | 7 | 10 | 38:37 | 43 |
| 8. ბუიუქშეჰირი | 29 | 12 | 4 | 13 | 37:35 | 40 |
| 9. ქარაბიუქი | 29 | 10 | 7 | 12 | 42:46 | 37 |
| 10. ანთალია | 29 | 9 | 10 | 10 | 32:38 | 37 |
| 11. ანკარაგიუჯუ | 29 | 9 | 9 | 11 | 45:51 | 36 |
| 12. მანიშა | 28 | 11 | 3 | 14 | 39:43 | 36 |
| 13. გენჩლერი | 29 | 9 | 8 | 12 | 37:44 | 35 |
| 14. გალათასარაი | 28 | 10 | 3 | 15 | 29:38 | 33 |
| 15. სივასი | 29 | 8 | 8 | 13 | 36:48 | 32 |
| 16. ბუკა | 29 | 6 | 6 | 17 | 25:48 | 24 |
| 17. კონია | 29 | 4 | 9 | 16 | 23:41 | 21 |
| 18. კასიმფაშა | 29 | 5 | 6 | 18 | 27:58 | 21 |

**ბომბარდირები:** 19 - ალექსი (ფენერბაჰჩე); 15 - ნიანგი (ფენერბაჰჩე); 14 - ბ. ილმაზი (ტრაბზონი); 13 - ემენიკე (ქარაბიუქი).

### მაინცი-ბორუსია (მ) 1:0

**მაინცი (4-2-3-1):** ვეტკლო - კალიჯური, ბუნგერტი, კირხჰოფი, ფუხსი - პოლანსკი, სოტო - რისსე (46. გოპკო/85. ფ. ჰელერი), ჰოლტბი (77. შლიშკოვიჩი), შიურლე - ალაგუი.
**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ტერ შტეგენი - იანტშკე (89. მატმური), შტრანცლი, დანტე, დემსი - ნორდტვეიტი (89. ბრუვერსი), ნოიშტედტერი - როისი, არანგო - ჰანკე, იდრისუ.
**გოლი:** 1:0 შიურლე (87)
**გაფრთხილება:** ფუხსი - იდრისუ
**გაძევება:** ჰანკე (53. ბორუსია მ)
**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 17-11; **თამაშგარე:** 9-2; **კარში დარტყმა:** 10(2)-11(3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.
**მაყურებელი:** 20 300

### ჰამბურგი-ჰანოვერი 0:0

**ჰამბურგი (4-1-3-2):** ფ. როსტი - დიკმაიერი, კაჩარი, ვესტერმანი, აოგო - იაროლიმი - თორუნი (61. პიტროიპა), ზე რობერტო, ელია - ვან ნისტელროოი, პეტრიჩი.
**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი - ჩერუნდოლო, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი - შმიდებახი, პინტუ - შტინდლი, რაუში - ია კონანი, აბდელაუ (85. შლაუდრაფი).
**გაფრთხილება:** იაროლიმი - შტინდლი, ია კონანი, პინტუ
**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 12-19; **თამაშგარე:** 10-3; **კარში დარტყმა:** 11(3)-15(6); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.
**მაყურებელი:** 57 000

### ვოლფსბურგი-ზანკტ პაული 2:2

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ბენალიო - რიტერი, კიაერი, ა. ფრიდრიხი, მ. შეფერი - ჟოსუე (79. ჰელმესი) - ჰასებე (52. პოლაკი), დეჟაგა - დიეგო (73. კოო) - მანჯუკიჩი, გრაფიტე.
**ზანკტ პაული (4-2-3-1):** კესლერი - ლეხნერი, თორანდტი, ეგერი, გიუნეში - ბოლი (65. დაუბე), მ. ლემანი - ბრუნსი (57. ნაკი), ტაკი, მ. კრუსე - ასამოა (86. ებერსი).
**გოლები:** 1:0 მანჯუკიჩი (39), 1:1 ნაკი (61), 1:2 მ. ლემანი (77), 2:2 პოლაკი (89)
**გაფრთხილება:** ჰასებე, კოო - ბრუნსი, ასამოა
**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 9(3)-19(8); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.
**მაყურებელი:** 30 000

### ჰოფენჰაიმი-აინტრახტი 1:0

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** შტარკე - იბერტსბერგერი, ვორსა, კომპერი, ბრააფჰაიდი - ვაისი, რუდი (46. სიგურდსონი) - მლაპა, (74. რობერტო ფირმინიო), ალაბა, ბაბელი (90. ვესტერგაარდი) - იბიშევიჩი.
**აინტრახტი (4-2-3-1):** ფერმანი - ს. იუნგი, ფრანცი (68. ვასოსკი), რუსი, კიოლერი - შვეგლერი, როდე (81. კიტელი) - ოხსი, ა. მაიერი (81. ფენინი), ჰალილ ალთინთოფი - გეკასი.
**გოლი:** 1:0 რობერტო ფირმინიო (78)
**გაფრთხილება:** მლაპა, ბაბელი, რობერტო ფირმინიო - იუნგი, მაიერი, ფრანცი
**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 20-9; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 16(4)-13(5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.
**მაყურებელი:** 30 164

### კიოლნი-შტუტგარტი 1:3

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი - ბრეჩკო, ჟერომელი, მოჰამადი, აიხნერი - ლანიგი, პეტიტი (71. იალჩინი) - ჩიჰი, პოდოლსკი, პეჟკო (17. კლემენსი) - ნოვაკოვიჩი.
**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - ბულარუზი, ტასკი, ნიდერმაიერი, მოლინარო - ტრეში, კუზმანოვიჩი - ჰარნიკი (79. შიპლოკი), ჰაინალი (82. გენტნერი), ოკაზაკი - კაკაუ (91. დელპიერი).
**გოლები:** 0:1 ტრეში (51), 0:2 ჰარნიკი (53), 0:3 კუზმანოვიჩი (63-პენ), 1:3 ნოვაკოვიჩი (68)
**გაფრთხილება:** პეტიტი, ჟერომელი, რენზინგი, ლანიგი, იალჩინი, პოდოლსკი - ბულარუზი, მოლინარო
**კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 26-19; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 13(4)-22(11); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.
**მაყურებელი:** 50 000

### კაიზერსლაუტ.-ნიურნბერგი 0:2

**კაიზერსლაუტერნი (4-1-4-1):** ტრაპი - დიკი, აბელი, როდნი, იესენი (85. ამედიკი) - პეცოსი - რივიჩი (46, ჰოფერი), ტიფერტი, მორავეკი, ჰლუშეკი (76. ამრი) - ლაკიჩი.
**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი - ჩანდლერი, ნილსონი, ვოლშაიდი, პინოლა - სიმონსი, კოენი (88. მარო) - ჰეგელერი, ექიჩი (83. გიუნდოგანი), აიგლერი - შიბერი (74. მაკი).
**გოლები:** 0:1 აიგლერი (34), 0:2 მაკი (92)
**გაფრთხილება:** დიკი - ექიჩი, პინოლა
**კუთხური:** 0-6; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 10(2)-12(7); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.
**მაყურებელი:** 49 780

### ვერდერი-შალკე 1:1

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე - ფრიტცი, მერტეზაკერი, პასანენი, სილვესტრი - ფრინგსი - ბოროვსკი, ვესლი (72. დ. შმიდტი) - მარინი - პისარო (74. არნაუტოვიჩი), ვაგნერი.
**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი - უჩიდა, მეტცელდერი, ჰიოვედესი, დანილო ალვარი - პაპადოპულოსი (46. ხურადო), ანანი - ფარფანი, დრაქსლერი - რაული (75. ბაუმიოჰანი), ხარისტეასი (46. ედუ).
*59-ე წუთზე ვაგნერმა (ვერდერი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*
**გოლები:** 1:0 ვაგნერი (59), 1:1 ედუ (63)
**გაფრთხილება:** ხარისტეასი, პაპადოპულოსი, ანანი
**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 12-24; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 15(5)-14(6); **ბურთის ფლობა:** 56%-45%.
**მაყურებელი:** 40 500

### ბაიერნი-ლევერკუზენი 5:1

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი - ლამი, ვან ბოიტენი (80. ბრენო), ლუის გუსტავო, პრანიჩი (15. კონტენტო) - ტიმოშჩუკი, შვაინშტაიგერი (80. ოტლი) - თ. მიულერი, კლოზე, რიბერი - გომესი.
**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ადლერი - ბალიტში, შვააბი, რაინარტცი, კასტრო (46. ლ. ბენდერი) - ვიდალი (80. კადლეცი), როლფესი - სემი, ბალაკი, რენატო (56. კისლინგი) - დერდიოკი.
**გოლები:** 1:0 როლფესი (7-საკ. კარში), 2:0 გომესი (28), 3:0 გომესი (44), 4:0 გომესი (45+1), 4:1 დერდიოკი (62), 5:1 რიბერი (75)
**გაფრთხილება:** ტიმოშჩუკი - ვიდალი
**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 5(4)-7(3); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.
**მაყურებელი:** 69 000

### ბორუსია (დ)-ფრაიბურგი 3:0

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიუჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი (28. და სილვა) - ბლაშჩიკოვსკი, გიოტცე (82. დედე), გროსკროიტცი (86. ფოილნერი) - ლევანდოვსკი.
**ფრაიბურგი (4-1-4-1):** ბაუმანი - მუიჯა, ბართი, ტოპრაკი, ბუტშერი - შუსტერი (80. ნიკუ) - კალიჯური, მაკიადი, პუცილა (78. იეგერი), იენდრიშეკი (60. რაიზინგერი) - სისე.
**გოლები:** 1:0 გიოტცე (23), 2:0 ლევანდოვსკი (43), 3:0 გროსკროიტცი (78)
**გაფრთხილება:** ჰუმელსი - კალიჯური, ბართი
**კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 13-23; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 20(5)-2(2); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.
**მაყურებელი:** 80 720

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 30 | 21 | 6 | 3 | 62:18 | 69 |
| 2. ლევერკუზენი | 30 | 18 | 7 | 5 | 60:40 | 61 |
| 3. ბაიერნი | 30 | 16 | 7 | 7 | 66:36 | 55 |
| 4. ჰანოვერი | 30 | 17 | 3 | 10 | 42:40 | 54 |
| 5. მაინცი | 30 | 15 | 3 | 12 | 44:37 | 48 |
| 6. ნიურნბერგი | 30 | 13 | 7 | 10 | 45:38 | 46 |
| 7. ჰამბურგი | 30 | 12 | 7 | 11 | 44:45 | 43 |
| 8. ფრაიბურგი | 30 | 12 | 5 | 13 | 38:44 | 41 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 30 | 10 | 10 | 10 | 45:42 | 40 |
| 10. შალკე | 30 | 11 | 7 | 12 | 35:34 | 40 |
| 11. ვერდერი | 30 | 8 | 11 | 11 | 40:56 | 35 |
| 12. კიოლნი | 30 | 10 | 5 | 15 | 40:57 | 35 |
| 13. კაიზერსლ. | 30 | 9 | 7 | 14 | 40:48 | 34 |
| 14. შტუტგარტი | 30 | 9 | 6 | 15 | 52:55 | 33 |
| 15. აინტრახტი | 30 | 9 | 6 | 15 | 29:40 | 33 |
| 16. ვოლფსბურგი | 30 | 6 | 11 | 13 | 34:44 | 29 |
| 17. ზანკტ პაული | 30 | 8 | 5 | 17 | 32:53 | 29 |
| 18. ბორუსია (მ) | 30 | 7 | 5 | 18 | 43:64 | 26 |

**ბომბარდირები:** 22 - გომესი (ბაიერნი); 20 - სისე (ფრაიბურგი); 16 - გეკასი (აინტრახტი), 14 - ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 13 - ბარიოსი (ბორუსია დ), ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), შიურლე (მაინცი), ია კონანი (ჰანოვერი).

### II ბუნდესლიგა

XXX ტური

**ფორტუნა-უნიონი** 3:0
**გოლები:** 1:0 რიოსლერი (17), 2:0 ლამბერტცი (36), 3:0 ოლსიო (67)

**ფრანკფურტი-მიუნხენ 1860** 2:1
**გოლები:** 0:1 ფოლანდი (34), 1:1 ნ'დიაიე (59), 2:1 ნ'დიაიე (68)

**ინგოლშტადტი-ბოხუმი** 3:0
**გოლები:** 1:0 ჰარტმანი (1), 2:0 კარლი (31), 3:0 ლაიტლი (60)

**ჰერტა-ოსნაბრიუკი** 4:0
**გოლები:** 1:0 ლასოგა (37), 2:0 რამოსი (41), 3:0 ლასოგა (56), 4:0 რამოსი (89)

**კოტბუსი-დუისბურგი** 3:1
**გოლები:** 1:0 პეტერსენი (47), 2:0 სიორენსენი (50), 3:0 პეტერსენი (70), 3:1 ილმაზი (88)

**არმინია-ობერჰაუზენი** 3:3
**გოლები:** 0:1 ტერანოვა (12), 1:1 ჰაიდინგერი (50), 1:2 კიონიგი (55), 2:2 რაიხერტი (56-საკ. კარში), 2:3 კაია (58-პენ), 3:3 ტედიჩი (93)

**ფიურტი-პადერბორნი** 2:0
**გოლები:** 1:0 კაპლანი (57), 2:0 ჰაასი (86)

**ალემანია-აუე** 1:5
**გოლები:** 1:0 შტიბერი (11), 1:1 კერნი (17), 1:2 ჰენზელი (71), 1:3 რამაი (73), 1:4 ჰოხშაიდტი (75), 1:5 კერნი (77)

**კარლსრუე-აუგსბურგი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 30 | 20 | 5 | 5 | 63:25 | 65 |
| 2. აუგსბურგი | 29 | 17 | 7 | 5 | 52:21 | 58 |
| 3. ბოხუმი | 30 | 17 | 4 | 9 | 40:33 | 55 |
| 4. ფიურტი | 30 | 15 | 9 | 6 | 41:22 | 54 |
| 5. აუე | 30 | 15 | 7 | 8 | 37:33 | 52 |
| 6. კოტბუსი | 30 | 14 | 6 | 10 | 57:45 | 48 |
| 7. დუისბურგი | 30 | 13 | 7 | 10 | 45:33 | 46 |
| 8. ფორტუნა | 30 | 14 | 3 | 13 | 41:35 | 45 |
| 9. მიუნხენ 1860 | 30 | 12 | 9 | 9 | 42:31 | 43 |
| 10. ალემანია | 30 | 11 | 8 | 11 | 50:55 | 41 |
| 11. უნიონი | 30 | 10 | 8 | 12 | 32:36 | 38 |
| 12. ფრანკფურტი | 30 | 11 | 4 | 15 | 40:45 | 37 |
| 13. ინგოლშტადტი | 30 | 9 | 7 | 14 | 38:43 | 34 |
| 14. პადერბორნი | 30 | 8 | 8 | 14 | 27:42 | 32 |
| 15. კარლსრუე | 29 | 7 | 8 | 14 | 39:63 | 29 |
| 16. ოსნაბრიუკი | 30 | 7 | 6 | 17 | 37:57 | 27 |
| 17. ობერჰაუზენი | 30 | 6 | 7 | 17 | 26:53 | 25 |
| 18. არმინია | 30 | 3 | 7 | 20 | 25:60 | 16 |

** მიუნხენ 1860-ს დაკლებული აქვს ორი ქულა*

**ბომბარდირები:** 23 - პეტერსენი (კოტბუსი); 17 - აუერი (ალემანია); 15 - მიოლდერსი (ფრანკფურტი); 14 - ლაუთი (მიუნხენ 1860).

## უცხოური ფეხბურთი

**იტალია. სერია A. XXXIII ტური**

# მილანი თითქმის ჩემპიონია

## შვიდი გოლი ლიდერის სასარგებლოდ

| ფენიქსი-დეფენსორი | 0:1 |
| ელ ტანკე-დანუბიო | 3:2 |
| ლივერპული-პენიაროლი | 2:4 |
| სერო-ტაკუარემბო | 2:2 |
| რივერ პლეიტი-ნასიონალი | 4:2 |
| ბელა ვისტა-რასინგი | 1:0 |
| მონტევიდეო-სენტრალი | 2:2 |
| მირამარი-რამპლა | 1:2 |

## მექსიკა

XV ტური

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-ტიგრესი | 0:1 |
| მონტერეი-მორელია | 1:1 |
| გვადალახარა-ს. ლაგუნა | 0:1 |
| პაჩუკა-ატლასი | 1:2 |
| სან ლუისი-ტოლუკა | 1:2 |
| ატლანტე-ნეკაქსა | 1:1 |
| პუებლა-კრუს ასული | 2:0 |
| პუმასი-კერეტარო | 3:0 |
| ტეკოსი-ამერიკა | გვ. დასრულდა |

## აშშ

V ტური

| | |
|---|---|
| ფილადელფია-სიეტლი | 1:1 |
| ტორონტო-დი სი იუნაიტედი | 0:3 |
| ვანკუვერი-ჩივასი | 0:0 |
| კოლამბუსი-კანზასი | 1:0 |
| ნიუ იორკი-სან ხოსე | 3:0 |
| ჩიკაგო-ლოს ანჯელესი | 1:2 |
| პორტლენდი-დალასი | გვ. დასრულდა |
| ჰიუსტონი-ნიუ ინგლენდ | გვ. დასრულდა |

## ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIII ტური

### ბირმინგემი–სანდერლენდი 2:0

**ბირმინგემი** (4-4-2): ფოსტერი - კარი, რიჯუელი, რ. ჯონსონი, პენერბი - ლარსონი (88. ფეჰეი), ფერგიუსონი, გარდნერი, ბოიერი - ჯერომი (90. დერბიშირი), ქ. ფილიპსი (63. ჰლები).

**სანდერლენდი** (4-4-2): მინოლე - ალ მუჰამადი, ონუოჰა, ტერნერი, ბერდსლი - ჰენდერსონი, კოლბეკი (77. მოლბრანკი), კეტერმოლი, სესენიონი - უილბეკი (71. ნობლი), ასამოა გიანი.

**გოლები:** 1:0 ლარსონი (41), 2:0 გარდნერი (65)

**კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 7-10; **კარში დარტყმა:** 10-23 (3-4); **თამაშგარე:** 4-1; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 28 103

### ბლექპული–უიგანი 1:3

**ბლექპული** (4-4-2): გილკსი - ერდლი, ივეტი, კეთკერტი, კრეინი - ტეილორ-ფლეტჩერი (58. ბიტი), საუთერნი, ადამი, ვერნი (59. პენჩიონი) - გრენდინი (59. მ. ფილიპსი), დი ჯეი კემპბელი.

**უიგანი** (4-3-3): ალ ჰაბსი - ბოისი, ალკარასი, კოლდუელი, გოჰური - მაკარტი, უოტსონი, დიამე (80. გომესი) - კლივერლი, ნ'ზოგბია (77. სემონი), როდალეგა.

**გოლები:** 0:1 როდალეგა (3), 0:2 ნ'ზოგბია (45), 0:3 დიამე (66), 1:3 დი ჯეი კემპბელი (83)

**გაფრთხილება:** ივეტი, კრეინი - როდალეგა, მაკარტი

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 14-12; **კარში დარტყმა:** 13-10 (6-4); **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 16 030

### ევერტონი–ბლექბერნი 2:0

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი - ჰიბერტი, დისტინი, ჯეგიელკა, ბეინესი - ბელიალეტდინოვი, ჰეიტინგა (16. როდუელი), ფ. ნევილი, გუეიე (66. კოულმენი) - ოსმანი, ბეკფორდი (85. ველიოსი).

**ბლექბერნი** (4-4-2): რობინსონი - სალგადო, ფ. ჯონსი, სამბა, ჟივე (68. პედერსენი) - ემერტონი, დ. დანი, ჯ. ჯონსი, ოლსონი - როჩინა (81. ბენჯანი), სანტა კრუსი (61. რობერტსი).

**გოლები:** 1:0 ოსმანი (54), 2:0 ბეინესი (75-პენ)

**გაფრთხილება:** ბეინესი - დ. დანი, როჩინა, ჯონსი

**კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 10-19; **კარში დარტყმა:** 18-7 (4-1); **თამაშგარე:** 1-2; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 35 857

### ვესტ ბრომვიჩი–ჩელსი 1:3

**ვესტ ბრომვიჩი** (4-5-1): კერსონი - რიდი, ოლსონი, მეიტე, შორი - ბრანტი, მულუმბუ, შარნერი (73. ხარა), მორისონი (73. ველა), ტომასი (82. ტჩოი) - ოდემვინგე.

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი - ივანოვიჩი (63. ბოსინგვა), ტერი, ლუიზი, ე. კოული - ესიენი, მიკელი, ლემპარდი (77. ბენაიუნი) - კალუ, მალუდა, დროგბა (82. ტორესი).

**გოლები:** 1:0 ოდემვინგე (17), 1:1 დროგბა (22), 1:2 კალუ (26), 1:3 ლემპარდი (45)

**გაფრთხილება:** მეიტე

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 8-9; **კარში დარტყმა:** 14-21 (2-8); **თამაშგარე:** 0-9; **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 25 163

### ვესტ ჰემი–ასტონ ვილა 1:2

**ვესტ ჰემი** (4-4-2): გრინი - იაკობსენი, აპსონი, და კოსტა (14. გებიდონი), ბრიჯი - ო'ნილი (63. ბა), ჰიტცლშპერგერი, ნობლი, ობინა (58. ჰაინესი) - კინი, კოული

**ასტონ ვილა** (4-4-2): ფრიდელი - უოქერი, დანი, კოლინზი, ლ.იანგი - ე. იანგი, ს. პეტროვი, რიო-კოკერი, დაუნინგი - ბენტი, ჰესკი (78. აგბონლაჰორი).

**გოლები:** 1:0 კინი (2), 1:1 ბენტი (36), 1:2 აგბონლაჰორი (90)

**კუთხური:** 5-11; **ჯარიმა:** 8-4; **კარში დარტყმა:** 17-24 (5-8); **თამაშგარე:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 33 000

### არსენალი–ლივერპული 1:1

**არსენალი** (4-4-2): შჩესნი - ებუე, კოშელნი, დჯურუ, კლიში - უოლკოტი (73. არშავინი), დიაბი (81. სონგი), უილშირი (72. ბენდტნერი), ნასრი - ფაბრეგასი, ვან პერსი.

**ლივერპული** (4-4-2): რეინა - ფლენაგანი, შკრტელი, კარაგერი (62. კირიაკოსი), აურელიო (22. რობინსონი) - კუიტი, ლუკასი, სპირინგი, მეირელეში - სუარესი, ქეროლი (71. შილვი).

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (90-პენ), 1:1 კუიტი (90-პენ)

**გაფრთხილება:** ებუე, ვან პერსი - ფლენაგანი, შკრტელი, შილვი, ლუკასი

**კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 12-12; **კარში დარტყმა:** 16-10 (5-5); **თამაშგარე:** 1-2; **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 60Ფ29

# დრამატული და მოსაწყენი

როდესაც 90 წუთიანი შეხვედრის 112-ე წუთიც ამოიწურა, ლივერპულელმა **დირკ კუიტმა** პენალტით ანგარიში გაათანაბრა და მსაჯმა **ანრი მარინერმა** ბოლოჯერ ჩასტვინა, ტელეეკრანზე გამოჩნდა „არსენალის" თავკაცი **არსენ ვენგერი**, რომელიც კოლეგა **კენი დალგლიშისკენ** გაეშურა და ხელები გაშალა — აქაოდა, ეს რა პენალტი დაგარტყმევინესო. დინამიკში გაისმა დალგლიშის კითხვა: *არ იყო პენალტი?* ვენგერმა თავი გააქნია. დალგლიშმა ხელი ჩაიქნია და ფრანგს ზურგი აქცია...


არსენალი-ლივერპული

საგულისხმოა, რომ „არსენალმაც" ძალიან გვიან, 108 წუთზე გახსნა ანგარიში — **ჯეი სპირინგმა სესკ ფაბრეგასი** წააქცია. ეს ნაღდი წაქცევა იყო, ეჭვი არავის გასჩენია. პენალტი **რობინ ვან პერსიმ** გაიტანა და ყველას ეგონა, რომ საქმეც მოამთავრა, მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ?

ბუნებრივია კითხვა: რატომ გაგრძელდა თამაში ამდენ ხანს და სად იყვნენ გუნდები მანამდე? თამაში ამდენ ხანს იმიტომ გაგრძელდა, რომ მისი მსვლელობისას სტუმრებს რამდენჯერმე დაუშავდათ ფეხბურთელი და მოედანზე ექიმები ტრიალებდნენ. ოქმიდანაც ჩანს, რომ ლივერპულელთაგან მოედანი პირველმა **ფაბიო აურელიომ** დატოვა. ის დებიუტანტმა **ჯეკ რობინსონმა** შეცვალა და შესანიშნავადაც ითამაშა. მეორე ტაიმის დასაწყისში **ენდი ქეროლმა** დადგა ფეხი უხერხულად და ჯერ მოსავლელი, 10-15 წუთის მერე კი შესაცვლელიც შეიქნა, თუმცა ყველაზე ცუდი რამ ვეტერან **ჯეიმი კარაგერს** შეემთხვა — თანაგუნდელ **ჯონ ფლენაგანის** თავი ყბასი მოხვდა და მძიმედ დაშავდა. თითქოს გონებაც კი დაკარგა. ჟანგბადის ბალონით ასუნთქებდნენ.

ხოლო კითხვაზე, სად იყვნენ გუნდები ბოლო წუთებამდე, პასუხის გაცემა ასე შეიძლება: ისინი საკმაოდ მოსაწყენად თამაშობდნენ. აჩქარება და გამწვავება ნაკლებად იყო.

საბოლოოდ, შეხვედრა, რომელმაც, თავს გამოვუტყდეთ და აღძრა ეჭვი, რომ პრემიერლიგის ტიტულის ბედი შესაძლოა გადაწყვეტილიც კი არის, ფრედ დასრულდა.

თუ გავრცელებულ ხმებს ვირწმუნებთ, ზაფხულში **კარლო ანჩელოტის** „ჩელსის" მწვრთნელის თანამდებობიდან მოხსნიან, მაგრამ ზაფხულამდე თვენახევარია - ლურჯფორმიანმა ფეხბურთელებმა იტალიელის ხელმძღვანელობით დაამტკიცეს, რომ ყურების ჩამოყრას არ აპირებენ. ვესტ ბრომვიჩის სტადიონ „ჰოუთორნსზე" ანგარიში, მართალია, **პიტერ ოდემვინგემ** გახსნა, მაგრამ სტუმრებმა ძალები მოიკრიბეს და ერთის საპასუხოდ პირველ ტაიმშივე გაიტანეს სამი გოლი. ახლა სტატისტიკა გვეუბნება, რომ ანჩელოტის გუნდმა პრემიერლიგის ბოლო 11 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი წააგო, რვაში კი გაიმარჯვა. რაც შეეხება „ვესტ ბრომვიჩს", რომელსაც თებერვალში „ლივერპულიდან" გაგდებული **როი ჰოჯსონი** ჩაუდგა სათავეში, ექვსმატჩიანი წაუგებელი სერია დაუმთავრდა.

მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ ყველაზე მეტად **დიდიე დროგბა** შეაქო — ანგარიში კოტდივუარელმა თავდამსხმელმა გაათანაბრა. მწვრთნელმა თქვა:

*„ყველას გახსოვთ, რომ დიდებულად მომზადებულ დიდიეს შემოდგომაზე მალარია შეეყარა, რამაც რამდენიმე თვით უკან დაწია. თუმცა, კარგ ფორმაშია თუ ცუდში, როდესაც დროგბა მოედანზეა მაქსიმუმის გაკეთებას ცდილობს და გუნდს დიდად ადგება. ის აქამდეც „ჩელსის" წამყვანი ფეხბურთელი იყო და მომავალშიც ასე იქნება".*

რატომ დასჭირდა ანჩელოტის იმის ხაზგასმა, რომ დროგბა მომავალშიც „ჩელსის" წამყვანი ფეხბურთელი იქნება? ალბათ, იმიტომ, რომ „ლივერპულისგან" **ფერნანდო ტორესის** 50 მილიონ ფუნტად ყიდვის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ესპანელს უფრო ხშირად ვხედავთ - მის კლასს თავი რომ დავანებოთ, ამხელა ხარჯს გამართლება ხომ უნდა - მაგრამ „ელ ნინიოს" არა და არ აეწყო საქმე. ანჩელოტიმ ტორესი „ჰოუთორნსზეც" ათამაშა - სწორედ დროგბას ნაცვლად შეიყვანა მოედანზე მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე. ერთ წუთში ესპანელმა გოლიც შეაგდო, მაგრამ... თანამსაჯმა ალამი ააფრიალა, ოფსაიდი იყოო. ცოტა ხანში კი 50 მილიონად შეფასებულმა ფორვარდმა ახლოდან ააცილა, რითაც ვესტბრომვიჩელი ფანები ძალიან გაამხიარულა - საბრალოს უკვე დასცინიან.

შაბათის შეხვედრებიდან მნიშვნელოვანი იყო „ბლექპულისა" და „უიგანის" დაპირისპირება — სეზონის დამთავრებამდე 6 ტურით ადრე ცხრილის ქვედა ნაწილში არანაკლები ბრძოლაა ვიდრე ზედაში. „ბლექპულმა", ისევე როგორც ერთი კვირის წინ „არსენალთან", ამჯერადაც 3:1 წააგო. მატჩის შემდეგ დამარცხებულთა თავკაცი **იან ჰოლოუეი** ცეცხლს აკვესებდა:

*„ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში ორი გოლი ასე უბრალოდ არ უნდა გაუშვა. თან, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იღბალს. „არსენალთან" პენალტი გვეკუთვნოდა. რომ დაენიშნათ, ჩვენი საქმე სხვანაირად იქნებოდა. არც „უიგანთან" გაგვიმართლა, მაგრამ არა უშავს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ ცხოვრებაში არავინ არაფერს მოგცემს, ყველაფერი შენით უნდა მოინადირო. ახლა დაჭრილი ნადირივით ვართ და დარჩენილ შეხვედრებში მოწინააღმდეგეებს არაფერს დავუთმობთ".*

საყურადღებო იყო „ბირმინგემისა" და „სანდერლენდის" შეხვედრაც, რომელიც მასპინძლებმა 2:0 მოიგეს. პირველი გოლი **სებასტიან ლარსონმა** შეაგდო, რასაც იმიტომ გამოვყოფთ, რომ ეს 25 წლის შვედისთვის მეასე თამაში გახლდათ პრემიერლიგაში. მატჩის შემდგომ „სანდერლენდის" თავკაცმა **სტივ ბრუსმა** დაიჩივლა:

*„ამ სეზონში ერთი-ორჯერ ვთქვი, რომ ჩემი გუნდის თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ. ახლა ამას ვერ გავიმეორებ. ამაზე მეტი ბიჭებისთვის არასდროს მომითხოვია, მაგრამ მაინც დავმარცხდით".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 32 | 20 | 9 | 3 | 70-32 | 69 |
| 2. არსენალი | 32 | 18 | 9 | 5 | 63-31 | 63 |
| 3. ჩელსი | 32 | 18 | 7 | 7 | 58-26 | 61 |
| 4. სიტი | 32 | 16 | 8 | 8 | 50-30 | 56 |
| 5. ტოტენჰემი | 31 | 14 | 11 | 6 | 44-36 | 53 |
| 6. ლივერპული | 33 | 14 | 7 | 12 | 46-39 | 49 |
| 7. ევერტონი | 33 | 11 | 14 | 8 | 47-41 | 47 |
| 8. ბოლტონი | 32 | 11 | 10 | 11 | 46-43 | 43 |
| 9. ასტონ ვილა | 33 | 10 | 10 | 13 | 42-54 | 40 |
| 10. ნიუკასლი | 32 | 10 | 9 | 13 | 48-47 | 39 |
| 11. ვესტ ბრომ. | 33 | 10 | 9 | 14 | 47-62 | 39 |
| 12. ფულჰემი | 32 | 8 | 14 | 10 | 36-35 | 38 |
| 13. სტოკი | 32 | 11 | 5 | 16 | 39-42 | 38 |
| 14. ბირმინგემი | 32 | 8 | 14 | 10 | 33-43 | 38 |
| 15. სანდერლ. | 33 | 9 | 11 | 13 | 35-47 | 38 |
| 16. ბლექბერნი | 33 | 9 | 8 | 16 | 40-54 | 35 |
| 17. უიგანი | 33 | 7 | 13 | 13 | 32-53 | 34 |
| 18. ბლექპული | 33 | 9 | 6 | 18 | 47-69 | 33 |
| 19. ვესტ ჰემი | 33 | 7 | 11 | 15 | 39-58 | 32 |
| 20. ვულვზი | 32 | 9 | 5 | 18 | 36-56 | 32 |

**ბომბარდირები:** 21 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 19 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 14 - ბენტი (ასტონ ვილა); 13 - ვან პერსი (არსენალი), ქეროლი (ლივერპული).

### გადადებული მატჩები

19 აპრილი: ნიუკასლი-მანჩესტერ იუნაიტედი.

20 აპრილი: ჩელსი-ბირმინგემი, ტოტენჰემი-არსენალი.

### მომდევნო ტური

23 აპრილი: მანჩესტერ იუნაიტედი-ევერტონი, ასტონ ვილა-სტოკი, ბლექპული-ნიუკასლი, ლივერპული-ბირმინგემი, სანდერლენდი-უიგანი, ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი, ვულვერჰემპტონი-ფულჰემი, ჩელსი-ვესტ ჰემი.

24 აპრილი: ბოლტონი-არსენალი; ბლექბერნი-მანჩესტერ სიტი.

### ინგლისი. ჩემპიონშიპი

XXXXII ტური

**ბრისტოლი-იფსვიჩი 0:1**

გოლი: 0:1 კერსონი (51)

**ბარნსლი-სუონსი 2:1**

გოლები: 0:1 ბორინი (53), 1:1 უილიამსი (1:1 ს.კ.), 2:1 იგლზი (76-პენ)

**კარდიფი-პორტსმუთი 3:0**

გოლები: 1:0 ოლოფინიანა (5), 2:0 ბოთროიდი (45), 3:0 უიტინგემი (72)

**ქოვენთრი-მილუოლი 2:1**

გოლები: 1:0 მ. კინგი (7), 1:1 თაუნსენდი (45), 2:1 მ. კინგი (84)

**კრისტალ პალასი-სკანთორპი 1:2**

გოლები: 0:1 მირფინი (24), 0:2 ნუნიესი (54), 1:2 სკანელი (69)

**ჰალი-დონკასტერი 3:1**

გოლები: 1:0 გარსია (9), 1:1 მუსა (15), 2:1 ფრაიატი (21-პენ), 3:1 ფრაიატი (49)

**ლიდსი-უოტფორდი 2:2**

გოლები: 1:0 ბეკიო (71), 1:1 ჰოდსონი (78), 1:2 უაიმანი (65), 2:2 დინი (87)

**მიდლსბრო-ბარნსლი 1:1**

გოლები: 0:1 ჰერევუდი (21), 1:1 მაკდონალდი (84)

**პრესტონი-შეფილდი 3:1**

გოლები: 1:0 ტრისი (54), 2:0 ტრისი (68), 2:1 სლიუ (71), 3:1 ელინგტონი (90)

**რედინგი-ლესტერი 3:1**

გოლები: 1:0 კები (18), 2:0 მაკანუფი (21), 3:0 ჰანტი (66), 3:1 ე. კინგი (79)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუინზ პარკი | 41 | 23 | 13 | 5 | 65-27 | 82 |
| 2. კარდიფი | 42 | 22 | 9 | 11 | 72-48 | 75 |
| 3. ნორვიჩი | 42 | 20 | 14 | 8 | 72-53 | 74 |
| 4. რედინგი | 42 | 19 | 15 | 8 | 73-47 | 72 |
| 5. სუონსი | 42 | 21 | 7 | 14 | 59-41 | 70 |
| 6. ლიდსი | 42 | 17 | 14 | 11 | 78-68 | 65 |
| 7. ნოტინგემი | 42 | 16 | 15 | 11 | 55-45 | 63 |
| 8. ჰალი | 42 | 16 | 15 | 11 | 48-42 | 63 |
| 9. მილუოლი | 42 | 16 | 13 | 13 | 56-44 | 61 |
| 10. ლესტერი | 42 | 17 | 9 | 16 | 65-63 | 60 |
| 11. ბარნსლი | 41 | 16 | 12 | 13 | 56-55 | 60 |
| 12. იფსვიჩი | 42 | 17 | 8 | 17 | 56-54 | 59 |
| 13. უოტფორდი | 42 | 15 | 13 | 14 | 73-62 | 58 |
| 14. პორტსმუთი | 42 | 15 | 10 | 17 | 51-57 | 55 |
| 15. ბრისტ. სიტი | 42 | 15 | 9 | 18 | 53-59 | 54 |
| 16. ქოვენთრი | 42 | 14 | 10 | 18 | 50-53 | 52 |
| 17. ბარნსლი | 42 | 13 | 12 | 17 | 50-61 | 51 |
| 18. მიდლსბრო | 41 | 13 | 11 | 17 | 55-62 | 50 |
| 19. დერბი | 41 | 13 | 9 | 19 | 53-60 | 48 |
| 20. დონკასტერი | 42 | 11 | 12 | 19 | 52-75 | 45 |
| 21. კრ. პალასი | 42 | 11 | 10 | 21 | 42-65 | 43 |
| 22. სკანთორპი | 42 | 12 | 4 | 26 | 39-78 | 40 |
| 23. პრესტონი | 42 | 9 | 12 | 21 | 50-71 | 39 |
| 24. შეფილდ იუნ | 42 | 9 | 8 | 25 | 36-69 | 35 |

ბომბარდირები: 24 - გრეი (უოტფორდი); 21 - ლონგი (რედინგი); 20 - ჰოლტი (ნორვიჩი); 19 - ბეკიო (ლიდსი).

### პირველი ლიგა. XXXXII ტური

ნოტს ქაუნთი-ბურნმუთი 0:2, კერლისლი-კოლჩესტერი 4:1, ჩარლტონი-ჰადერსფილდი 0:1, ექსეტერი-ლეიტონი 2:1, პიტერბორო-პლიმუთი 2:1, როჩდეილი-ბრენტფორდი 0:1, შეფილდ უენსდი-ჰარტლპული 2:0, საუთჰემპტონი-ბრისტოლი 1:0, სუინდონი-მილტონი 0:1, ტრანმერი-დაგენჰემი 2:0, უოლსოლი-ბრაიტონი 1:3, იეოვილი-ოლდჰემი 1:1.

### მეორე ლიგა. XXXXII ტური

ეკრინგტონი-ოქსფორდი 0:0, ბარტონი-ჩელტენჰემი 2:0, ბერი-ბერნეტი 2:0, ჩესტერფილდი-მაკლსფილდი 2:1, ქრუ-ლინკოლნი 1:1, ჯილინგემი-მორკემბი 1:1, როტერჰემი-ჰერეფორდი 0:0, შრუსბერი-სტოკპორტი 2:0, სტივენიჯი-ოლდერშოტი 2:2, თორგუეი-პორტ ვეილი 0:0, უაიკომბი-ნორთჰემპტონი 2:2.

### კონფერენსი. XXXXIII ტური

ისტბერნი-კიდერმინსტერი 1:1, ფლიტვუდი-ელტრინჩემი 3:1, ფორესტ გრინი-კემბრიჯი 1:1, გეიტსჰედი-რაშდენი 2:2, გრიმსბი-ბათი 2:2, ჰეიესი-დარლინგტონი 3:2, ჰისტონი-უიმბლდონი 0:4, მენსფილდი-ლუტონი 0:0, ნიუპორტი-ბეროუ 5:0, საუთპორტი-ქროული 0:4, ვრექსჰემი-კეტერინგი 2:0, იორკი-ტემურთი 1:2.

## ინგლისი. ფეხბურთის ასოციაციის თასი. ნახევარფინალი

### მანჩ. სიტი–მანჩ. იუნაიტედი 1:0

**მანჩესტერ სიტი** (4-5-1): ჰარტი - კოლაროვი, ლესკოტი, კომპანი, საბალეტა - ა. ჯონსონი (79. რაიტ-ფილიპსი), ბერი, ი. ტურე, დე იონგი, სილვა (86. ვიეირა) - ბალოტელი.

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-5-1): ვან დერ სარი - ო'ში (84. ფაბიო), ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ვალენსია (65. ერნანდესი), ქერიკი, სქოულზი, პარკი, ნანი - ბერბატოვი (74. ანდერსონი).

**გაფრთხილება:** საბალეტა, ბალოტელი, დე იონგი, კომპანი (ყველა სიტი)

**გაძევება:** სქოულზი (72-იუნაიტედი)

**გოლები:** 1:0 ი. ტურე (52)

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 14-9; **კარში დარტყმა:** 10-12 (2-6); **თამაშგარე:** 1-4; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 86 549

### ბოლტონი–სტოკი 0:5

**ბოლტონი** (4-3-3): იაასკელაინენი - გ. კეჰილი, რობინსონი, ნაითი, სტეინსონი - ლი, მ. პეტროვი (46 მ. დევისი), მუამბა (73. როდრიგო) - ელმანდერი, კ. დევისი, კლასნიჩი (46. ტეილორი)

**სტოკი** (3-5-2): სიორენსენი - შოუკროსი, უილკინსი, ჰუთი - უილსონი, უილენი, დილეპი, პენანტი (78. უაიტჰედი), ეზერინგტონი (87. პაფი) - კ. ჯონსი (84. ფულერი), უოლტერსი

**გოლები:** 0:1 ეზერინგტონი (11), 0:2 ჰუთი (17), 0:3 კ. ჯონსი (30), 0:4 უოლტერსი (68), 0:5 უოლტერსი (81)

**გაფრთხილება:** რობინსონი, გ. კეჰილი (ორივე ბოლტონი)

**კუთხური:** 9-6; **ჯარიმა:** 16-11; **კარში დარტყმა:** 8-13 (5-10); **თამაშგარე:** 0-1; **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 75 064

# 30 წლის შემდეგ

მატჩის შემდეგ **მარიო ბალოტელიმ რიო ფერდინანდი** გადაიყვანა ჭკუიდან — რაღაცით ხომ უნდა გამოეჩინა თავი. როდესაც პრესკონფერენციაზე, „სიტის" თავკაც **რობერტო მანჩინის** ჰკითხეს, ხომ არ ფიქრობთ, რომ ფერდინანდი თქვენს ფეხბურთელს სამართლიანად ეჩხუბებოდაო, გამარჯვებულთა იტალიელმა მწვრთნელმა უპასუხა:

*„თავად არაფერი დამინახავს. ჯერ დავიცდი, მომიყვნენ რა მოხდა და მერე გავაკეთებ კომენტარს. ისე ყოველთვის ყველაფერში ბალოტელი არის ხოლმე დამნაშავე".*




მაგრამ მანჩინის დიდხანს ცდა არ დასჭირვებია, ჟურნალისტებმა იქვე უამბეს, რაც მოხდა და ამ მონაყოლმა ბედნიერი ფინალისტი გაახალისა: *„მაშინ ბალოტელის დავაპატიმრებთ. შემდეგ კვირას ციხეში ჩავსვამთ".*

სინამდვილეში კი აი, რა ყოფილა: თავქარიან აფროიტალიელს ჯერ „მანჩესტერ იუნაიტედის" დამწუხრებული ფანების სექტორთან დაუწყია ცეკვა-თამაში (რითაც **ანდერსონი** გააბრაზა), შემდეგ კი ფერდინანდთან მისულა და თვალი ჩაუკრავს. ამ თვალის ჩაკვრამ ვეტერანი მცველი ისე გამოიყვანა წყობიდან, რომ ბალოტელის ხომ გამოუდგა და გამოუდგა, მერე მანჩინის თანაშემწე **დევიდ პლატზე** გადაერთო და ინგლისის ნაკრების 90-იანი წლების ვარსკვლავს ცხვირთან სულ თითი უტრიალა. ცნობისათვის: იმ დილით რიო ფერდინანდს მესამე შვილი შეეძინა.

ასე დამთავრდა შეხვედრა, რომელშიც „მანჩესტერ სიტიმ" სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა და 30 წლიანი „გაუჩინარების" შემდეგ კვლავ გამოჩნდა ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში. **იაია ტურეს** მიერ 52-ე წუთზე გატანილმა გოლმა „მანჩესტერ იუნაიტედს" 1999 წლის შედეგის, „ტრებლის" (ერთ სეზონში სამი ტიტულის მოპოვება) გამეორების შანსი მოუსპო.

სადისციპლინო მხარეზე ლაპარაკს ბალოტელის სულელური საქციელით ვერ ამოვწურავთ. შეხვედრის 72-ე წუთზე „იუნაიტედის" ვეტერანმა ნახევარმცველმა **პოლ სქოულზმა** „სიტის" არგენტინელ მცველ **პაბლო საბალეტას** ბარძაყში ისე ჩაარტყა ფეხი, რომ ქაცვების ღრმა ნაკვალევი დაუტოვა და მსაჯ **მაიკ დინს** წითელი ბარათი ამოალებინა.

მატჩის შემდეგ „იუნაიტედის" თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** თქვა: *„პოლს კარიერაში ბრწყინვალე მომენტები ჰქონია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ხანდახან წითელ ბარათსაც იმსახურებს. მან ბიჭს ფეხი დაუსერა..."*

სერ ალექსი მეორე ტაიმის დასაწყისით, უფრო ზუსტად 15 წუთით დარჩა უკმაყოფილო. მან თქვა: *„ვან დერ სარმა ბურთი ცუდად გამოიტანა, მერე მაიკლ ქერიკმა ის საკუთარ საჯარიმოს ვერ მოშორა და, შედეგად, გავიდა კიდეც გოლი ჩვენს კარში. დაწინაურებულ „სიტის" ერთი-ორი კონტრშეტევის გარდა სახიფათო ალარაფერი გაუკეთებია.*

*სამწუხაროა ასე რომ მოხდა, მით უმეტეს პირველი ტაიმის შემდეგ, როდესაც მეტოქეს ვჯობდით და გოლიც უნდა გაგვეტანა. გახსოვთ, როგორი შანსები გაუშვა ბერბატოვმა? მესმის, რომ იმ ეპიზოდებში მეკარე ჰარტმა ითამაშა ძალიან კარგად, მაგრამ რომ გაგვეტანა, ვფიქრობთ, მერე მოვიგებდით".*

მეტოქის მწვრთნელისგან ნაქებმა ჰარტმა თქვა: *„ჩვენთვის ეს გამარჯვება უდიდეს რამეს ნიშნავს. ბიჭები მეცხრე ცაზე არიან, ფანებიც ზეიმობენ, თუმცა ჯერ არაფერი გაკეთებულა. წინ ფინალია".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXII ტური

# მურეპე

## ჟოზე მოურინიო: მათამაშეთ მეც ერთხელ 10-კაციან ბარსასთან!



პენალტი, რომელმაც ბარსელონას 5-მატჩიანი სერია შეწყვიტა

ფეხბურთის გულშემატკივრებს იშვიათად გამართლებიათ ასე, როგორც ახლა - 3 მაისის ჩათვლით 17 დღის განმავლობაში 4 კლასიკო „რეალისა" და „ბარსელონას" შესრულებით. უკან საჩემპიონატო „კლასიკოა", დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანი, წინ კიდევ უფრო დიდი ამბები გველის - ოთხშაბათს ევროპის საფეხბურთო ცენტრი „მესტალია" გახდება, სადაც გრანდები სამეფო თასს გაითამაშებენ, შემდეგ კი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში დიდი ამბები იქნება.

შაბათის მატჩს, რაც შეეხება - **ხოსეპ გვარდიოლამ**, რაც „ბარსელონას" თავკაცია, პირველად ვერ მოიგო „კლასიკო", მაგრამ ამ 1:1-ის შემდეგ პრაქტიკულად გაუნაღდა თავის გუნდს ზედიზედ მესამე ჩემპიონობა - ლა ლიგის დასრულებამდე უკვე 6 ტური რჩება, კლუბებს შორის ისევ 8 ქულაა... სინამდვილეში, უკვე 9, რადგან ესპანეთში ერთნაირი ქულების დაგროვებაში პრიორიტეტი ურთიერთშეხვედრებს ენიჭება, აქ კი „ბარსელონამ" ოფიციალურად გაიფორმა უპირატესობა. მოკლედ, თითქმის ნახევარი მატჩი 10 კაცით მოთამაშე „რეალმა" არ წააგო შეხვედრა, მაგრამ წააგო ომი პირველი ტიტულისთვის, ჯერი ორ სხვა ტიტულზეა.

ამ თამაშმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, როგორია სამწვრთნელო არსენალის პატრონია **ჟოზე მოურინიო** და როგორ შეუძლია მატჩის მართვა და რთული სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა, როგორ შეუძლია არცთუ დაბალანსებული (თუმცა ვარსკვლავური) გუნდით იყოს კონკურენტუნარიანი. „ბარსელონას" შემთხვევაში კი ყველაფერი მარტივად არის, მწვრთნელიც შესანიშნავია და გუნდიც ჩინებულად აწყობილი. სხვათა შორის, ხოსეპ გვარდიოლამ ამ თამაშში კიდევ ერთი დადებითი თვისება გამოავლინა - პრაგმატულობა.

დავიწყოთ დასაწყისით, ჟოზეს გუნდის შემადგენლობის გამოცნობა გაცილებით რთული იყო, ვიდრე - პეპის. ის რომ კაპიტანი **კარლეს პუიოლი** თავს დადებდა, მაგრამ ამ შეხვედრაში მაინც ითამაშებდა, მაშინვე ცხადი იყო, როცა გვარდიოლამ მადრიდში წამსვლელი 20 კაცის სია ჩამოწერა. ეს კი მწვრთნელის მთავარი ექსპერიმენტის გაკეთებისგან იცავდა - პუიოლი მწყობრში როცაა, **სერხიო ბუსკეტსის** მცველად გადაყვანა რაღა საჭიროა. დანარჩენი 10 კაცის კი შეგვეძლო ერთი კვირით ადრე დაგვესახელებინა. მოურინიომ კი სიურპრიზით დაიწყო. გახსოვთ ალბათ, როგორ ჩაიკარგა **მესუთ იოზილი** „კამპ ნოუზე" 0:5 დასრულებულ მატჩში. თუმცა მოუმ ის იმიტომ კი არ დატოვა სათადარიგოთა სკამზე, რომ გერმანელს „ბარსას" შიში ჩამოუყალიბდა (მეორე ტაიმში მესუთმა დაამტკიცა, რომ ეს ასე სულაც არ არის), არამედ იმიტომ, რომ სულ სხვა ფეხბურთის თამაშს აპირებდა. **პეპე** პორტუგალიის ნაკრებში ხშირად თამაშობს საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე, „რეალში" - იშვიათად. ახლა კი მცველი სწორედ ამ პოზიციაზე სჭირდებოდა მოურინიოს და თანაც ძალიან - პორტუგალიელი **ჩავი-ინიესტა-მესის** სამკუთხედს ყელში უნდა გაჩხეროდა და, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს ერთი კაცისთვის, პეპემ ეს შეძლო. ის კი არა, **ალბიოლის** გაძევების შემდეგ ბუნებრივად უკანდახეული პეპე, მოურინიომ მალევე დააბრუნა ნახევარდაცვაში, რადგან დღევანდელ „რეალში" ის ერთადერთია, რომელსაც ორი კაცის ფუნქციის შესრულება შეუძლია.

პირველი სახიფათო მომენტი „ბარსელონასი" იყო - მე-19 წუთზე ინიესტამ მესის ბრწყინვალე პასი გადააწოდა, არგენტინელმა კი **კასილიასისთვის** ბურთის თავზე გადაგდება მოინდომა, რაც არ გამოუვიდა. „რეალის" ორი პასუხი **ბენზემასა** და **რონალდოს** შესრულებით ასეთი მწვავე არ ყოფილა. 27-ე წუთზე კი პირველი საკამათო ეპიზოდი მოხდა, მესიმ მეკარეს პირისპირ შეატოვა **დავიდ ვილია**, რომელიც ორთაბრძოლაში წაიქცა... ვფიქრობთ, საკამათო ბევრიც არაფერია - კასილიასმა მოცელა ვილია და პენალტი უნდა დანიშნულიყო, მაგრამ არბიტრი **სესარ მუნის ფერნანდესი** შეცდა.

პირველი ტაიმი უგოლოდ კი დასრულდა, მაგრამ შესვენებამდე ორივე გუნდს ანგარიშის გახსნის დიდებული შანსი მიეცა. მესიმ ერთხელაც აჯობა „რეალის" მცველებს და კარში სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ კასილიასმა ივარგა. საპირისპირო კართან კი **სერხიო რამოსის** თავური პასის შემდეგ რონალდო (ასევე თავით გაიტანდა), რომ არა **ადრიანო**, ბრაზილიელი კარის ხაზზე გადაელობა ბურთს.

მეორე ტაიმის პირველი სახიფათო მომენტი „რეალისაა" - 49-ე წუთზე რონალდოს საჯარიმო დარტყმა ძელს გაეხახუნა. 2 წუთში კი მოედანზე ყველაფერი შეიცვალა - „რეალი" 10 კაცით დარჩა, მის კარში კი პენალტი დაინიშნა - ვილიამ მოხერხებულობითა და მოქნილობით აჯობა ალბიოლს, რომელმაც ხელით დაიჭირა „ელ გუახე". პენალტი მესიმ უნაკლოდ შეასრულა - ეს იყო არგენტინელის პირველი გოლი მოურინიოს გუნდების კარში და 30-ე ჩემპიონატში.

ამის შემდეგ აი, რა მოხდა - გვარდიოლამ შედეგის შენარჩუნება ბურთის ხანგრძლივი გათამაშების ხარჯზე გადაწყვიტა, „ბარსა" ცენტრის სრული ბატონ-პატრონი იყო, თანაც სტუმრები არ ცდილობდნენ იერიშების მიტანას კასილიასის კარზე, ისინი უფრო ელოდნენ როდის უღალატებდა „რეალს" ნერვები. 61-ე წუთზე ჩავის დარტყმული ხარიხას გაეხახუნა. მოურინიო მიხვდა, რომ ამით წაგება გაფორმდებოდა და თამამ ცვლილებებს მიმართა - **დი მარია** და **ჩაბი ალონსო** მოხსნა შეხვედრიდან, **არბელოა** და **ადებაიორი** შემოიყვანა (მანამდე იოზილიც ჩაერთო თამაშში), პეპე კი ისევ შუახაზში გადაიყვანა. ამას დაემთხვა **პუიოლის** ტრავმაც და თამაშის ხასიათი კიდევ ერთხელ შეიცვალა - „რეალმა" მომენტების შექმნა დაიწყო, რომლებითაც კარგად ვერ ისარგებლეს **მარსელომ** და ადებაიორმა.

ცოტაც და „ბარსა" „რეალის" მიერ 1960 წელს დამყარებულ რეკორდს გაიმეორებდა, როცა „სამეფო კლუბმა" მიჯრით 6 „კლასიკო" მოიგო, მაგრამ რონალდოს პასით საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილი მარსელო მისმა თანამემამულე **დანი ალვეშმა** მოცელა. ჩვენი აზრით, იმ სამი საპენალტე სიტუაციიდან ყველაზე საეჭვო ეს ეპიზოდი იყო, თუმცა მსაჯი შეუვალი იყო - პენალტი კი რონალდომ გოლად აქცია, ეს მისი პირველი „კლასიკური" გოლია. ამის შემდეგაც დიდებული თამაში იყო, ის კი არა, სულ ბოლოს ვილიას რომ ხეირიანად გაეჩერებინა ბურთი, ისევ „ბარსა" მოიგებდა. მოკლედ, პლანეტის ორი საუკეთესო გუნდის ჯახში, პლანეტის ორი საუკეთესო ფეხბურთელის თითო პენალტით ფრე დაფიქსირდა - 1:1.

**ალვარო არბელოა** (რეალი): *„როცა 10 კაცით თამაშობ და აგებ, ბოლო წუთებზე გატანა და მარცხისგან ხსნა სულაც არ არის პატარა საქმე. ჩვენ ძალიან ბევრი მოვინდომეთ და ფრე დავიმსახურეთ კიდეც. რა თქმა უნდა, თავიდან ყველანი მოსაგებად გამოვედით, მაგრამ თამაში სულ სხვა სცენარით განვითარდა. 11 კაცით ბრწყინვალედ ვთამაშობდით, მათ შანსები თითქმის არ ჰქონდათ, ჩვენ - კი".*

**რიკარდო კარვალიო** (რეალი): *„ყველაზე მთავარი ის არის, რომ 10 კაცით თამაშისას მტკიცე ხასიათი გამოვავლინეთ და არ წავაგეთ შეხვედრა. ახლა „ბარსასთან" დარჩენილი თამაშების მოგებაზე ვიფიქრებთ. სამწუხაროა, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალურ მატჩს გამოვტოვებ".*

**მარსელო** (რეალი): *„მსაჯობა მე რატომ უნდა შევაფასო? ჩვენ ფეხბურთელები ვართ და უნდა ვითამაშოთ ბოლომდე, არ აქვს მნიშვნელობა რეფერი ჩვენს საწინააღმდეგო თუ საჩვენო გადაწყვეტილებებს იღებს. ახლა ყველას თასის ფინალის მოგება გვსურს".*

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„პირველ ტაიმში თანაბარი თამაში იყო, ჩვენ მეტოქეს კომპაქტურად ვეთამაშებოდით. ფრე სულ სხვაა და მოგება კიდევ სხვა, თუმცა ამ შეხვედრიდან პოზიტიურ დასკვნებს გამოვიტანთ. ჩვენ კი გვსურს, რომ ორივე გუნდის წინააღმდეგ თანაბარი მსაჯობა იყოს, წესები ხომ ერთი და იგივეა. უკვე დავიღალე 10 კაცით თამაშით. ახლა ალბიოლმა თასის ფინალი უნდა გამოტოვოს პრაქტიკულად არაფრის გამო. რიცხობრივ უმცირესობაში „ბარსელონასთან" თამაში კოშმარია. რეფერიმ კი იგივე სახის ჯარიმისთვის დანი ალვეში მოედანზე დატოვა. ერთხელ მეც მინდა 10-კაციანი „ბარსელონას" წინააღმდეგ თამაში. წინ თასის ფინალია, რომლის მოგება ძალიან ძნელი იქნება, თუმცა ჩვენ სწორედ ამას ვაპირებთ და, იმედია, „მესტალიაზე" მაინც ვიქნებით თანაბარ პირობებში".*

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ჩვენ ჯერ არ ვართ ჩემპიონები, წინ კიდევ 6 ტურია. ჩვენ ველოდით, რომ მოურინიო რაიმე სიურპრიზს შემოგვთავაზებდა და ასეთი პეპეს ნახევარდაცვაში თამაში იყო. პორტუგალიელი ძალიან ძლიერი და გამოცდილი ფეხბურთელია, მისი დამარცხება ძნელია. პეპემ ბევრი პრობლემა შეგვიქმნა, თუმცა ჩვენ ამისთვისაც მზად ვიყავით. მსაჯობაზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ვერც ერთი საკამათო ეპიზოდი ვერ დავინახე გარკვევით. იმედია, თასის ფინალში ისევ გვეყოლება პუიოლი".*

**ჩავი** (ბარსელონა): *„ბარსელონა" დღესაც ბევრად უკეთესი გუნდი იყო, ვიდრე „რეალი". ცუდია, რომ ვერ მოვიგეთ, ამით საბოლოოდ გადავწყვეტდით ჩემპიონის საკითხს. თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით და დაცვაშიც კარგად ვთამაშობდით, მაგრამ ბოლოსკენ საკუთარ თავებს შევუქმენით პრობლემები".*

**პედრო** (ბარსელონა): *„მეტოქემ პენალტით გაათანაბრა, რომლის მართებულობაში დარწმუნებული არა ვარ. „რეალს" ვაჯობეთ, თუმცა ფრეც კარგი შედეგია. აი, ოთხშაბათის თამაში კი სულ სხვა იქნება, მოგებული ხომ თასს მოიპოვებს".*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

**23 აპრილი:** ვალენსია-რეალი, ბარსელონა-ოსასუნა, ბილბაო-რეალ სოსიედადი.

**24 აპრილი:** ერკულესი-დეპორტივო, მალიორკა-ხეტაფე, რასინგი-მალაგა, სპორტინგი-ესპანიოლი, ატლეტიკო-ლევანტე, სევილია-ვილიარეალი.

**25 აპრილი:** სარაგოსა-ალმერია.

### მალაგა-მალიორკა 3:0

**მალაგა (4-4-2):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, მტილიგა - რესიო, აპონიო (85. ხუანმი), ბაპტიშტა (63. ნ. კამაჩო), დუდა - ს. ფერნანდესი (76. მარესკა), რონდონი.

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი (46. იენაგა), ნუნიეში, რამისი, აიოსე - ჟ. ვიქტორი, მარტი - ნსუე, ტეხერა, გ. კასტრო - ვებო (46. ვიქტორი).

**გოლები:** 1:0 ს. ფერნანდესი (26), 2:0 ბაპტიშტა (40), 3:0 ბაპტიშტა (56)

**გაფრთხილება:** ბაპტიშტა, ფერნანდესი - აიოსე, სენდროსი, მარტი

**კუთხური:** 13-2; **ჯარიმა:** 12-17; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 19-14 (8-8); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 26 000

### ხეტაფე-სევილია 1:0

**ხეტაფე (4-3-3):** უსტარი - მ. ტორესი (74. ბორხა), კატა დიასი, მარკანო, მანე - პარეხო, ვ. სანჩესი, კასკერო - კოლუნგა (60. არისმენდი), მიკუ, სარდინერო (83. მოსკერა).

**სევილია (4-4-2):** ვარასი - კასერესი, ალექსისი, ფასიო, ფ. ნავარო - რენატო (74. კაპელი), მედელი, რაკიტიჩი, დაბო (74. ალფარო) - როდრი (62. ლ. ალბერტო), ნეგრედო.

**გოლი:** 1:0 მიკუ (75)

**გაფრთხილება:** პარეხო, მანე, სანჩესი - მედელი, როდრი, ფასიო, ნავარო

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 20-16; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 13-2 (6-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 10 000

### ალმერია-ვალენსია 0:3

**ალმერია (4-2-3-1):** ესტებანი - მასედო, მ. სილვა, აკასიეტე, ლუნა - ხუანიტო, ბერნარდელო (78. ხოსე ორტისი) - პიატი, კორონა (64. ხუანმა ორტისი), კრუსატი - ულოა (70. კალუ უჩე).

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - მიგელი, სტანკევიჩიუსი, რიკარდო კოშტა, მატიო - მადურო, ტოპალი - პ. ერნანდესი (76. ხოაკინი), ბანეგა, მატა (78. ალბა) - სოლდადო (81. ადურისი).

**გოლები:** 0:1 სოლდადო (50), 0:2 სტანკევიჩიუსი (66), 0:3 ალბა (80)

**გაფრთხილება:** რიკარდო კოშტა

**კუთხური:** 5-9; **ჯარიმა:** 9-10; **თამაშგარე:** 13-2; **კარში დარტყმა:** 8-18 (1-7); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 12 000

### რეალი-ბარსელონა 1:1

**რეალი (4-3-3):** კასილიასი - სერხიო რამოსი, ალბიოლი, რიკარდო კარვალიო, მარსელო - ხედირა, პეპე, ჩაბი ალონსო (65. ადებაიორი) - დი მარია (65. არბელოა), ბენზემა (56. იოზილი), რონალდო.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პუიოლი (57. კეიტა), პიკე, ადრიანო (79. მაქსველი) - ინიესტა, ბუსკეტსი, ჩავი - პედრო (65. აფელაი), მესი, ვილია.

**გოლები:** 0:1 მესი (53-პენ), 1:1 რონალდო (82-პენ)

**გაფრთხილება:** მარსელო, არბელოა - ადრიანო, პიკე, დანი ალვეში, ვალდესი, ჩავი

**გაძევება:** ალბიოლი (51)

**კუთხური:** 8-0; **ჯარიმა:** 20-12; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 13-11 (6-6); **ბურთის ფლობა:** 31%-69%.

**მაყურებელი:** 80 000

### რეალ სოსიედადი-სპორტინგი 2:1

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, ლაბაკა (46. მ. გონსალესი), დემიდოვი, ესტრადა - რივასი, არანბურუ - ჩაბი პრიეტო, ზურუტუზა (76. სუტილი), გრიზმანი - იფრანი (65. ტამუდო).

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხუან პაბლო - ლორა, ბოტია, ი. ერნანდესი, ანხელი - ეგურენი (82. კარმელო), რივერა (63. სანგოი) - დე ლას კუევასი, ანდრე კაშტრო (63. ნაჩო ნოვო), დ. კასტრო - ბარალი.

**გოლები:** 1:0 გრიზმანი (32), 1:1 დე ლას კუევასი (69), 2:1 გრიზმანი (79)

**გაფრთხილება:** ლაბაკა, ესტრადა, ტამუდო - რივერა, ანხელი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 10-22; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 13-12 (4-6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 25 000

### ლევანტე-ერკულესი 2:1

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, ხუანფრანი - იბორა, ხ. ტორესი - ვალდო, რ. სუარესი (67. ნადალი), ხუანლუ (73. მუნიოსი) - სტუანი (67 კაისედო).

**ერკულესი (4-2-3-1):** კალატაიუდი - კორტესი, პასი, ხუანრა, პულჰაკი - ფრიტცლერი, აგილარი - კიკო, ნ. ვალდესი (68. სენდოა), დრენტე (82. ტომერი) - პორტილიო (62. ტრეზეგე).

**გოლები:** 1:0 რ. სუარესი (4), 2:0 ხუანლუ (43), 2:1 ტრეზეგე (81)

**გაფრთხილება:** ესტრადა, ხუანლუ, ვენტა, კაისედო - დრენტე, პულჰაკი, პასი

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 15-25; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 16-9 (5-3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 14 000

### დეპორტივო-რასინგი 2:0

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - მ. პაბლო, ლოპო, კოლოტო, მორელი - ტომასი (67. ხ. როდრიგესი), რ. პერესი - ლასადი (85. პ. ალვარესი), ვალერონი, გუარდადო - ხისკო (62. ადრიანი).

**რასინგი (4-3-3):** ტონიო - პინილიოსი, ენრიკე, ტორეხონი, კრისტიანი - კოლსა, ლასენი, სისმა (60. ლუკე) - ი. ბოლადო (57. როზენბერგი), ნაუელპანი (46. ჟ. დოს სანტოსი), მუნიტისი.

**გოლები:** 1:0 ლასადი (46), 2:0 ხისკო (48)

**გაფრთხილება:** ტომასი, ხისკო - პინილიოსი, სისმა

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 8-9; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 12-16 (4-5); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 20 000

### ოსასუნა-ბილბაო 1:2

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - ნელსონი, სერხიო, ფლანიო, მონრეალი - პუნიალი, ნეკუნამი - სეხუდო (67. სორიანო), პანდიანი (76. კორომინასი), კამუნიასი (86. ლეკიჩი) - კიკე სოლა.

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა, ეკიზა, ამორებიეტა, კასტილიო - გურპეგი (4. დ. ლოპესი), ორბაისი (55. სუსაეტა), იტურასპე (60. სან ხოსე) - ტოკერო, ფ. ლორენტე, მუნიაინი.

**გოლები:** 1:0 კიკე სოლა (51), 1:1 ფ. ლორენტე (69), 1:2 მუნიაინი (90)

**გაფრთხილება:** სერხიო, პანდიანი, პუნიალი, სორიანო - კასტილიო, ეკიზა, იტურასპე, ლორენტე, ირაისოსი

**გაძევება:** კასტილიო (57), სერხიო (87)

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 19-15; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 6-6 (2-2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 18 500

### ესპანიოლი-ატლეტიკო 2:2

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - გალანი, ამატი, რ. როდრიგესი, ჩიკა - ვერდიუ, ხ. ლოპესი - ლ. გარსია (59. ხ. მარკესი), ალონსო (82. ფონტე), კალეხონი (70. ა. ვასკესი) - ოსვალდო.

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - უიფალუში, პერეა, გოდინი, ფილიპე ლუიში - რეიესი, მ. სუარესი, ტიაგო, კოკე (40. რ. გარსია) - აგუერო, დ. კოშტა (81. ხუანფრანი).

**გოლები:** 0:1 კოკე (1), 1:1 ოსვალდო (37), 1:2 აგუერო (48), 2:2 ოსვალდო (57)

**გაფრთხილება:** ამატი, ჩიკა - ფ. ლუიში, სუარესი, ტიაგო, რ. გარსია, რეიესი

**კუთხური:** 1-9; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 10-19 (3-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 34 000

### ვილიარეალი-სარაგოსა დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 32 | 27 | 4 | 1 | 86-17 | 85 |
| 2. რეალი | 32 | 24 | 5 | 3 | 73-23 | 77 |
| 3. ვალენსია | 32 | 19 | 6 | 7 | 54-35 | 63 |
| 4. ვილიარეალი | 31 | 16 | 6 | 9 | 48-36 | 54 |
| 5. ბილბაო | 32 | 15 | 3 | 14 | 49-46 | 48 |
| 6. ატლეტიკო | 32 | 13 | 7 | 12 | 50-43 | 46 |
| 7. სევილია | 32 | 13 | 7 | 12 | 48-47 | 46 |
| 8. ესპანიოლი | 32 | 14 | 3 | 15 | 40-45 | 45 |
| 9. ლევანტე | 32 | 12 | 6 | 14 | 36-42 | 42 |
| 10. მალიორკა | 32 | 11 | 6 | 15 | 33-45 | 39 |
| 11. სოსიედადი | 32 | 12 | 2 | 18 | 42-55 | 38 |
| 12. დეპორტივო | 32 | 9 | 11 | 12 | 27-40 | 38 |
| 13. სპორტინგი | 32 | 9 | 11 | 12 | 30-37 | 38 |
| 14. ხეტაფე | 32 | 10 | 7 | 15 | 43-51 | 37 |
| 15. რასინგი | 32 | 9 | 10 | 13 | 31-47 | 37 |
| 16. ოსასუნა | 32 | 9 | 8 | 15 | 37-39 | 35 |
| 17. მალაგა | 32 | 9 | 6 | 17 | 42-62 | 33 |
| 18. სარაგოსა | 31 | 8 | 9 | 14 | 31-44 | 33 |
| 19. ერკულესი | 32 | 8 | 6 | 18 | 29-50 | 30 |
| 20. ალმერია | 32 | 5 | 11 | 16 | 32-57 | 26 |

**ბომბარდირები:** 30 მესი (ბარსელონა); 29 - რონალდო (რეალი); 17 - ვილია (ბარსელონა); 16 - ფ. ლორენტე (ბილბაო); 15 - როსი (ვილიარეალი); 13 - პედრო (ბარსელონა), სოლდადო (ვალენსია), აგუერო (ატლეტიკო).

### სეგუნდა დივიზიონი.

XXXIV ტური

**უელვა-ბარსელონა 1:1**

გოლები: 1:0 პ. სანჩესი (28-პენ), 1:1 სორიანო (68)

**გრანადა-ნუმანსია 2:0**

გოლები: 1:0 გეიხო (18), 2:0 კოლიანტესი (90)

**უესკა-ხიმნასტიკი 1:1**

გოლები: 1:0 მოლინერო (26), 1:1 ელოი (60)

**ბეტისი-კარტახენა 5:0**

გოლები: 1:0 მოლინა (21-პენ), 2:0 რ. კასტრო (50), 3:0 ემანა (71), 4:0 მოლინა (79), 5:0 მოლინა (84)

გაძევება: სიგანი (18. კარტახენა), ვიქტორი (73. კარტახენა)

**პონფერადინა-რაიო ვალეკანო 0:1**

გოლი: 0:1 არმენტეროსი (84)

**ლას პალმასი-სალამანკა 2:1**

გოლები: 0:1 ბრავო (16), 1:1 რუიმანი (18), 2:1 გერერო (85)

**ხირონა-ელჩე 2:2**

გოლები: 1:0 დესპოტოვიჩი (55), 2:0 დესპოტოვიჩი (66), 2:1 მანტეკონი (76), 2:2 ბოდიპო (90)

**ალკორკონი-ტენერიფე 3:2**

გოლები: 0:1 ნინო (42), 1:1 ქუინი (45-პენ), 1:2 ირიომე (54), 2:2 ლემპერო (77), 3:2 ქუინი (85)

**ალბასეტე-სელტა 0:1**

გოლი: 0:1 დ. როდრიგესი (5)

**ვილიარეალი-კორდობა 0:3**

გოლები: 0:1 რიჩი (44), 0:2 კალეხონი (52), 0:3 შარლე (75)

გაძევება: ბორდასი (36. ვილიარეალი), მანო (55. ვილიარეალი)

**ვალიადოლიდი-ხერესი 2:1**

გოლები: 0:1 ლომბანი (48), 1:1 ალემანი (65), 2:1 გუერა (90)

გაძევება: ვეგა (82. ხერესი), მენდოსა (90. ხერესი), ბერმეხო (90. ხერესი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეტისი | 34 | 20 | 6 | 8 | 65-33 | 66 |
| 2. ვალეკანო | 34 | 19 | 9 | 6 | 57-38 | 66 |
| 3. სელტა | 34 | 16 | 11 | 7 | 53-32 | 59 |
| 4. ბარსელონა | 34 | 16 | 10 | 8 | 67-46 | 58 |
| 5. ელჩე | 34 | 14 | 12 | 8 | 36-30 | 54 |
| 6. გრანადა | 34 | 14 | 11 | 9 | 57-40 | 53 |
| 7. ვალიადოლიდი | 34 | 15 | 7 | 12 | 49-41 | 52 |
| 8. ალკორკონი | 34 | 15 | 5 | 14 | 48-42 | 50 |
| 9. ხირონა | 34 | 12 | 12 | 10 | 47-42 | 48 |
| 10. კარტახენა | 34 | 14 | 6 | 14 | 41-49 | 48 |
| 11. ნუმანსია | 34 | 14 | 3 | 17 | 49-51 | 45 |
| 12. უესკა | 34 | 10 | 15 | 9 | 31-33 | 45 |
| 13. ხერესი | 34 | 12 | 9 | 13 | 45-48 | 45 |
| 14. უელვა | 34 | 9 | 17 | 8 | 38-31 | 44 |
| 15. კორდობა | 34 | 11 | 11 | 12 | 46-48 | 44 |
| 16. ვილიარეალი | 34 | 13 | 5 | 16 | 38-49 | 44 |
| 17. ლას პალმასი | 34 | 10 | 13 | 11 | 46-61 | 43 |
| 18. ხიმნასტიკი | 34 | 8 | 12 | 14 | 27-37 | 36 |
| 19. სალამანკა | 34 | 9 | 5 | 20 | 32-53 | 32 |
| 20. ალბასეტე | 34 | 6 | 11 | 17 | 24-44 | 29 |
| 21. ტენერიფე | 34 | 6 | 10 | 18 | 33-55 | 28 |
| 22. პონფერადინა | 34 | 4 | 14 | 16 | 26-52 | 26 |

**ბომბარდირები:** 24 - სორიანო (ბარსელონა); 23 - გეიხო (გრანადა); 20 - ქუინი (ალკორკონი), გუერა (ვალიადოლიდი); 18 - რ. კასტრო (ბეტისი), არმენტეროსი (რაიო ვალეკანო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლეგიონი

# კობიაშვილი თითქმის ბუნდესლიგელია



კახა კალაძე



ლევან მჭედლიძე



გურამ კაშია (ყვითელ ფორმაში, მარჯვენიდან მეორე) საჰაერო ორთაბრძოლისას

**ქართული ლეგიონის უქმეების გმირი ლევან მჭედლიძეა, რომელმაც გოლითა და საგოლე პასით „ემპოლის“ სტუმრად, ბერგამოში მოაგებინა. თავი გამოიჩინა „ვიტესის“ მცველმა გურამ კაშიამ, რომელმაც ასევე გაამარჯვებინა თავისიანებს. გოლები სხვა ქართველებმაც გაიტანეს...**

## გოლი, სხალთა, პასი და ტრავმა

სერია B-ში **ლევან მჭედლიძის** „ემპოლი“ ლიდერ „ატალანტას“ ესტუმრა და 2:1 მოუგო. ამ თამაშის გმირი ქართველი ფორვარდი იყო მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე ნახევარ საათზე ოდნავ მეტი დაყო. ლევანმა საჯარიმოში დასწრებაზე ითამაშა და მე-16 წუთზე გახსნა ანგარიში. ეს მისი მე-2 გოლი იყო სეზონში. 29-ე წუთზე მან საგოლე პასი მიითვალა, შემდეგ კი ბარძაყი დაიშავა და მოედანი ნაადრევად დატოვა. და რა შუაშია სხალთა? ლევანმა უჩვეულოდ აღნიშნა გოლი, წვივსაფარი გაიძრო, რომელზეც ქართულად ეწერა „სხალთა“.

ძალიან კარგად გაისარჯა **კახა კალაძე**, რომლის „ჯენოამაც“ 3:0 სძლია „ბრეშას“. კახამ იტალიური საიტების უმეტესობისგან ძალიან მაღალი შეფასება - 7-იანი დაიმსახურა.

## უკან, ელიტაში

არც ერთია გადაწყვეტილი და არც მეორე, მაგრამ ჩვენი ორი გამოცდილი ლეგიონერი, სავარაუდოდ, ელიტურ ლიგებს დაუბრუნდება. **ლევან კობიაშვილის** „ჰერტას“ თავი თითქმის ქუდში აქვს, ჩემპიონატის დასრულებამდე 4 ტურით ადრე 65 ქულით ლიდერობს და მესამეადგილოსან გუნდს 10 ქულით უსწრებს. „ჰერტამ“ „ოსნაბრუკს“ შავი დღე აყარა - 4:0. ლევანმა მარცხენა მცველის პოზიციაზე ითამაშა და 48-დან 39 ზუსტი პასი გააკეთა. „შპორტალმა“ მას ძალიან კარგი შეფასება - 2,5 ბალი დაუწერა, თუმცა ეს არ იყო გუნდში საუკეთესო, იმდენად კარგად ითამაშეს ბერლინელებმა. დღეს „კარლსრუეს“ „აუგსბურგთან“ მატჩში დისკვალიფიკაციის გამო დააკლდება ქართველი კაპიტანი **ალექსანდრე იაშვილი.**

პრემიერლიგაში დაბრუნების ჩინებული პერსპექტივა აქვს **ზურაბ ხიზანიშვილს**, მისმა „რედინგმა“ ზედიზედ მე-9 მატჩი მოიგო! „რედინგი“ 72 ქულით მე-4 ადგილზეა. „ლესტერთან“ 3:1 მოგებულ შეხვედრაში ხიზანიშვილი ორჯერ დროულად გადაეფარა ბურთს.

## კაშიას თავური, განუგრავას შავი დღე

სეზონში მეორე გოლი გაიტანა **გურამ კაშიამაც**, რომლის თავურმაც „ვიტესს“ „გრონინგენთან“ მატჩში მოაგებინა - 2:1. 81-ე წუთზე კაშიამ **აისატის** პასით იხეირა. *„ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი გოლი როგორც ჩემთვის, ასევე გუნდისთვის. ჩვენ სამი ქულა მოვიპოვეთ და ეს არის მთავარი“*, - განაცხადა კაშიამ მატჩის შემდეგ.

უნგრულ შოპრონილიგაში დიდი ხანია, „ეტოს“ შემადგენლობაში სამ ქართველს არ უთამაშია. სასტარტოში იყვნენ **რატი ალექსიძე** და **გიორგი განუგრავა**, მეორე ტაიმში კი რატის ნაცვლად **ლაშა თოთაძე** გამოვიდა. 48-ე წუთზე სტუმართა კართან კუთხური დაინიშნა, ჩამოწოდებულს ფეხით განუგრავა შეეხო და ბურთი საკუთარ კარში გაგზავნა. სხვათა შორის, გიორგიმ 81-ე წუთზე ყვითელი ბარათიც მიიღო, არადა, იმ დროისთვის კარგა ხნის შეცვლილი იყო. ნბ1-ის საიტზე ალექსიძესა და განუგრავას 5-5 ბალი დაუწერეს, რაც უნგრეთში ცუდი შეფასებაა. ჩვენებურებმა თავი გამოიჩინეს კვიპროსზე - **ლევან მაღრაძემ** გოლი გაიტანა „პაფოსთან“ 3:3 დასრულებულ მატჩში, რომელშიც მოედანზე და მის გარეთ სერიოზული არეულობები მოხდა, ხოლო ეთნიკოსელმა **ლევან ქებაძემ** საგოლე პასი მიითვალა. სხვათა შორის, ქებაძე უეფას საკლუბო კლასიფიკაციით მოწინავე 30 ქვეყანაში ყველაზე ხნიერი ქართველი ლეგიონერია, ის 36 წლისაა.

ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო **გიორგი მერებაშვილის** „ვოივოდინამ“, რომელმაც სტუმრად ლიდერი „პარტიზანი“ 1:0 დაამარცხა. ნოვისადელებს ამ შეხვედრაში დაუბრუნდა ქართველი ნახევარმცველი, რომელმაც ბევრი იაქტიურა. ამ მოგებით „ვოივოდინას“ ჩემპიონობის კარგი შანსი გაუჩნდა.

## იქ, სადაც ამისულაშვილია და სადაც ის აღარ არის

რაც **ალექსანდრე ამისულაშვილი** თურქეთიდან რუსეთში გადავიდა, მისმა ყოფილმა გუნდმა „ქაისერმა“ 8 თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგო და ერთიც ფრედ დაასრულა. აი, ასეთი ფასეული ფეხბურთელი ჰყოლია გუნდში **შოთა არველაძეს**. საქართველოს ნაკრების მცველმა ეს ახალ რუსულ გუნდშიც დაამტკიცა, რომელშიც დებიუტი... კაპიტნის სამკლავურით ჰქონდა. ის, რომ „კრასნოდარი“ ჯერაც დაუმარცხებელია და მხოლოდ ერთი გოლი აქვს გაშვებული, დიდწილად სწორედ ქართველი კაპიტნის დამსახურებაა. მე-5 ტურში დებიუტანტი სამარაში „კრილია სოვეტოვს“ 0:0 ეთამაშა, ეს იმიტომ, რომ 73-ე წუთზე ქართველმა მცველმა ერთობ იყოჩაღა - ის იყო, ბურთს კარის ხაზი უნდა გადაეკვეთა, რომ ალეკო ოსტატურად შეწვდა მას და კუთხურზე მოიგერია. მან ბრაზილიელ თანაგუნდელ **რამოსთან** ერთად საუკეთესო შეფასება დაიმსახურა „ჩემპიონატისგან“ - 6,5. ის შეტევაშიც სახიფათოდ ერთვებოდა (მე-17 წუთზე გოლის გატანაც შეეძლო) და დაცვაში მაგრად იდგა (81-ე წუთზეც გადაეფარა მეტოქე ფეხბურთელის შორეულ გასროლას).

**ომარ თეთრაძის** „ვოლგამ“ პირველი მარცხი იწვნია, სტუმრად „ლოკომოტივთან“ 0:1 წააგო. მეტოქე აშკარად სჯობდა „ვოლგას“, რომელსაც წინა ტურში გაძევებული **გოჩა ხოჯავა** აკლდა (გოჩამ დუბლებში ითამაშა და შესანიშნავი საჯარიმო დარტყმით გოლი იქაც გაიტანა), შემდეგ თეთრაძემ აღიარა კიდეც, 2 ტაიმი სულ დაცვაზე ფიქრი ძნელიაო. „ვოლგას“ ვერც მეორე ტაიმის დასაწყისშივე შემოსულმა **გოგიტა გოგუამ** უშველა. „ჩემპიონატმა“ ქართველებში ყველაზე მაღალი შეფასება **ოთარ მარცვალაძეს** დაუწერა - 6 ბალი. 5,5 ბალი დაიმსახურეს გოგუამ და **ლაშა სალუქვაძემ**, ხოლო **გია გრიგალავამ** - 5.

## უჩა და მათე თრილერში

უკრაინულ ტურში ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ამბები „დნიპროსა“ და „სევასტოპოლის“ მატჩში მოხდა - **უჩა ლობჟანიძისა** და **მათე ღვინიანიძის** გუნდებმა ნამდვილი თრილერი შესთავაზეს მაყურებელს, თუმცა **ხუანდე რამოსმა** ჩათვალა, რომ ლობჟანიძისთვის ერთი ტაიმიც საკმარისი იყო და ის შესვენებაზე შეცვალა.

აზერბაიჯანში გოლი გაიტანა **დავით ოდიკაძემ**, ისრაელის ლეუმითლიგაში კი **ირაკლი გეფერიძემ** შეაგდო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ალექსანდრე ამისულაშვილი (მარცხნივ) კრასნოდარში ყოჩაღობა...





...შოთა არველაძეს კი საფიქრალი მიეძალა

| ფეხბურთელი | ასაკი | კლუბი | მეტოქე | ან[illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | |
| კახა კალაძე | 33 | ჯენოა | ბრეშა | 3:0 (შ) | 90 წთ | 21 თამ., 1 გ. |
| **სერია B** | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 21 | ემპოლი | ატალანტა | 2:1 (გ) | 34 წთ (შეცვალ.), 1 გ, 1 პ | 16 თ, 2 გ |
| **ინგლისი. ჩემპიონშიპი** | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 29 | რედინგი | ლესტერი | 3:1 (შ) | 90 წთ. | 18 თ |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 33 | ჰერტა | ოსნაბრუკი | 4:0 (შ) | 90 წთ | 27 თ, 2 გ |
| ალექსანდრე იაშვილი | 33 | კარლსრუე | აუგსბურგი | დღეს | დისკვალ. | 26 თ, 7 გ |
| **საფრანგეთი. ლიგა II** | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 21 | ლე მანი | ლე ავრი | | დღეს | 0 თ |
| **ნასიონალი** | | | | | | |
| ამირან სანაია | 21 | ბასტია | ბოვე | 5:1 (შ) | არ უთამაშია | 7 თ |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| ლაშა სალუქვაძე | 29 | ვოლგა | ლოკომოტ. | 0:1 (გ) | 90 წთ | 5 თ |
| გოგიტა გოგუა | 27 | ვოლგა | ლოკომოტ. | 0:1 (გ) | 37 წთ (შეცვლაზე) | 4 თ |
| გოჩა ხოჯავა | 26 | ვოლგა | ლოკომოტ. | 0:1 (გ) | დისკ. დუბლები, 1 გ. | 4 თ, 2 გ |
| ოთარ მარცვალაძე | 26 | ვოლგა | ლოკომოტ. | 0:1 (გ) | 90 წთ | 5 თ, 1 გ |
| მათე ვაწაძე | 22 | ვოლგა | ლოკომოტ. | 0:1 (გ) | არ უთამ. | 1 თ |
| გია გრიგალავა | 21 | ვოლგა | ლოკომოტ. | 0:1 (გ) | 90 წთ | 5 თ |
| ალეკო ამისულაშვილი | 28 | კრასნოდარი | კრილია | 0:0 (გ) | 90 წთ | 5 თ |
| დავით სირაძე | 29 | ნალჩიკი | ტომი | | დღეს | 2 თ |
| ნუკრი რევიშვილი | 24 | ანჟი | სპარტაკი | 2:1 (შ) | 90 წთ, -1 გ | 4 თ |
| ირაკლი კლიმიაშვილი | 22 | ანჟი | სპარტაკი | 2:1 (შ) | არ უთამაშია | 0 |
| ლევან გვაზავა | 30 | ტერეკი | დინამო | 0:0 (შ) | 27 წთ (შეცვლაზე) | 3 თ |
| ჯანო ანანიძე | 18 | სპარტაკი | ნალჩიკი | 1:2 (გ) | ტრავმა | 1 თ |
| **უკრაინა. პრემიერლიგა** | | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | 24 | დნიპრო | სევასტოპ. | 2:2 (შ) | 45 წთ (შეცვალეს) | 15 თ |
| სანდრო კობახიძე | 24 | არსენალი | მეტალისტ. | 1:2 (გ) | არ უთამაშია | 1 თ |
| ვასილ გიგიაძე | 33 | ტავრია | შახტარი | 1:2 (შ) | სათადარიგო | 19 თ |
| ჯაბა ლიპარტია | 23 | ზარია | დინამო | | დღეს | 5 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 19 | ილიჩივეცი | ვოლინი | 2:2 (შ) | 58 (შეცვალეს) | 5 თ |
| ჯაბა კანკავა | 25 | კრივბასი | ვორსკლა | 0:3 (გ) | ავადმყოფობა | 4 თ |
| მათე ღვინიანიძე | 24 | სევასტოპ. | დნიპრო | 2:2 (გ) | 90 წთ | 5 თ |
| სანდრო გურული | 25 | კარპატი | ობოლონი | 1:1 (გ) | არ უთამაშია | 13 თ |
| **ჰოლანდია. ერედივიზიე** | | | | | | |
| გურამ კაშია | 23 | ვიტესი | გრონინგენი | 2:1 (შ) | 90 წთ, 1 გ | 25 თ, 2 გ |
| **საბერძნეთი. სუპერლიგა** | | | | | | |
| დავით კვირკველია | 30 | პანიონიოსი | ასტერასი | 1:3 (გ) | 90 წთ | 7 თ |
| გიორგი შაშიაშვილი | 31 | ერგოტელისი | პანსერაიკოსი | 4:0 (გ) | 90 წთ | 24 თ, 1 გ |
| **დანია. ვიასატდივიზიონი** | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 23 | ორჰუსი | ვიბორგი | 3:2 (გ) | ტრავმა | 19 თ, 8 გ |
| **რუმინეთი. პროლიგა** | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 25 | გაზ მეთანი | ვასლუი | | დღეს | 23 თ, 1 გ |
| **ისრაელი. ლიგათ ჰაალი** | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 24 | მაქაბი ჰ. | ნეთანია | 1:1 (გ) | არ უთამაშია | 25 თ, 11 გ |
| **კვიპროსი. I დივიზიონი** | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | 33 | ერმისი | პაფოსი | 3:3 (შ) | 90 წთ, 1 გ | 26 თ, 4 გ |
| ლევან ქებაძე | 36 | ეთნიკოსი | ალკი | 3:2 (გ) | 90 წთ, 1 საგოლე პასი | 25 თ, 2 გ |
| **ბელარუსი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| ზაზა ჭელიძე | 24 | ბრესტი | გომელი | 0:2 (გ) | სათადარიგო | 3 თ, 1 გ |
| უჩა გოგოლაძე | 21 | ბრესტი | გომელი | 0:2 (გ) | 17 წთ (შეცვლაზე) | 1 |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა** | | | | | | |
| ნიკა ძალამიძე | 19 | ვიძევი | რუხი | 0:0 (შ) | 90 წთ, გააფრთხ. | 7 თ, 2 გ |
| **სერბეთი. სუპერლიგა** | | | | | | |
| გიორგი მერებაშვილი | 24 | ვოივოდინა | პარტიზანი | 1:0 (გ) | 61 წთ (შეცვალეს) | 19 თ, 7 გ |
| **ბოსნია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| ლევან კუტალია | 21 | ზრინსკი | ბორაცი | 0:0 (შ) | 90 წთ | 6 თ, 2 გ |
| **უნგრეთი. შოპრონილიგა** | | | | | | |
| რატი ალექსიძე | 32 | ეტო | ზალაეგერსეგი | 1:1 (გ) | 72 წთ (შეცვალეს) | 19 თ, 5 გ |
| გიორგი განუგრავა | 23 | ეტო | ზალაეგერსეგი | 1:1 (გ) | 66 წთ (შეცვალეს), გააფრთ. | 11 თ, 1 გ |
| ლაშა თოთაძე | 22 | ეტო | ზალაეგერსეგი | 1:1 (გ) | 18 წთ (შეცვლაზე) | 2 თ |
| თემურ შარაშენიძე | 19 | ეტო | ზალაეგერსეგი | 1:1 (გ) | დუბლები | 6 თ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

● სამბო

# სამბისტების ტრადიციული წარმატება

ქართველი სამბისტები, ტრადიციულად, დიდი წარმატებით გამოვიდნენ ახალგაზრდა და ჭაბუკ სპორტსმენთა ევროპის ჩემპიონატში, რომელიც გუშინ პრაღაში დამთავრდა.

სამწუხაროდ, სამბოს ევროპული, მსოფლიო თუ ცალკეული ეროვნული ფედერაციების არაორგანიზებული მუშაობის გამო ზუსტი ცნობების მიღება შეუძლებელია - მაგალითად, გუშინდელი ჭიდაობების შესახებ ვერსად მოვიძიეთ ინფორმაცია. საბედნიეროდ, წინა სამი დღის შედეგები გვაახლებს და სასიხარულოა ჩვენებურთა წარმატება. განსაკუთრებით, ახალგაზრდებისა, რომლებმაც ჯამში ექვსი მედალი - ორი ოქრო, ერთი ვერცხლი და სამი ბრინჯაო მოიპოვეს. ამ ასაკში ევროპის ჩემპიონები გუშინ დებიუტანტი **ლევან ბერძენიშვილი** (48) და თბილისის შარშან გამართული მსოფლიოს პირველობის ვერცხლის მედალოსანი **ზვიად კაპანაძე** (68) გახდნენ. ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორმა **გივი ნადარეიშვილმა** აშკარად ვერცხლი მოიპოვა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამ წონაში წლეულს ამოინაცვლა. ბრინჯაოს მედლები ზედა წონების წარმომადგენლებმა მოიპოვეს - **ლაშა ზურაბიანმა** (82), **გიორგი ნოზაძემ** (90) და **სლავა რეზესიძემ** (+100).

წლეულს საგრძნობლად გადახალისებული ჭაბუკთა ნაკრების მონაგარი შედარებით მოკრძალებულია - თითო ოქრო და ბრინჯაო. აქ ჩემპიონი **ბექა ტუღუში** (65) გახდა, რომელიც საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში გამოცდილია, ძიუდოში - ევროპის მესამე პრიზიორია. მისგან განსხვავებით, დებიუტანტია ბრინჯაოს მედალოსანი **ვარლამ მალიკაშვილი** (52).



საფინალო გზაზე ბერძენიშვილმა ბულგარელი **დანიელ პარასკოვი** დაამარცხა, ნახევარფინალში უკრაინელ **ზაირ ზიიადინოვს** აჯობა, ფინალში კი რუს **არტურ ზაგირდუევს** მოუგო. მართალია, ამ წონაში სულ ექვსი მონაწილე გამოდიოდა, მაგრამ ბერძენიშვილიც აბსოლუტურად გამოუცდელია. ამდენად, დასაფასებელია, ფსიქოლოგიურ წნეხს რომ გაუძლო და თავისი წილი საქმე ბოლომდე შეასრულა. კაპანაძე, რომელიც ძიუდოშიც არანაკლები წარმატებით ჭიდაობს - ჭაბუკთა შორის ევროპის ვიცე-ჩემპიონია, მასთან შედარებით ბევრად გამოცდილია. აქ უფრო მეტი მონაწილე იყო - რვა სპორტსმენი, მაგრამ ჩვენებურმა ყველა დაბრკოლება იოლად გადალახა. ჯგუფში მან ჯერ მოლდოველი **დმიტრი ბულაი** დაჯაბნა, მერე კი მომავალ ბრინჯაოს პრიზიორს, ბელარუს **დზიანის ანანჩიკსაც** მოუგო. ფინალში მისი მეტოქეც რუსი იყო - არტემ აკოპიანი, თუმცა მორიგი ქართულ-რუსული დუელიც ჩვენებურმა მოიგო.

ფინალში მარცხის მიუხედავად, მაინც წარმატებულად უნდა შევაფასოთ ნადარეიშვილის გამოსვლა - ახალ წონაში ჭიდაობს, რასაც ადაპტაცია სჭირდება, თუმცა მან უამისოდაც იყოჩაღა. თან ეს ბიჭი უკვე მეოთხე წელიწადია, მუდამ მწვერვალზე ტრიალებს და სპორტის უბედურება არ ტოვებს. ფინალური ორთაბრძოლა მაინც რუსთან წააგო - **ვლადიმირ გლადკიხთან**, მანამდე კი პირველ წრეში ისვენებდა, ხოლო მეორეში აზერბაიჯანელი **კაზიმ ბაბაევი** დაჯაბნა, რომელიც საბოლოოდ მესამეზე გავიდა.

ჩვენი ბრინჯაოს მედალოსანთა ტრიო ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილია ამ ნაკრებში. სამივე ძიუდოისტია, თუმცა იმ ორისგან განსხვავებით, რეზესიძე ძირითადად სამბოში ჭიდაობს და წარმატებაც მოეპოვება. ამ სამეულიდან ყველაზე უფრო გამოუცდელი მაინც ზურაბიანზე ითქმის, რომელიც ახლა იწყებს კარიერას. მან ჯგუფში ორი ორთაბრძოლა მოიგო - გერმანელ **გირტს კოტანთან** და ფრანგ **ფაბიენ მუფესთან**, ნახევარფინალში კი აზერბაიჯანელ **აზარ აგაევთან** წააგო. ამის შემდეგ ის პირდაპირ დამამშვიდებლის ფინალში გადავიდა, სადაც ბელარუს **ალექსეი კუშნირს** მოუგო და ბრინჯაოს დაეუფლა. ნოზაძე შარშან ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, წლეულს კი სამბოისტთა ტურნირებშიც კარგად გამოვიდა. პრაღაში მისმა გზამ კვარცხლბეკისკენ კი ლამის მთლიანად სანუგეშო წრეზე გადაიარა - ჯგუფში პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი მომავალ ჩემპიონთან, რუს **რუსლან კისლეცოვთან** წააგო და დამამშვიდებელში გადავიდა, სადაც აზერბაიჯანელ **სეიმურ გვიდაროვს** მოუგო. რეზესიძე ახალგაზრდებში წლეულს გადმოვიდა ჭაბუკებიდან, სადაც ზედიზედ ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. აქ სულ ხუთი მონაწილე გამოდიოდა და ბრინჯაოს მოსაპოვებლად ბევრი ბრძოლა არც რეზესიძეს დასჭირებია - თავიდან უკრაინელ **რუსტამ აგაევს** აჯობა, მაგრამ მერე მომავალ ჩემპიონთან, ბელარუს **დზიანის პარხომუკთან** დამარცხდა და ბრინჯაო ავტომატურად გადაეცა.

გუშინდელმა ახალგაზრდულმა ნაკრებიდან უშედეგოდ მხოლოდ დებიუტანტი **ივანე გოგიაშვილი** (62) დარჩა, თუმცა მედლისთვის მაინც იჭიდავა. ის ძირითად ბადეს ბელარუს **ვევა ტუტხალიანთან** მარცხით დაემშვიდობა. ეს სამბისტ-ძიუდოისტი შარშან თბილისში გამართული მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობის ჩემპიონი გახდა და ახლაც ოქრო მოიპოვა. მისმა წარმატებამ დამამშვიდებელში გადასვლის საშუალება გოგიაშვილსაც მისცა, სადაც აზერბაიჯანელ **ორხან ალახვერდიევს** კი აჯობა, მაგრამ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში უკრაინელ **ნიკიტა ვოიტუკთან** ვერაფერს გახდა და მეხუთეზე დარჩა.

ჭაბუკთა ტურნირში გამარჯვებულმა ბექა ტუღუშმა ფინალში რუს **აიგუბეგ შაბიევს** მოუგო. ეს დაპირისპირებაც ძიუდოისტია და ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონის ტიტულსაც ფლობს, ტუღუშმა კი მასთან შეხვედრამდე ორჯერ იმარჯვა (პირველ წრეში ისვენებდა), ფრანგ **მაქსიმ პარუტთან** და ბელარუს **ვადიმ მიკულკიასთან**. მალიკაშვილმა ბულგარელ **ჰრისტო გეორგიევთან** მოგებით დაიწყო, მაგრამ დამარცხდა მომავალ ფინალისტთან, სომეხ **რაზმიკ პეტროსიანთან**, სანუგეშოში კი აზერბაიჯანელ **ნასიმ უმბაიევს** აჯობა. ჩვენი გუნდიდან ბრინჯაოსთვის **თამაზ ზურაბიშვილმა** (75) და **კობა ეგუტიძემაც** (+87) იჭიდავეს, მაგრამ დამარცხდნენ და მეხუთეზე დარჩნენ, **დავით გუჯეჯიანი** (48), **ლუკა ჯავაში** (60) და **რევაზ წულუკიძე** (81) კი მეშვიდე ადგილზე გავიდნენ.

ქალთა ტურნირში მსოფლიოს შარშანდელმა ბრინჯაოს მედალოსანმა **დარინა აბულაძემაც** (48) იჭიდავა, მაგრამ მომავალ ჩემპიონთან, რუს **ანა გორელიკოვთან** წააგო. ამის მერე მაინც რჩებოდა ბრინჯაოს მოპოვების შანსი, მაგრამ აქ ჯერად უკრაინელ **ოლენა კუნიცკასთან** დათმო. გუშინვე გოგოებიდან **შორენა შარაძესაც** (64) უნდა ეჭიდავა.

ირაკლი თავაძე

# ყაზანში დაჭაშნიკებული მედლები



გია მაჭავარიანი

ყაზანში (რუსეთი) გუშინ დამთავრდა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ ორი სპორტსმენი მონაწილეობდა - **გია მაჭავარიანი** (105 კგ) და **ირაკლი თურმანიძე** (+105). სამი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო - ასეთია ჩვენი ბიჭების რუსული მონაგარი. არადა, მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე აქამდე მედლები არასდროს მოუპოვებიათ.

შაბათს ფიცარნაგზე მაჭავარიანი გავიდა. სტარტზე 180 კილოგრამი აიტაცა, მერე 183 კილოგრამიც დაძლია. 185-კილოგრამიანი შტანგითაც მოძრაობა უნაკლოდ შეასრულა, მაგრამ მსაჯებმა რატომღაც არ ჩაუთვალეს. ეტყობა, მასპინძლებმა თავი დაიზღვიეს, რადგან მათმა მთავარმა იმედმა, 94 კილოში პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანმა და მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორმა **ჰაჯიმურატ აკაევმა**, რომელმაც 105 კილოში გადმოინაცვლა, 185 კგ დაძლევა კი ჰქონდა, მაგრამ შეყვანილი 190 კილოს თუ ვერ მოერეოდა, პირადი წონით მაჭავარიანთან მცირე ოქროს მედალს დათმობდა. შეჯიბრების ორგანიზატორთა საბედნიეროდ, აკაევი 190 კილოს იოლად გაუმკლავდა, ის, 195-ში კი არაპროფესიონალთათვისაც შესამჩნევი შეცდომა დაუშვა, თუმცა არბიტრებმა წონა მაინც ჩაუთვალეს, რაზეც თვით რუსმა ტელეკომენტატორმაც ვერ შეიკავა თავი - მათ, მაჭავარიანმა რაღაც დაამტკიცა, დაიყვირა.

მასპინძლების წინასწარი განაცხადიდანაც ჩანდა, რომ ოქრო-ვერცხლი თავისთვის ჰქონდათ მონიშნული, მაგრამ ისინი **რომან კონსტანტინოვმა** დაალალატა - საწყისი 180 კილო ვერ დაძლია და ჩემპიონატს დაემშვიდობა.

ატაცში მცირე ოქრო აკაევს ხვდა, ვერცხლი - მაჭავარიანს, ბრინჯაო - ბელარუს **მიხაილ ავდეევს** (181 კგ).

აკვრაში ქართველმა ძალოსანმა იოლად დაძლია 214 და 217-კილოიანი შტანგები. მესამე ცდისას 221 კილოზე მიიტანა იერიში. თითქოს მიზანთანაც ახლოს იყო, მაგრამ მკერდიდან შტანგის აკვრას მოერიდა. ამ დროისთვის მას ორჭიდში ვერცხლი გარანტირებული ჰქონდა, ოქროს მაინც ვერ შესწვდებოდა, ამიტომ, ეტყობა, ზედმეტ რისკს და შესაძლო ტრავმას მოერიდა. ამ მოძრაობაშიც მცირე ოქრო აკაევმა (230 კგ) დაისაკუთრა, ვერცხლი - მაჭავარიანმა (217), ბრინჯაო - პოლონელმა **ბართლომეი ბონკმა** (214). სხვათა შორის, ორჭიდში ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. აკაევი - 425 (195+230), 2. მაჭავარიანი - 400 (183+217), 3. ბონკი - 394(180+214).

26 წლის გია მაჭავარიანი ხარაგაულშია დაბადებული, ამჟამად ქობულეთში ცხოვრობს და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ავთანდილ გაბოკიძე** ავარჯიშებს. 2007 წელს მან მძიმე ტრავმა გადაიტანა. ამის მიუხედავად, 2008-2009 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე მე-8 ადგილი დაიკავა, ხოლო შარშანდელ კონტინენტის პირველობაზე მეექვსე იყო. საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რამაზ გურგენიძემ** მითხრა, რომ მაჭავარიანს წლეულს საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატზეც შეუძლია მედლისთვის ბრძოლა...

გუშინ ყაზანის ფიცარნაგზე ძალები მძიმეწონოსნებმა მოსინჯეს. მასპინძლებისთვის ეს დღე ცუდად დაიწყო - მედლის უპირველესმა კანდიდატმა, მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორმა, ორჭიდში 440 კილოგრამით ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა **ევგენი ჩიგიშევმა** ატაცში საწყისი 195 კილო ვერ დაძლია და ასპარეზობას ჩამოშორდა. თავიდან ვერც **დმიტრი ლარიკოვმა** იყოჩაღა - სამიდან ერთი ცდა გამოიყენა მხოლოდ - 192 კილოგრამი, რამაც რუსს მცირე ვერცხლი მოუტანა. ოქრო 195 კილოთი უკრაინელ იგორ შიმეჩკოს ერგო. მესამე ადგილზე საქართველოს ნაკრების წევრი **ირაკლი თურმანიძე** გავიდა. მან სამივე ცდა წარმატებით გამოიყენა (180, 185, 188 კგ). აკვრაში კი 214 და 218-კილოგრამიანი შტანგები დაიმორჩილა, ორჭიდში 406 კილოგრამი მოაგროვა და მე-6 ადგილზე გავიდა. საგულისხმოა, რომ შარშან ანტალიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგი 6 კილოგრამით გააუმჯობესა. ერთი სიტყვით, წინსვლა აქაც არის, რაც სამომავლოდ გვეიმედება.

მძიმე წონაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. დმიტრი ლარიკოვი (რუსეთი, 192+227=419), 2. იგორ შიმეჩკო (უკრაინა, 195+217=412), 3. ჯირი ორშაგი (ჩეხეთი, 184+226=410)... 6. ირაკლი თურმანიძე (საქართველო, 188+218=406).

აღსანიშნავია, რომ ორივე ქართველი სპორტსმენი პირველი თებერვლიდან დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე იმყოფებოდა საწვრთნელ შეკრებაზე. სანიმუშო სავარჯიშო პირობებმა და ნაკრების თავკაცად ცნობილი სპეციალისტის, ოლიმპიური ჩემპიონების აღმზრდელ **ვანო გრიქუროვის** დაბრუნებამ ქართულ ძალოსნობას უკვე ეტყობა სასურველი შედეგები. იმედია, მომავალშიც ასე იქნება.

ვაჟა დანელია

● მაგიდის ჩოგბურთი. საქართველოს პირველობა

# თაობა, რომლის იმედიც გვაქვს

XX საუკუნის 50-იან წლებში მაგიდის ჩოგბურთი განსაკუთრებით თბილისსა და აჭარაში გავრცელდა. პირველი ჩემპიონატი 1950 წელს მოეწყო, ხოლო ოთხი წლის შემდეგ **რობერტ კუდაშვილის** ინიციატივით თბილისში ბავშვთა სპორტული სკოლაც გაიხსნა. 90-იან წლებში სპორტის ამ სახეობისადმი ინტერესი განელდა. ბოლო რამდენიმე წელიწადია, რაც მაგიდის ჩოგბურთით მოზარდი-ახალგაზრდობა კვლავ დაინტერესდა. ახლახან თბილისმა 8-16 წლის ჭაბუკებისა და გოგონების საქართველოს პირველობასაც უმასპინძლა.

გვესაუბრება საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **ნინო ნინოშვილი**.



სალომე სოლაშვილი

- საქართველოს პირველობა მაგიდის ჩოგბურთის ეროვნულმა ფედერაციამ ჩაატარა. მონაწილეობდნენ აბაშის, ზესტაფონის, ქუთაისის, თელავის, კასპის, რუსთავის, სურამის, აჭარისა და თბილისის გოგონები და ბიჭები. პირველი დღე უმცროსებს დაეთმოთ, შემდეგ კი კადეტებმა და იუნიორებმა ითამაშეს. ასპარეზობდნენ წყვილები და შერეული წყვილებიც. პირველობამ ორი ლიდერი რეგიონი თბილისი და აჭარა გამოავლინა, თუმცა კარგები იყვნენ სურამისა და კასპის ბავშვებიც.

### დაკარგული თაობა

ერთადერთი, ვინც 90-იან წლებში მაგიდის ჩოგბურთი შეინარჩუნა **სუსანა გვილავა** იყო. „ბოლო წლებში

>> მე-13 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო ნინოშვილი გამარჯვებულებთან და პრიზიორებთან

<< მე-12 გვერდიდან

თბილისში 7-8 სპეციალიზებული სკოლა შეიქმნა, ხოლო 48 საჯარო სკოლაში - სექციები, სულ კი საქართველოს მასშტაბით 367-მა საჯარო სკოლამ არჩევანი მაგიდის ჩოგბურთზე გააკეთა. ნიჭიერი თაობა მოდის, მთავარია, გამოიყოს თანხები, რომ ბავშვებმა ტურნირებსა და შეკრებებში მონაწილეობა შეძლონ", - გვითხრა ნინომ.

## სპორტის გაკვეთილები

ნინო ნინოშვილი: „იმ სკოლებში, სადაც მაგიდის ჩოგბურთი აირჩიეს, მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ. ფედერაცია მათთან თანამშრომლობს და მათ მუშაობასაც აკვირდება. განსაკუთრებული მონაცემების მქონე ბავშვები ყოველდღე ვარჯიშობენ, იმაღლებენ ოსტატობას. აუცილებელია ბავშვთან ფსიქოლოგმაც იმუშაოს".

## ექიმის რჩევა

ხშირია შემთხვევა, როდესაც ექიმები იმ ბავშვებს, რომელთაც მხედველობის პრობლემა აქვთ, მაგიდის ჩოგბურთის თამაშს ურჩევენ. „ჩვენს სკოლაში მხედველობის პრობლემით რვა ბავშვი ვარჯიშობს, რომელთაგან დღეს მხოლოდ ორი ატარებს სათვალეს და მალე ისინიც მოიხსნიან. თამაშისას თვალის მოძრაობა იმდენად სწრაფად იცვლება, რომ თვალის კუნთი იჭიმება და ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად ბავშვები სათვალესაც ეთხოვებიან".

## აზიელების გამოგონება

1950-იან წლებში მაგიდის ჩოგბურთის მოთამაშე ქვეყნებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ იაპონელები. მათ შემოიღეს გრძელი, მოჭრილი დარტყმა და ჩოგნის „აზიური ტაცი". გამოიგონეს „ტიპ სპინ"-ის სახელწოდებით ცნობილი დარტყმა, რამაც თამაშს სისწრაფე და მრავალფეროვნება შემატა. ჩინელი და კორეელი მოთამაშეები დღესაც ლიდერად გვევლინებიან.

ნინო ნინოშვილი: „6-7 წლის ჩინელი ბავშვი ტურნირზე ისეთი მომზადებული გამოდის, რომ ძნელია მოიფიქრო, რა შეიძლება დაუპირისპირო. ჩვენთვის მთავარია, საქართველოში მაგიდის ჩოგბურთი მასობრივი გახდეს და საუკეთესოთა შორის საუკეთესოს არჩევა შეგვეძლოს. ჩინეთის პირველობაზე მილიონ-ნახევარი მოთამაშე მონაწილეობს. მათ აქვთ მაგიდის ჩოგბურთის შესასწავლი სპეციალური აკადემიები, სადაც ბავშვები მუდმივად ვარჯიშობენ".

## ევროპული ხრიკები

ბევრი ევროპა აზიელი მოთამაშეების წინააღმდეგ რომ ვერაფერს გახდა, დიდი ფიქრის შემდეგ სათამაშო ჩოგანზე დასამაგრებელი განსხვავებული რეზინის საფარი და წებო გამოიგონა, რითაც თამაშის რიტმის დაგდებას შეეცადა. უწინ თუ მაგიდის ჩოგბურთში დაცვიდან თამაში გამართლებული ტაქტიკა იყო, დღეს აქცენტი დარტყმით და აქტიურ თამაშზე კეთდება.

## ვიაროთ წინ

ნინო ნინოშვილი: „მაისში ვგეგმავთ საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას. ამავდროულად ვემზადებით ევროპის ჩემპიონატისთვის. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ტურნირზე მხოლოდ გოგონებს წავიყვანოთ".

**ერთეულთა თანრიგი. უმცროსები. ბიჭები.** 1. დავით მიქაძე 2. ვადიმ ავდალოვი 3. ლაშა ლომია; **გოგონები.** 1. ანა ნიკოიანი 2. ელენე აგეკიანი 3. მარიამ ტურაშვილი

**ერთეულთა თანრიგი. კადეტები.** 1. ზურაბ თებიძე 2. გიორგი კოპლატაძე 3. ბექა რიჟვაძე; **გოგონები.** 1. სალომე სოლაშვილი 2. ანა რიჟვაძე 3. ელენე მეტრეველი

**წყვილები. ბიჭები. 1.** ზურაბ თებიძე - ლევან ბელიაშვილი 2. გიორგი კოპლატაძე - ანდრო ერქომაიშვილი 3. დავით მიქაძე – ვადიმ ავდალოვი; **გოგონები. 1.** სალომე სოლაშვილი - ლიზა კახაბრიშვილი 2. ანა ნიკოიანი - ლიანა კარაკულიკჩი-ოღლი 3. ელენე მეტრეველი - მარიამ გვარამია

**კადეტები. შერეული წყვილები. 1.** ზურაბ თებიძე - ანა ნიკოიანი 2. გიორგი კოპლატაძე - ლიზა კახაბრიშვილი 3. ლევან ბელიაშვილი - ანა რიჟვაძე

**ერთეულთა თანრიგი. იუნიორები. ბიჭები. 1.** ბექა ტაბალუა 2. ხადიმ კარაკულიკჩი-ოღლი 3. დავით ცატუროვი; **გოგონები.** 1. ანგელინა კანდელაკი 2. თინათინ გრაკალიშვილი 3. ვერიკო გურიელი

**წყვილები. ვაჟები. 1.** ზურაბ თებიძე - ბექა ტაბალუა 2. სამველ გასპარიანი - ხადიმ კარაკულიკჩი-ოღლი 3. გიორგი კოპლატაძე - დავით ცატუროვი; **გოგონები. 1.** ანგელინა კანდელაკი - თინათინ გრიგალაშვილი 2. ვერიკო გურიელიძე - თამარ ჩხაიძე 3. ანა ნიკოიანი - ლიანა კარაკულიკჩი-ოღლი

**შერეული წყვილები. იუნიორები. 1.** ბექა ტაბალუა - ვერიკო გურიელი 2. თინათინ გრაკალიშვილი - დავით ცატუროვი 3. ანგელინა კანდელაკი - გიორგი კოპლატაძე

**სალომე ხარატიშვილი**

---

ჩოგბურთი. ეროვნული ნაკრებები

# ტატიშვილი ნაკრებში კვლავ ითამაშებს

## ბასილაშვილი ისევ უაროზს

საჩოგბურთო სამყაროში სანაკრებო პაუზა იწყება და ჩვენთვისაც აქტუალური გახდა „დევისის თასის" და „ფედერაციის თასის" პერიპეტიები - ნაკრების კაპიტნებმა მაისის ბატალიებისთვის შემადგენლობები დაასახელეს. ქალთა ჩოგბურთით და „ფედერაციის თასით" დავიწყებთ.

საქართველოს ნაკრები „ფედერაციის თასის" ევროპა-აფრიკის ზონის II ჯგუფში თამაშობს. 4-7 მაისს ეს ჯგუფი ტურნირს ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში მართავს. რევოლუციაგამოვლილი ეგვიპტე შეჯიბრებას „სმეშ ტენის" აკადემიის კორტებზე უმასპინძლებს, რომლის საფარი თიხნარია. 7 ნაკრები ორ პულში გადანაწილდება, პულის გამარჯვებული მეორე პულის მეორეადგილოსანს შეხვდება. საბოლოოდ, ორი საუკეთესო ნაკრები გაისად ევროპა-აფრიკის I ზონაში ითამაშებს. ასევე გათამაშდება ბოლოსწინა და ბოლოადგილოსანთა პლეი ოფი, რის შემდეგაც ორი უარესი ნაკრები III ჯგუფში გავარდება. საქართველოს კონკურენტები არიან: სომხეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ფინეთი, მაროკო, პორტუგალია და თურქეთი.

ჩვენი ნაკრების უცვლელმა კაპიტანმა **ლალი ზერეკიძემ** შემდეგი შემადგენლობა დაასახელა: **ანა ტატიშვილი** (109), **სოფიო შაფათავა** (287), **თათია მიქაძე** (301) და **ეკა გორგოძე** (497). ძალიან კარგია, რომ გუნდში ითამაშებს ჩვენი ლიდერი ანა ტატიშვილი, მაგრამ ნაკრებს აკლია ქვეყნის მე-2 და მე-3 ნომრები, **ოქსანა კალაშნიკოვა** (189) და **მაკა ჩახნაშვილი** (235). შარშან ჩვენს გოგონებს ერთი ნაბიჯი დააკლდათ I ჯგუფის საგზურამდე, პლეი ოფში ბერძნებთან 0:2 წააგეს. უკვე მეორე წელიწადია, ნაკრებში არაა მაკა ჩახნაშვილი როგორც ჩანს, 28 წლის ჩოგბურთელმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. სხვათა შორის, ის ნაკრებს 10 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურა და ამ მხრივ საქართველოს რეკორდსმენია. ჩახნაშვილის ანგარიშზე 30 სანაკრებო გამარჯვებაა (ესეც რეკორდია).

„ფედერაციის თასის" სანაკრებო რეიტინგში ჩვენი მეტოქეთაგან საქართველოზე (56-ე) წინ მხოლოდ ფინეთია (51-ე), თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ყველაზე სერიოზული მეტოქე ეგვიპტეში ფინეთი გვეყოლება. ფინეთის ნაკრების შემადგენლობა ასეთია: **ემა ლაინე** (268), **პია სუომალაინენი** (450), **ჰეინი სალონენი** (ურეიტინგო) და **ელა ლეივო** (ურეიტინგო).

გაცილებით ძლიერია პორტუგალიელთა შემადგენლობა, არადა, ეს ქვეყანა რეიტინგში მხოლოდ 65-ე ადგილზეა: **მიშელ ლარჩერ დე ბრიტო** (174), **მარია ჟოაო კოელერი** (278), **მაგალი დე ლატრე** (380) და **ბარბარა ლუზი** (1040). 18 წლის ლარჩელ დე ბრიტო ტატიშვილთან ერთად ამ ჯგუფის მთავარი ვარსკვლავია. გაგაცნობთ სხვა ნაკრებების შემადგენლობებსაც:

ბოსნია: **იასმინა ტინჯიჩი** (282), **მერვინა იუგიჩ სალკიჩი** (444), **იასმინა კაიტაზოვიჩი** (717) და **ემა ბურგიჩი** (703).

სომხეთი: **ანი ამირალიანი** (978), **ოფელია პოღოსიანი** (ურეიტინგო), **ნუნე ხაჩატრიანი** (ურეიტინგო) და **ანა მოვსისიანი** (ურეიტინგო).

მაროკო: **ფატიმა ელ ალამი** (438), **ნადია ლალამი** (499), **ლინა ბენანი** (748) და **ჰაბიბა იფრახი** (ურეიტინგო).

თურქეთი: **კაგლა ბუიუქაგჩაი** (169), **პემრა ოზგენი** (374), **ბასაკ ერაიდინი** (747) და **იპეკ სენოგლუ** (ურეიტინგო, წყვილებში 77).

ვფიქრობთ, ჩვენი ნაკრების მთავარი კონკურენტი პორტუგალიაა, ბრძოლა გველის ბოსნიასთან და თურქეთთანაც. საერთო ჯამში კი ნაკრებმა, წესით, უნდა შეძლოს I ჯგუფში ალზევება.

„დევისის თასზე" საქართველოს ნაკრები ევროპა-აფრიკის ზონის III ჯგუფშია. კაპიტან **ვიქტორ ბაქშის** გუნდი 9 მაისს მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში ითამაშებს. მონაწილეთა რიცხვი 12-ია: საქართველო, ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, ისლანდია, მაკედონია, მალტა, მოლდოვა, ჩერნოგორია, ნორვეგია, სან მარინო, თურქეთი.

საქართველოს ნაკრებში სამი ურეიტინგო ჩოგბურთელია: **გიორგი ცივაძე**, **ალექსანდრე მეტრეველი** და **ნიკა დოლიძე**. ბუნებრივია, ასეთი გუნდით სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი ძნელია, თუმცა არც მეტოქეები წყვეტენ ციდან ვარსკვლავებს. ცუდია, რომ ჯერ ერთხელაც არ დაუცავს თავისი ქვეყნის ღირსება **ნიკოლოზ ბასილაშვილს** (678), ერთადერთ ქართველს, რომელიც რეგულარულად თამაშობს საერთაშორისო ტურნირებში. 12 ნაკრები 4 პულად გაიყოფა, პულის გამარჯვებულები პლეი ოფში II ჯგუფის ორი საგზურის მფლობელებს გამოავლენენ. აქედან არავინ ვარდება, რადგან ეს „დევისის თასის" გათამაშების ფსკერია.

სხვა 11 ნაკრების შემადგენლობას არ ჩამოვთვლით, გუნდებში ძირითადად უცნობი, ურეიტინგო და სუსტი ჩოგბურთელები არიან. გამოვყოფთ მოლდოველ **რადუ ალბოტს** (402), ჩერნოგორიელ **გორან ტოშიჩს** (460), ნორვეგიელ **ერლინგ ტვეიტს** (532), თუმცა ჯგუფის მთავარი ვარსკვლავი უდავოდ თურქი **მარსელ ილჰანია**. 23 წლის ჩოგბურთელი მსოფლიოს 110-ე ჩოგანია, წლის დასაწყისში კი 87-ე ნომრამდე იყო ალზევებული. ამ ჩოგბურთელის წყალობით, თურქეთი ჯგუფში ფავორიტია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანა ტატიშვილი

---

ტურნირები

# სამი ნახევარფინალი

**მაკა ჩახნაშვილმა** (235) ზედიზედ ორი ტურნირის მოგება იტალიის ქალაქ პომეციაში ველარ შეძლო - პირველ ნომრად განთესილი ჩვენებური ნახევარფინალში გააჩერეს. მანამდე კი ჩვენებური რიხით მივიდა, მეოთხედფინალში მე-6 ნომრად განთესილი ფრანგი **ვიქტორია ლარიერი** (355) დაამარცხა - 1:6, 6:0, 6:3. ნახევარფინალში მაკამ განუთესავ რუმინელ **კრისტინა დინუსთან** (414) დათმო - 6:2, 3:6, 4:6.

ახალგაზრდულ ასპარეზზე კარგად წარმოჩინდა 17 წლის **ალექსანდრე მეტრეველი**. ჩვენებური 18-წლამდელ ჩოგბურთელთა შორის მსოფლიოს 91-ე ჩოგანია. ის საფრანგეთში ისტრის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა, რომელიც მე-2 კატეგორიისაა. პირველივე წრეში მან მე-5 ნომრად განთესილი მოლდოველი **მაქსიმ დუბარენკო** (51) დაამარცხა - 5:7, 6:3, 7:5. მეორე წრეში ქართველმა „უაილდ ქარდით" მიწვეულ მასპინძელ **მაქსიმ შაზალს** მოუგო - 7:5, 1:6, 7:6 (1). მეოთხედფინალში დიდი ჩოგბურთელის შვილიშვილი 16 წლის ჩეხ **მარეკ როუტას** (168) გადაეყარა და ორ სეტში დაჯაბნა - 6:3, 6:4. ასე გავიდა ჩვენებური ნახევარფინალში, სადაც მისი ტრიუმფული სვლა მე-7 ნომრად განთესილმა სერბმა **მიკი იანკოვიჩმა** (82) გააჩერა - 6:4, 2:6, 6:0. წყვილთა ბადეშიც მეტრეველმა ნახევარფინალს უწია, სადაც იაპონელ **რიოტა კიშისთან** (100) ერთად გერმანელი **ელიასისა** და პოლონელი **სმოლას** დუეტთან დამარცხდა - 6:7 (5), 6:7 (5).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

ჭადრაკი

# ბოლო ტურის წინ

დუბაის საერთაშორისო ტურნირში საქართველოს 6 წარმომადგენელი მონაწილეობს. სტარტი მათ წარმატებით აიღეს, მაგრამ შემდეგ შედეგები შედარებით გაფერმკრთალდა და ბოლო ტურის წინ საპრიზო სამეულში მოხვედრის შანსს მხოლოდ საქართველოს ვიცე-ჩემპიონი **ლევან ფანცულაია** ინარჩუნებს.

გუშინ მე-8 ტურში ინდოელმა **პარიმარიჯან ნეგიმ** ნორვეგიელი **ლუდვიგ ჰამერი** დაამარცხა და 7 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. მისმა თანამემამულე **ებჯით გუფთამ სერგეი ვოლკოვს** (რუსეთი) სძლია და 6.5 ქულით მე-2 ადგილზეა. 11-მა მოჭადრაკემ 6-6 ქულა მოაგროვა. მათ შორისაა ფანცულაია, რომელმაც ინდოელ **რამნადის** აჯობა, დღეს კი შავი ფიგურებით **მურთაზ კაჟგალიევს** (ყაზახეთი) დაუპირისპირდება.

გაუწყებთ დანარჩენ ქართველ მოჭადრაკეთა გუშინდელი ორთაბრძოლების შედეგებს: **ტიგრან კოტანჯიანი** (სომხეთი)-**მიხეილ მჭედლიშვილი** 0.5:0.5, **სერგეი ისკუსნიხი** (რუსეთი)-**დავით არუთინიანი** 0.5:0.5, **მერაბ გაგუნაშვილი-შვაპნილი** (ინდოეთი) 1:0, **სოფიკო ხუხაშვილი-საიანთან დასი** (ინდოეთი) 1:0, **ვაჰაკ სანალი** (თურქეთი)-**დავით ზარქუა** 0:1. ჩვენებურთა მონაგარი 8 ტურის შემდეგ: ფანცულაია-6, მჭედლიშვილი, გაგუნაშვილი, არუთინიანი-5.5-5.5, ზარქუა, ხუხაშვილი-5-5 ქულა.

დღეს ბოლო ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

---

ტაეკვონდო

# თბილისი უმასპინძლებს

ამას წინათ თბილისს სტუმრობდნენ ტაეკვონდოს ევროპის ფედერაციის პრეზიდენტი **საკაის პრაგალოსი** და გენერალური მდივანი **გერეტ ესინკი**, რომლებმაც სპორტის სასახლე და რამდენიმე სასტუმრო დაათვალიერეს, შეხვდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილეებს - **დავით ნამგალაურსა** და **გიორგი გალდავას**, სპორტის დეპარტამენტის უფროს **ირაკლი სამყურაშვილს**. ევროპის ფედერაციის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, საბოლოოდ გაირკვა, რომ 2011 წლის 7-10 ივლისს თბილისში ტაეკვონდოში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიმართება. შეჯიბრებაზე, სავარაუდოდ, 33 ქვეყნის 400-მდე სპორტსმენი ჩამოვა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ● ქართველი NBA-ში



ნამიც და ჰოვარდი ტექნიკურ შენიშვნას მიიღებს

# ჰოვარდმა ზაზა კისრულით დააგდო, ატლანტამ ორლანდო - იპონზე...

სასიამოვნო მოულოდნელობა - ასე შეიძლება ეწოდოს NBA-ს პლეი ოფის პირველ ეტაპზე „ატლანტას" ორლანდოში გამარჯვებას. მართალია, რეგულარულში ჯორჯიელებმა „ორლანდო მეჯიქს" ოთხიდან სამი მატჩი მოუგეს, მაგრამ ეს ეტაპი ფლორიდელებმა უკეთ ჩაატარეს, „ატლანტასთან" საპლეიოფოდ მოედნის უპირატესობაც დაიბევეს და ბევრს არ ეგონა, რომ „ატლანტა" **დუაიტ ჰოვარდის** გუნდს პირველივე მატჩში დააკარგვინებდა მოედნის უპირატესობას.

„ჰოქსის" კალათბურთელებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს ცნობილი ფრაზის ჭეშმარიტებაში: ერთი კაცი თამაშს ვერ მოიგებს... თავად განსაჯეთ: „ორლანდოს" ცენტრმა დუაით ჰოვარდმა 46 ქულა ჩააგდო, ბურთი 19 ჯერ მოხსნა, მაგრამ გამარჯვება „ატლანტას" დარჩა (103:93). 46 ბალი, 1987 წლის შემდეგ ერთ საპლეიოფო მატჩში ჩაგდებული ქულების სარეკორდო მაჩვენებელი აღმოჩნდა. აბსოლუტური რეკორდი **ჰაკიმ ოლაჯოუნს** ეკუთვნის - 49 ქულა.

ჰოვარდის მეურვეობა მატჩის სხვადასხვა ეპიზოდში ოთხ ატლანტელს უწევდა: **კოლინზს, ფაჩულიას, პაუელს** და **ტომასს.** დანარჩენი ატლანტელები შეტევაზე ზრუნავდნენ და ყველაფერი კარგად გამოსდიოდათ: **სმიტმა** საბოლოოდ 15 ქულა ჩააგდო, **ჯონსონმა** - 25, **კროუფორდმა** - 23, **ჰაინრიხმა** - 13, **ჰორფორდმა** - 16. სტუმრებმა ყველაზე დიდ უპირატესობას მესამე პერიოდში მიაღწიეს - 71:54. ეს ანგარიში ზაზა ფაჩულიას ზუსტი საჯარიმოების შემდეგ დაფიქსირდა. ამ ეპიზოდს ამერიკული პრესა განსაკუთრებულად გამოეხმაურა და ჩვენც ცალკე აბზაცს დავუთმობთ.

დუაიტ ჰოვარდი ყოველთვის გაწონასწორებულია თუმცა მესამე პერიოდში მისთვის უჩვეულოდ გაცხარდა... ზაზამ ბურთი „ორლანდოს" ფარზე ცხვირწინ რომ მოუხსნა და კალათში ჩაბრუნებას ცდილობდა, ჰოვარდმა ქართველი კისრულით იატაკზე დააგდო. „სუპერმენის" ასეთი მოქმედება არბიტრებმა ტექნიკური ჯარიმით შეაფასეს. თანაგუნდელებმა ზაზას ფეხზე წამოდგომა არ აცადეს, მიცვივდნენ და სათადარიგოთა სკამისკენ წაიყვანეს. უმალ ყველა დამშვიდდა, ჰოვარდი კი მსაჯების გადაწყვეტილებას ღიმილით შეხვდა. ტექნიკური ჯარიმა ჯო ჯონსონმა ჩააგდო, იქვე ფაჩულიამ ორი მიამატა და უპირატესობა 17 ქულამდე გაიზარდა.

მას მერე მასპინძლებმა სხვაობა მალე შეამცირეს, მაგრამ ეს „ატლანტამ" 10-ქულიანი უპირატესობა საფინალო სირენამდე შეინარჩუნა.

მეორე შეხვედრა ისევ „ორლანდოს" მოედანზე 19 აპრილს გაიმართება.

### კომენტარი

## ზაზა ფაჩულია: არ უნდა დავკმაყოფილდეთ!

- რეგულარული ეტაპის ბოლოს სათანადოდ ვერ ვთამაშობდით, პლეი ოფს წაგებათა ექვსმატჩიანი სერიით შევხვდით. თუმცა, მონდომებით ვმუშაობდით და იმედი გვქონდა, რომ „ორლანდოსთან" პირველივე შეხვედრას 100 პროცენტით მომზადებულები შევხვდებოდით. საბედნიეროდ, ასეც მოხდა. პლეი ოფი დიდებულად დავიწყეთ, მაგრამ კმაყოფილების საფუძველი არ გვაქვს. ბევრი შეცდომა დავუშვით, რაც მომდევნო მატჩებში აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.

### ორლანდო-ატლანტა 93:103

**ზაზა ფაჩულია:** 08:55 წუთი, 2 ქულა (1-დან 0 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 1 მოხსნა, 3 ფოლი, 1 შეცდომა

### ქრონოლოგია

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 05:15 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 04:14 | ფოლი: 1 |
| 03:36 | ფოლი: 2 |
| 03:36 | ტომასმა ზაზა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 06:33 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 06:18 | შეცდომა: 1 |
| 05:37 | მოხსნა: შეტ-1. დაც-0 |
| 05:37 | საჯარიმოები: 2/2 (71:54) |
| 02:20 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:10 | უილიამსმა ზაზა შეცვალა |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 06:33 | ზაზამ უილიამსი შეცვალა |
| 04:52 | ფოლი: 3 |
| 04:40 | კროუფორდმა ზაზა შეცვალა |




### ზაზა 238, დუაიტი 166

NBA-ს ოფიციალურ საიტზე, „ორლანდო"-„ატლანტას" მიმოხილვას ერთი დანართი აქვს, რომელსაც სათაურად აწერია: „სოციალური MVP". საქმე ეხება გამოკითხვას, რომლის მიზანია სოციალურ ქსელში ყველაზე პოპულარული კალათბურთელის გამოვლენა. ამ გამოკითხვის მიხედვით „ორლანდოსა" და „ატლანტას" კალათბურთელებს შორის **ზაზა ფაჩულია** ლიდერობს, რომელსაც 238 ხმა აქვს. მეორეა **დუაით ჰოვარდი** - 166 ხმა, მესამე **ქუენტინ რიჩარდსონი** - 153.

## ● სუპერლიგა. XXII ტური

# საპლეიოფო რვა

სუპერლიგის რეგულარული ეტაპი შაბათს დასრულდა. თუ წინა წლებში საპლეიოფო წყვილები დიდი ხნით ადრე ირკვეოდა, ამჯერად ბოლო ტურს უნდა გადაეწყვიტა ვინ მოხვდებოდა და ვინ ვის დაუპირისპირდებოდა პლეი ოფში. მოკლედ, ჩემპიონატს გამოეთიშნენ „დინამო", „აგრარული" და „ბათუმი". მეოთხედფინალურ წყვილებს ქვემოთ გაეცნობით, აქ კი ტურის გამორჩეულებს დაგისახელებთ. შსს-"სოხუმის" მატჩში 24 ქულა ჩააგდო **ბესიკ ლეჟავამ** (შსს), გამარჯვების ორქულიანიც მის ანგარიშზე იყო და ამიტომაც გადავწყვიტეთ მისთვის MVP-ის ტიტულის მინიჭება. სტუ-სთვის გადამწყვეტ მატჩში ტექნიკოსმა **ბექა ჩიკვილაძემ** კრიტიკულ მომენტში ორი სამქულიანი ჩააგდო, საბოლოოდ 20 ქულას მოუყარა თავი და 22-ე ტურში ორი MVP-ს დასახელება გადაგვაწყვეტინა.

**16 აპრილი, თბილისი**

| | |
|---|---|
| სამედიცინო | 80 |
| ბათუმი | 72 |

18:18, 15:23, 32:16, 15:15

**სამედიცინო:** თავართქილაძე (2ქ, 6პ, 5ჩ), ფაიქრიძე (4ქ), ჩაჩიბაია (12ქ, 7მ), კეიდია (5ქ), დვალიშვილი (15ქ, 10მ, 4დ), გულისაბედაშვილი (8ქ, 5მ), ს. ლეჟავა (5ქ), ბექაური (6ქ, 11მ), როდუმტა (1ქ), ჭოჭუა (15ქ, 5ფ), როჯერსი (7ქ).
**ბათუმი:** ნინუა (8ქ, 5ფ), მიქელაძე (14ქ, 4პ, 6ჩ), სანაძე (20ქ, 7მ, 3ჩ), კეშელავა (7ქ, 8მ), ყველაშვილი (19ქ, 15მ), რამიშვილი (4ქ), ელიაშვილი.
**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე
**კომისარი:** რ. გელოვანი



სამედიცინო-ბათუმი

„ბათუმს" პლეი ოფში გასასვლელად „სამედიცინოს" ძლევა სჭირდებოდა, რაც რთული ამოცანა იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ „მედიკოსები" ბოლო დროს კარგად ათამაშდნენ, მეორეც - ზღვისპირელებს საკადრო პრობლემები აქვთ: დისკვალიფიცირებულია **ნიკა ჩხატარაშვილი**, გუნდს ასევე ვერ დაეხმარა **ვანო მაისურაძე. მიხეილ კობეშავიძეს** განაცხადში 8 კალათბურთელი ჰყავდა და 7 ათამაშა.

ამის მიუხედავად „ბათუმმა" ბოლომდე იბრძოლა, თუმცა თავს ზემოთ ვერ ახტა. წაგების მიუხედავად დარჩა იმედი, რომ დღის ბოლო მატჩში „აგრარული" სტუ-ს დაამარცხებდა და პლეი ოფში „ბათუმს" შეუშვებდა.

**16 აპრილი, თბილისი**

| | |
|---|---|
| არმია | 83 |
| ენერჯი | 64 |

18:15, 18:13, 21:18, 26:18

**არმია:** ტულუში (20ქ, 12მ), ბოისა, საყვარელიძე (4ქ), პირველაშვილი (4ქ), შარაბიძე (16ქ, 12მ, 4პ, 2დ), ბაქრაძე, ბაბიაშვილი (16ქ), მინაშვილი (10ქ, 6მ), მოსეშვილი, ათანელიშვილი (9ქ, 5მ), ათუაშვილი (4ქ), დევიძე.
**ენერჯი:** აბაიშვილი (24ქ, 6მ), მაჭავარიანი (8ქ, 3პ, 5ფ), არაბული (2ქ), გუგავა (7ქ, 6მ, 3პ, 5ფ), ლამუ (18ქ, 8მ, 3დ), გ. ბერუაშვილი (3ქ, 3პ), აბულაძე (2ქ).
**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა
**კომისარი:** მ. რატიშვილი

„ენერჯისა" და „არმიას" კალათბურთელებმა საპლეიოფოდ წაივარჯიშეს. ეს გუნდები ერთურთს მეოთხედფინალშიც დაუპირისპირდებიან...

**16 აპრილი, თბილისი**

| | |
|---|---|
| სოხუმი | 73 |
| შსს | 78 |

21:16, 13:27, 21:12, 18:23

**სოხუმი:** ფარლალავა (20ქ, 8მ, 5პ, 3ჩ), პარისი (15ქ, ), კვეტენაძე (1ქ), კანკია (5მ, 5ფ), რ. დამუსი (10ქ, 16მ, 4დ), ჩლაიძე (5ქ, 5ფ), შანიძე (5ქ), სორდია (4ქ), კ. დამუსი (13ქ, 7მ).
**შსს:** ნიკოლაძე (7ქ, 6მ, 4პ), კოტონი (18ქ, 3პ, 5ფ), ბ. ლეჟავა (24ქ, 5მ, 4პ), მარკოიშვილი, იმნაძე (6ქ), ლაფანაშვილი (3ქ), დ. ბარბაქაძე (13ქ, 5მ), შერმადინი (7ქ, 8მ, 2დ), ტომარაძე (6მ, 4პ).
**მსაჯები:** მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე
**კომისარი:** მ. რატიშვილი

„სოხუმი" და შსს-ც ერთმანეთში გაარკვევენ ნახევარფინალისტის ბედს. რეგულარული ეტაპის ბოლოს ორივე გუნდს სურდა კარგი განწყობით შეხვედროდა პლეი ოფს. საბოლოოდ ასეც მოხდა: შსს-მ გაიმარჯვა, ხოლო „სოხუმის" კალათბურთელები გამარჯვების შანსს ბოლო წამებამდე ინარჩუნებდნენ და დაინახეს, რომ მეოთხედფინალში უშანსოდ არ იქნებიან.

სოხუმელებს ქომაგობდა ესპანეთიდან დაბრუნებული **ნიკა ცქიტიშვილი**. მან კარიერა „სოხუმში" დაიწყო.

ნამატჩევს ვეტერანი კალათბურთელის, აფხაზეთში გმირულად დაღუპული იური ძიძიგურის სახელობის თასები ორივე გუნდის საუკეთესო კალათბურთელებს გადაეცათ: შსს-ელ **ბესიკ ლეჟავასა** და სოხუმელ **იუჯინ ჰარისს.**



სტუ-აგრარული
დავით ხანიაშვილი და ვასილ ბერუაშვილი (6)

**16 აპრილი, თბილისი**

| | |
|---|---|
| სტუ | 72 |
| აგრარული | 66 |

18:11, 21:16, 14:20, 19:19

**სტუ:** ჩიკვილაძე (20ქ), ვ. ბერუაშვილი (9ქ, 6მ, 3ჩ), ქოხონელიძე (2ქ), თევზაძე (4ქ, 8მ, 4პ), კობიძე (9ქ, 10მ, 3დ), ლომოური (7ქ, 7მ, 4ჩ), გასიტაშვილი (3ქ), ჯანგველაძე (12ქ, 7მ), ახალკაცი (6ქ, 5ფ), ლაშქარაძე.
**აგრარული:** სიგუა (5ქ, 3პ), ჩაჩანიძე (18ქ, 5მ), ხანიაშვილი (10ქ), ჯავახიშვილი (2ქ), მუმლაძე (9ქ, 11მ), არნივიძე (7ქ), ტეტელაშვილი (4ქ), ბააკაშვილი (6ქ, 4ჩ), ნანიტაშვილი (1ქ, 5ფ), გემაზაშვილი (4ქ, 5მ).
**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი
**კომისარი:** თ. ქიქოძე

სტუ-"აგრარულის" მატჩში ყველაფერი მოტივაციამ და ბექა ჩიკვილაძემ გადაწყვიტეს. მთელი თამაშის განმავლობაში წინ სტუ იყო, თუმცა სირენამდე სამიოდე წუთით ადრე სამქულიანებით „აგრარებმა" სხვაობა 3 ქულამდე შეამცირეს (57:60). სწორედ მაშინ დაამტკიცა ახალგაზრდა ჩიკვილაძემ, რომ გადამწყვეტ მომენტში მასზე დაყრდნობა შეიძლება - ორი სამქულიანი გამოიყენა და სტუ 9 ქულით დააწინაურა (66:57). ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა.

### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 20 | 18 | 2 | 1747/1365 | 38 |
| 2. თსუ | 20 | 16 | 4 | 1869/1627 | 36 |
| 3. ქუთაისი | 20 | 15 | 5 | 1647/1460 | 35 |
| 4. შსს | 20 | 14 | 6 | 1741/1524 | 34 |
| 5. სოხუმი | 20 | 12 | 8 | 1622/1493 | 32 |
| 6. სამედიცინო | 20 | 8 | 12 | 1494/1477 | 28 |
| 7. სტუ | 20 | 7 | 13 | 1586/1693 | 27 |
| 8. ენერჯი | 20 | 7 | 13 | 1395/1538 | 27 |
| 9. ბათუმი | 20 | 6 | 14 | 1528/1656 | 26 |
| 10. აგრარული | 20 | 5 | 15 | 1414/1646 | 25 |
| 11. დინამო | 20 | 2 | 18 | 1367/1931 | 22 |

### მეოთხედფინალი

**3 მაისი**

არმია-ენერჯი
თსუ-სტუ
ქუთაისი-სამედიცინო
შსს-სოხუმი

**5 მაისი**

ენერჯი-არმია
სტუ-თსუ
სამედიცინო-ქუთაისი
სოხუმი-შსს

**7 მაისი**

არმია-ენერჯი*
თსუ-სტუ*
ქუთაისი-სამედიცინო*
შსს-სოხუმი*

*სერია ორ მოგებამდეა*

### ნახევარფინალი

10, 11, 13, 14*, 16* მაისი

### ფინალი

20, 21, 23, 24*, 26* მაისი

* - თუ საჭირო გახდა

### ლეგიონი

**იტალიის ჩემპიონატი**

**კანტუ-ბიელა 82:77**

მანუჩარ მარკოიშვილი (კანტუ): 15 წუთი, 7 ქულა, 2 მოხსნა, 1 დაფარება, 1 პასი.

**კრემონა-ვირტუსი 88:95**

ვიქტორ სანიკიძე (ვირტუსი): 25 წუთი, 11 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი.

**ევროთასი**

**1/2 ფინალი**

**ბენეტონი-კახასოლი 63:75**

ბექა ბურჯანაძე (კახასოლი): 5 წამი.

**ფინალი**

**კახასოლი-უნიქსი**

ბექა ბურჯანაძე (კახასოლი): განაცხადში იყო, არ უთამაშია.

**ბელგიის ჩემპიონატი**

**ლიეჟი-პეპინსტერი 81:70**

თორნიკე შენგელია (პეპინსტერი): 12 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა.

**გერმანიის ჩემპიონატი**

**გისენი-ტრირი 53:63**

ლაშა გამყრელიძე (გისენი): 12 წუთი, 2 მოხსნა, 2 პასი.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# სწორი სტრატეგიით გატეხილი წინააღმდეგობა



ბურთით თორნიკე ძაგნიძე

| | |
|---|---|
| აკადემია | 3 |
| აია | 21 |

**აკადემია** (15-9) ი.დავითაშვილი, ჭუაძე, ნასიძე, მოლოდინაშვილი, გოგოლაშვილი (ხარაძე 46), ქოპილაშვილი, შ.დავითაშვილი (აბდუშელიშვილი 74). (1-8) ზაქაშვილი (დიაკონიძე 79), მეკოკიშვილი, ლამბაშიძე (ფირცხალაიშვილი 78), ნებულიშვილი (ობოლაძე 68), გაჩეჩილაძე, ნიბლაძე (ჩაჩუა 78), გოგოლაძე, ნ. ჩხიკვაძე.

**აია** (15-9) ხამაშურიძე, ძნელაძე, ი.ჩხიკვაძე, ი.გიორგაძე (გოშაძე 80), აბრამიძე, სინაურიძე, გოგია. (1-8) ლომიძე (ჟვანია 60), მატკავა (ერისთავი 77), ტ.ჩხიკვაძე (გურეშიძე 50), ჩიტეიშვილი, ძაგნიძე (თხელიძე 55), რევიშვილი, შალამბერიძე, დგებუაძე (მეტრეველი 20, ცირეკიძე 65).

**3ლ:** ხამაშურიძე (2), ძაგნიძე. 3გ: სინაურიძე

**მსაჯი:** ნ.რობიტაშვილი

საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის მე-2 ტურს ბევრ კითხვაზე უნდა მოეფინა ნათელი. ისე გამოვიდა, რომ ერთმანეთს ის გუნდები დაუპირისპირდნენ, რომლებმაც პირველი ტურის შეხვედრებში გამარჯვებას მიაღწიეს. ახლა აქ უნდა გარკვეულიყო თითოეული მათგანი რეალურად რა ძალას წარმოადგენდა.

თბილისის „აკადემიამ" პირველ ტურში „ყოჩებთან" უმნიშვნელოვანესი გამარჯვების მოპოვების შემდეგ, „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ქუთაისის „აიას" უმასპინძლა და 3:21 წააგო.

ქუთათურებმა აქამდე ორჯერ ითამაშეს რუსთავის „ხარებთან" (ერთხელ თასზე) და ორივეჯერ დამაჯერებლად, მშრალი ანგარიშით გაიმარჯვეს. თუ მატჩის ანგარიშით ვიმსჯელებთ, ერთი შეხედვით, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ „აიამ" მეტოქე უპრობლემოდ დაამარცხა, მაგრამ ეს ასე არ არის.

„აკადემიამ" მატჩის დასაწყისიდანვე მედგარი ბრძოლა გაუმართა სტუმართა გუნდს. მასპინძლები დაცვაში უშეცდომოდ ირჯებოდნენ. „აიამ" თავიდანვე არჩეულ სტრატეგიას - ხელდახელ შეტევის ორგანიზებას, მატჩის ბოლომდე არ ულალატა. ქუთაისელ მორაგბეებს საკუთარი 22-მეტრიანი ზონიდან ბურთი ფეხით არ გამოჰქონდათ და ცდილობდნენ ხელდახელ ბურთაობით გადასულიყვნენ მეტოქის მოედანზე.

„აკადემიას" მოწინააღმდეგის ამ სტრატეგიის გასამკლავებლად ძალა მხოლოდ ერთ ტაიმში ეყო. მეტიც, სტუმრები ხშირად უშვებდნენ შეცდომებს და მასპინძელთა ჩათვლის მოედანს პირველად ტაიმის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მიუახლოვდნენ.

შესანიშნავად მოთამაშე „აკადემიამ" ანგარიში დასაწყისშივე, მე-3 წუთზე გახსნა. შერკინების კვაჭმა **ბექა მეკოკიშვილმა** საჯარიმო 45 მეტრიდან გაიტანა - 3:0. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანვე გაცილებით ხელსაყრელი პოზიციიდან სამჯერ ვერ შეძლო ბურთის კარის ძელებს შორის გატარება.

უცნაურია, მაგრამ საკმაოდ ცოცხალი, სანახაობრივად კარგი თამაშის პირველი ტაიმი მწირშედეგიანი გამოდგა. „აიამ" ქულების აღება ვერ შეძლო და „აკადემიამაც" ვერაფრით გაზარდა მონაგარი.

მეორე ტაიმში ტაქტიკა გუნდებს არ შეუცვლიათ. ოღონდ ეგ არის, აკადემიელები მეტოქის მძიმე და საკმაოდ მობილურ შერკინებას ველარ უმკლავდებოდნენ. ქუთაისელ მორკინალებს მხარს უკანახაზელებიც უბამდნენ, რომლებმაც წინახაზელების მიერ შექმნილი უპირატესობა ორჯერ ლელოდ აქციეს.

პირველი ლელო „აიამ" 50-ე წუთზე გაიტანა. რიონისპირელებმა დერეფანი მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში მოიგეს. მოლის შეკვრა სცადეს, მაგრამ აკადემიელებმა არ დაანებეს და თამაში რაკში გადავიდა. ერთი მოკლე დარტყმის შემდეგ რაკიდან ისევ მოლი ააგორეს, რომელსაც მესამეხაზელი **თორნიკე ძაგნიძე** მოულოდნელად მოსწყდა და ლელოში შეაღწია. მგეზავმა **გაგა სინაურიძემ** გარდასახა - 10:3.

„აკადემიას", ცხადია, ბრძოლა არც ამის შემდეგ შეუწყვეტია. ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ სტუმართა დაცვაც შესანიშნავად ირჯებოდა. „აიამ" მომდევნო ლელო 64-ე წუთზე მიითვალა. მასპინძელთა 22-მეტრიანი ზონის ხაზთან მათ სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა. იქიდან გამოსული ბურთი ცხრა ნომერმა **ლევან გოგიამ** მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე გაიტანა, სადაც შეტევაში ჩართული ფულბეკის **ბესიკ ხამაშურიძის** შეჩერება აკადემიელებმა ვერ მოახერხეს. სინაურიძემ ისევ გარდასახა - 14:3.

ასეთ დაძაბულ, თითქმის თანაბარ ორთაბრძოლაში ეს გამარჯვებაზე აქცენტირებული სერიოზული განაცხადი იყო. ამისა მიუხედავად, „აია" ზეწოლას განაგრძობდა და რვა წუთში კიდევ ერთი ლელო გაიტანა.

ქუთათურებმა დერეფანი მასპინძელთა ლელოდან ათ მეტრში მოიგეს, ჯერ მოლით მიაწვნენ, მერე მორკინალებმა რაკიდან ორი მოკლე დარტყმა განახორციელეს და რამდენიმე მეტრით წინ წაიწიეს. წარმოქმნილი რაკიდან გოგიამ ბურთი მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე შუამარბ **ირაკლი ჩხიკვაძეს** გაუტანა, რომელმაც ხაზი გაჭრა, თუმცა ზედ ლელოს ხაზთან შეაჩერეს, გოგიამ კიდევ უფრო მარჯვნივ ახლა ხამაშურიძეს გაატანა ბურთი, რომელიც სამ მეტოქეს გაუმკლავდა და ჩათვლის მოედანში შეაღწია. სინაურიძეს გარდასახვა არ გასჭირვებია - 21:3.

„აიამ" ეს ანგარიში თამაშის ბოლომდე შეინარჩუნა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა, რამაც ქუთათურებს საშუალება მისცა, სატურნირო ცხრილს სათავეში ჩასდგომოდნენ.

# არმიამ ხარები რქებით დასცა

| | |
|---|---|
| არმია | 23 |
| ხარები | 17 |

**არმია** (15-9) ფერაძე (ბ.კობახიძე 52), ქავთარაშვილი, ნუცუბიძე, ნადარეიშვილი, ხარაზიშვილი, ბაირამაშვილი, ზაბახიძე (ჯინაშვილი 45). (1-8) კაკოვინი (ქორიძე 41), ნატრიაშვილი, ნავროზაშვილი (შენგელია 50), კოკვიძე, ჩოჩიშვილი (ჟღენტი 41), კალმახელიძე, დარასელია (ლადო კილასონია 64), ცხადაძე.

**2ლ:** ნავროზაშვილი, ნუცუბიძე. 3ს,2გ,: ნუცუბიძე

**სინბინი:** ჯინაშვილი

**ხარები** (15-9) შუბითიძე, მურადაშვილი, მ.ნიკლაური, ლობჟანიძე, მელიქიშვილი, ჯიმშელაძე, ზირაქაშვილი. (1-8) მაჭარაშვილი, ალაშვილი, მიხ. ნიკლაური (ბასილაშვილი 63), ბალაშვილი (მარტიაშვილი49), უჩავა, გოგიაშვილი, ლამბარაშვილი, ქარუხნიშვილი.

**2ლ:** ჯიმშელაძე, ქარუხნიშვილი. 2გ: ჯიმშელაძე. ს: მ.ნიკლაური

**მსაჯი:** მ.ჩაჩუა



სოლომონ ქარუხნიშვილის ლელო

პირველ ტურში ქვეყნის ჩემპიონ „ლოკომოტივთან" მარცხის შემდეგ, „არმიას" თავისი ამბიციების საფუძვლიანობა რუსთავის „ხარებთან" მატჩში უნდა დაემტკიცებინა. არმიელებმა სტუმრებთან საასპარეზოდ საგრძნობლად შეცვლილი შემადგენლობა გამოიყვანეს და 23:17 მოიგეს.

„არმიას" რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა, ცხრა ნომერი **ბიძინა სამხარაძე**, მგეზავი **გიორგი ელიზბარაშვილი**, შუამარბი **მამუკა ნინიძე** და შერკინების კვაჭი **ჯაბა ბრეგვაძე** ტრავმირებულნი არიან. თუმცა არმიელებს იმდენად გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვთ, რომ მათი არყოფნა გუნდის თამაშს დიდად არ დასტყობია.

არმიელები პირველი ტაიმის 30 წუთის განმავლობაში უდიდეს სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ და ამ დროისთვის მეტოქეს 23:0-ს უგებდნენ. ანგარიში მე-12 წუთზე საჯარიმოთი მასპინძელთა შუამარბმა **რატი ნუცუბიძემ** გახსნა. მანვე რვა წუთში კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა - 6:0. სულ კი მის ანგარიშზე ამ შეხვედრაში 18 ქულაა (ერთი ლელო, ორი გარდასახვა და სამი საჯარიმო).

„ხარებმა", იმის მიუხედავად, რომ საკმაოდ გამოცდილი მორაგბეები - **პალიკო ჯიმშელაძე** და **კახაბერ უჩავა** დაიმატეს, თამაში ვერაფრით დაალაგეს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რუსთაველთა გუნდი, შარშანდელი ჩემპიონატის მეორე წრეში გაცილებით სოლიდურად გამოიყურებოდა.

24-ე წუთზე „არმიამ" სალელოვე შეტევა განახორციელა. დერეფნის მოგების შემდეგ არმიელებმა მოლი შეკრეს, მერე მორკინლებმა ოდნავ წინ წაიწიეს. წარმოქმნილი რაკიდან ცხრა ნომერმა **ალეკო ზაბახიძემ**, მარცხნივ, გრძელ ფრთაზე შეტევაში შერკინების ბურჯი **ზაზა ნავროზაშვილი** ჩართო, რომელმაც დაცვის ხაზი გაჭრა და ლელო გაიტანა. ნუცუბიძემ გარდასახა - 13:0.

ექვს წუთში თავი ისევ ნუცუბიძემ გამოიჩინა, მან მეტოქის ათმეტრიან ხაზთან რუსთაველთა გარემარბის, **ლექსო მელიქიშვილის** გადაცემა ჩაჭრა და ლელომდე ირბინა. გარდასახვა თვითონვე დაარტყა - 20:0. ოთხ წუთში კი ამას საჯარიმოც მიუმატა და ანგარიშში სხვაობა კიდევ უფრო სოლიდური გახდა -23:0.

ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ „არმიამ" ამის შემდეგ თითქოს თამაში შეწყვიტა. მატჩის ბოლომდე მონაგარს ველარაფერი შემატა. „ხარებმა" ანგარიშში სხვაობის შემცირება პირველივე ტაიმში მოახერხეს. 36-ე წუთზე მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში დანიშნული საჯარიმო პალიკო ჯიმშელაძემ სწრაფად გაათამაშა, თვითონვე შეუტია და ბურთი ჩათვლის მოედანში გადადო. გარდასახვა თვითონვე დაარტყა - 7:23.

ტაიმის მიწურულს რუსთაველებმა საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს. კარში ამჯერად შუამარბმა **მიხეილ ნიკლაურმა** დაარტყა და ანგარიშში სხვაობა 13 ქულამდე შეამცირა. 10:23 - ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ თამაში ძალზე ერთფეროვანი და მოსაწყენი გახდა. „არმიამ", როგორც უკვე ვთქვით, ხეირიანი ვერაფერი მოიმოქმედა. მეტიც, მეტოქეს ანგარიშის შემცირებისა და მატჩის გადარჩენის საშუალება მისცა.

76-ე წუთზე „ხარებმა" კიდევ ერთი ლელო გაიტანა. ამ ეპიზოდში ბრწყინვალედ ითამაშა რუსთაველთა რვა ნომერმა **სოლომონ ქარუხნიშვილმა.** ჯიმშელაძემ გარდასახა - 17:23. დარჩენილ დროში, სტუმრებს მატჩის მოსაგებად ერთი გარდასახული ლელო სჭირდებოდათ. ეცადნენ კიდეც მიზნის მიღწევას, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს გუნდმა თავის დაცვა შეძლო და ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმა.

**II ტური**

ლოკომოტივი-ლელო 19:27

არმაზი-ყოჩები 33:17

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 2 | 2 | 0 | 0 | +53 | 4 |
| 2.ლელო | 2 | 2 | 0 | 0 | +32 | 4 |
| 3.ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 0 | +2 | 2 |
| 4.არმია | 2 | 1 | 0 | 0 | -4 | 2 |
| 5.არმაზი | 2 | 1 | 0 | 0 | -8 | 2 |
| 6.აკადემია | 2 | 1 | 0 | 1 | -14 | 2 |
| 7.ყოჩები | 2 | 0 | 0 | 2 | -20 | 0 |
| 8.ხარები | 2 | 0 | 0 | 2 | -41 | 0 |

**III ტური**

ლელო-არმია, აია-არმაზი, ყოჩები-ლოკომოტივი, ხარები-აკადემია

U-18

# რუსების მორიგი რბევა

საფრანგეთში დაწყებულ 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მეოთხედფინალში რუსი თანატოლები დიდი ანგარიშით 38:3 დაამარცხა. „პატარა ბორჯღალოსნებმა" მატჩის დასაწყისში საჯარიმოთი დაწინაურებულ მეტოქეს ექვსი ლელო გაუტანეს და წარმატების მიღწევის მცირედი შანსიც არ დაუტოვეს.

ჩვენი გუნდიდან ლელოები მიითვალეს **გიორგი ფრუიძემ** (ხარები), **თამაზ მჭედლიძემ** (არმია), **მერაბ შარიქაძემ** (აკადემია) და **მურაზ გიორგაძემ** (ვეფხვები). მეტოქის ჩათვლის მოედანში ორჯერ შეაღწია **გიორგი აფციაურმა** (თი ბი სი).

საქართველოს ნაკრები ნახევარფინალში იტალიელ თანატოლებს დაუპირისპირდება, რომელმაც მეოთხედფინალში პორტუგალია დაამარცხა 14:3.

**საქართველო-რუსეთი 38:3**

საქართველო (15-9) აფციაური, გიორგაძე, მჭედლიძე, შარიქაძე, ფრუიძე (პინაიშვილი 60), ტალახაძე (ბასილაია 36), ხუციშვილი. (1-8) თეთრაშვილი, ლომთაძე (ხიდეშელი 55), ახობაძე, სორდია, მჭედლიშვილი (მოსეშვილი 58), შუბითიძე (ნიკოლავა 68), ოლქიაშვილი, მარდალეიშვილი (ასათიანი 64).

6ლ: ფრუიძე, მჭედლიძე, შარიქაძე, გიორგაძე, აფციაური (2). 4გ: ხუციშვილი, მჭედლიძე, აფციაური (2).

**მეოთხედფინალი**

იტალია-პორტუგალია 14:3, ბელგია-გერმანია 11:28, შოტლანდია-რუმინეთი 65:3

**ნახევარფინალი. 19 აპრილი**

საქართველო-იტალია, შოტლანდია-გერმანია

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიური საქართველო 1952-2012

## ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება“.

ხუან ანტონიო სამარანჩი

### ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე

# 1952-1956

ოლიმპიურ სარბიელზე ქართველი სპორტსმენებისთვის წარმატებული გამოდგა 1952 წლის დებიუტი. ცხადია, ისეთი პატარა რესპუბლიკისთვის, როგორიც საქართველოა, უმძაფრესი კონკურენციის პირობებში საბჭოთა ნაკრებში 14 სპორტსმენის მოხვედრა უკვე უდიდესი წარმატება იყო. ეჭვს აღარ იწვევდა, რომ სპორტში საქართველომ მოწინავე რესპუბლიკის სახელი დაიმკვიდრა. ხოლო მას შემდეგ, რაც ჰელსინკიდან შინ სამი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ორიც ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდნენ ქართველი ათლეტები, სპორტი ჩვენში საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. იმსახურებდა კიდეც: საქართველოს სპორტსმენებმა ჰელსინკში ქულათა უფრო მეტი რაოდენობა მოაგროვეს, ვიდრე საბერძნეთის, ესპანეთის, ირლანდიის, პორტუგალიის, მექსიკის, ურუგვაის, პაკისტანის, ვენესუელისა და სინგაპურის სპორტულმა დელეგაციებმა ერთად.

დაიწყო თავდადებული მზადება მომდევნო 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშებისთვის. ბავშვთა სპორტიდან დაწყებული სტუდენტურით დამთავრებული დაიხვეწა სპორტული მოძრაობის ერთიანი სისტემა. გაჩნდა ახალი კომპლექსური სპორტული შეჯიბრებები. ამაღლდა ეროვნული ჩემპიონატების დონე. დასაბამი მიეცა უდიდეს ასპარეზობებს — მოსწავლეთა და ხალხთა საკავშირო სპარტაკიადებს, რომლებსაც წინ უსწრებდა რესპუბლიკური შეჯიბრებები. ამ ღონისძიებებმა განამტკიცა თაობათა შორის უწყვეტი კავშირი და უზრუნველყო ოლიმპიელთა აღზრდა-დაოსტატების მემკვიდრეობითობა.

საქართველოში იმ პერიოდში დიდი ყურადღება ეთმობოდა სპორტის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რასაც თავს შესანიშნავად ართმევდა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი, სპორტის მეცნიერება კი აღმავლობის გზაზე გაიყვანა ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა.

სპარტაკიადებისთვის საქართველოს სპორტსმენთა წარმატებით მომზადებას სამთავრობო დონეზე მომუშავე საორგანიზაციო კომიტეტები ხელმძღვანელობდნენ. მთელი ამ მუშაობის შედეგები მკაფიოდ აისახებოდა საქართველოს ოლიმპიურ სარკეში.

### ეს საინტერესოა

# მასპინძელი — მხოლოდ ქალაქი!

ოლიმპიური ქარტიის თანახმად, თამაშების გამართვის უფლება ენიჭება ქალაქს და არა ქვეყანას. მას ირჩევს სოკ-ის სესია. კონკურენცია იმდენად დიდია, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად კენჭისყრის რამდენიმე ტური ინიშნება. კანდიდატი ქალაქი განაცხადთან ერთად სოკ-ს წარუდგენს შესაბამის ოლიმპიური კომიტეტის დასტურს (თუ კანდიდატურას ქვეყნის რამდენიმე ქალაქი წამოაყენებს, ერთ-ერთ მათგანს ეოკ-ი ირჩევს) და ქვეყნის მთავრობის საგარანტიო წერილს, რომ ქვეყანა დაიცავს ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნებს. თავის მხრივ, ქალაქის შესაბამისი ორგანოები წერილობით განაცხადებენ, რომ ეთანხმებიან სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ კანდიდატი ქალაქებისთვის წაყენებულ პირობებს, პატივს სცემენ საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ოლიმპიურ ტექნიკურ ნორმებს. აუცილებელია აგრეთვე ფინანსური გარანტიების წარდგენა. გარანტიების მიცემა შეუძლია ქალაქს, აგრეთვე, ადგილობრივ, რეგიონალურ ან ეროვნულ ორგანიზაციებს, სახელმწიფოს ან მესამე მხარეს.

სოკ-ის პრეზიდენტი ნიშნავს შემფასებელ კომისიას (ცალ-ცალკე ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის), რომლის შემადგენლობაშიც შედიან სოკ-ის, საერთაშორისო სპორტული ფედერაციებისა და ეოკ-ების წარმომადგენლები. სოკ-ის სესია იხილავს კომისიის მოხსენებას და აწყობს ფინალურ კენჭისყრას ოლიმპიური თამაშების გახსნამდე არაუგვიანეს 7 წლით ადრე. ქალაქის არჩევისთანავე სოკ-ი, მასპინძელი ქალაქი და ქვეყნის ეოკ-ი დებენ ხელშეკრულებას. ოლიმპიური თამაშების პერიოდში სოკ-ის თანხმობის გარეშე მასპინძელ ქალაქში და შეჯიბრების სხვა ადგილებზე რაიმე მნიშვნელოვანი ეროვნული თუ საერთაშორისო ხასიათის ღონისძიების გამართვა არ შეიძლება. ყველა შეჯიბრება უნდა ჩატარდეს მასპინძელ ქალაქში, გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ სოკ-ის ნებართვით. გამონაკლის ან აუცილებელ შემთხვევაში, სოკ-ის გადაწყვეტილებით, შეიძლება ზამთრის ოლიმპიური თამაშების ზოგიერთი შეჯიბრების გადატანა მოსაზღვრე ქვეყანაში.

### თქვენთვის, ერუდიტებო!

**ვიქტორინა**

**ექცევა XVII ოლიმპიურ თამაშებს**

**1. სად ჩატარდა მელბურნის შემდეგ მომდევნო ოლიმპიური თამაშები 1960 წელს?**

ა — ტოკიოში
ბ — რომში
გ — მეხიკოში

**2. დაასახელეთ 1960 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი საქართველოდან მძლეოსნობაში**

ა — ვიქტორ სანეევი
ბ — ჩემპიონი არ გვყოლია
გ — რობერტ შავლაყაძე

**3. ჩამოთვლილი წყალბურთელებიდან რომელი არ არის XVII ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი?**

ა — გივი ჩიქვანაია
ბ — ნოდარ გვახარია
გ — ლერი გოგოლაძე

**4. შედიოდა თუ არა XVII ოლიმპიური თამაშების პროგრამაში რაგბი?**

ა — შედიოდა
ბ — არ შედიოდა
გ — შედიოდა როგორც საჩვენებელი პროგრამა

**5. საქართველოდან რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა 1960 წლის ოლიმპიურ თამაშებში?**

ა — 10
ბ — 12
გ — 14

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-ა

### საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე



**გივი კარტოზია.** დაიბადა 1929 წლის 30 მარტს, ქ. ბათუმში. ოლიმპიური ჩემპიონი (1956) და მესამე პრიზიორი (1960), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1953, 1955, 1958); მსოფლიო თასის მფლობელი (1956); სტუდენტთა მსოფლიო თამაშების გამარჯვებული (1961); სსრ კავშირის ჩემპიონი (1952-1955), მეორე (1956) და მესამე (1950, 1951) პრიზიორი. სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის და სეოკ-ის ოლიმპიური ორდენების კავალერი (გარდაცვალების შემდეგ). გარდაიცვალა 1998 წელს, დაკრძალულია ქ. თბილისში.

**მსოფლიოს ჩემპიონი გრიგორ გამარნიკი წერს:**

„ბევრი დიდი მოჭიდავე გაუზრდია საქართველოს. გივი კარტოზია ყველაზე ნათელი პიროვნებაა მათ შორის. კვარცხლბეკზე ახალი ჩემპიონები ავიდნენ. ზოგიერთ მათგანს უფრო მეტი ჯილდოც აქვს. მაგრამ საქართველოში კარტოზიას დღესაც №1 მოჭიდავეს უწოდებენ. გ. კარტოზია ქართული ჭიდაობის დროშაა“.



**მირიან ცალქალამანიძე.** დაიბადა 1927 წელს, სოფ. კონდოლში (თელავის რ-ნი). ოლიმპიური ჩემპიონი (1956); მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლისა (1957) და ბრინჯაოს (1954) პრიზიორი; მსოფლიოს თასის (1956) ვერცხლის მედალოსანი, მსოფლიო სტუდენტთა (1954) და ახალგაზრდობის საერთაშორისო სპორტული თამაშების (1955) ჩემპიონი, სსრ კავშირის (1954) და ხალხთა სპარტაკიადის (1956) გამარჯვებული, სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი (1955). სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და სეოკ-ის ოლიმპიური ორდენის კავალერი (გარდაცვალების შემდეგ). გარდაიცვალა 2000 წელს, დაკრძალულია ქ. თელავში.

# წლები და შედეგები

## ოლიმპიადა: XVI, 1956 წ. მელბურნი

***I ადგილი:* გივი კარტოზია** - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (საშუალო წონა); **მირიან ცალქალამანიძე** - თავისუფალი ჭიდაობა (უმძიმესი წონა)

***III ადგილი:* ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი** - მძლეოსნობა (სიგრძეზე ხტომა); **ვახტანგ ბალავაძე** - თავისუფალი ჭიდაობა (73); **გიორგი სხირტლაძე** - თავისუფალი ჭიდაობა (79); **ბორის ნიკიტინი** - ცურვა (ესტაფეტა 4X200); **ნოდარ გვახარია** - წყალბურთი; **რომან ძნელაძე** - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (62)

***ექვსეულის მიღმა დარჩნენ:* იური ოსიპოვი** - ფარიკაობა (რაპირა, პირადი)); **რევაზ ცირეკიძე** - ფარიკაობა (დაშნა, ნახევარფინალი - V ადგილი, გუნდური - ნახევარფინალი)

სულ მედალი - 8: ოქრო-2, ბრინჯაო-6. მონაწილე - 10.

### გაზეთი მემატიანე

# ლელო და ლელოელები

**„ლელოს“ ისტორია განუყოფელია ქართული სპორტის ისტორიისგან.**

**ვაგრძელებთ „ლელოს“ ვეტერანი მუშაკის თენგიზ გიორგაძის მოგონებების ციკლს „ლელოსა“ და ლელოელებზე.**





## პირველი რედაქტორი

„ლელოს პირველი რედაქტორი **მიხეილ კაკაბაძე** (1921-1983) დიდად ერუდირებული და ენერგიული ჟურნალისტი იყო. იგი ორჯერ — 1949-1952 და 1964-1976 წლებში თავკაცობდა გაზეთს. ამ დროს ყველა ლელოელი მადლიერების გრძნობით იხსენებს. მაშინ ბევრი რამ „ლელოს“ საკეთილდღეოდ გაკეთდა. რედაქტორი თავგამოდებით იცავდა ქართული ენის სიწმინდეს. საგრძნობლად გაიზარდა გაზეთის ტირაჟი. მეგობრულმა, საქმისადმი ერთგულმა კოლექტივმა ჟურნალისტური წარმატებები განაპირობა. პირველად „ლელოს“ ისტორიაში სპეციალური საჭადრაკო ბიულეტენები (ოთხი ნომერი) მიეძღვნა **ნ. გაფრინდაშვილისა** და **ა. კუშნირის** მატჩს მსოფლიოს პირველობაზე, რომელიც 1969 წელს თბილისსა და მოსკოვში მოეწყო. ხშირად გაზეთის გვერდები თბილისში გამართულ დიდ ასპარეზობებსა და თვალსაჩინო სპორტულ მოვლენებს ეთმობოდა. აგრეთვე, ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიოს პირველობებს.

1959 წელს მიხეილ კაკაბაძისა და სხვა ცნობილი ჟურნალისტების თაოსნობით დაარსდა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია. 1991 წლის აპრილში შეიქმნა ამ ფედერაციის საქმიანობის გამგრძელებელი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია (პრეზიდენტად აირჩიეს ძველი ლელოელი **ელგუჯა ბერიშვილი**). 1992 წელს გაწევრდა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციაში.

1993 წელს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ პატივი მიაგო მიხეილ კაკაბაძის დიდ დამსახურებას ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკაში და მისი სახელობის პრემია შემოიღო.

1952 წელს მიხეილ კაკაბაძე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორად გადაიყვანეს. სამაგიეროდ, „ლელოში“ გამოცდილი ჟურნალისტი, მაგრამ სპორტის ნაკლებად მცოდნე **ერემია მახათაძე** (1916-1997) გამოგვიგზავნეს. ბუნებრივია, მას გაუჭირდა ლელოელებთან საერთო ენის გამონახვა და გაზრდილი სპორტული ცხოვრების ასახვა გაზეთის ფურცლებზე. ამიტომ 1953 წლის გაზაფხულზე „ლელოს“ რედაქტორად **ირაკლი უგულავა** (1915-1997) დანიშნეს.

ირაკლი უგულავა თერთმეტი წელიწადი უძღვებოდა „ლელოს“. ამ პერიოდში საგრძნობლად იმატა ქართველი სპორტსმენების მიღწევებმა საერთაშორისო სარბიელზე. საქართველოში გაჩნდნენ ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები. ქართველმა მოჭადრაკეებმა ხომ ქვეყანა აალაპარაკეს. „ლელოს“ ბიბლიოთეკის“ სერიით დაისტამბა რამდენიმე სპორტული წიგნი. გამოვიდა სპორტულ მოთხრობათა კრებული — „ისინდი“.

**თენგიზ გიორგაძე**

### შეკითხვა ლელოს

**შეკითხვა:** მაინტერესებს, წარადგინეს თუ არა ქალაქებმა 2020 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის განაცხადები. თუ წარადგინეს, რომელია ეს ქალაქები?

**მათე ცინცაძე**
თბილისი

**პასუხი:** 2020 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე განაცხადის წარდგენის ვადა წლეულს 1 სექტემბერს იწურება. ასე რომ, ჯერ მხოლოდ ზოგიერთი კანდიდატი ქალაქის ვინაობაა ცნობილი. ესენია: ბერლინი, პუსანა (სამხრეთი კორეა), კეიპტაუნი, დოხა, რომი და სტამბოლი. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა ტოკიოსაც სურს. შეგახსენებთ, რომ 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლაში ტოკიო რიო-დე-ჟანეიროსთან დამარცხდა.

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ /ზაურ ბოლქვაძე/

გაგრძელება ორშაბათობით

პროექტის ავტორია პელოპონესის უნივერსიტეტის ოლიმპიური აკადემიის ასპირანტი თორნიკე გაჩეჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

# მოგზაურობა ამერიკაში

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სერჯო სკარიოლო** ამერიკაში მოგზაურობს და იქ მოთამაშე ესპანელ ლეგიონერებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. იტალიელ სპეციალისტს სურს გაარკვიოს - ვისი იმედი უნდა ჰქონდეს წელს ევროპის ჩემპიონატზე.

სკარიოლო თავდაპირველად ლოს ანჯელესს სტუმრობდა, იქიდან კი ნიუ იორკში გაემგზავრა. ესპანელთა დამრიგებლის თქმით, არსებობს მოვლენათა განვითარების რამდენიმე ვარიანტი:

*„ბრწყინვალე იქნება, თუ ნაკრებში ვიხილავთ პაუ და მარკ გასოლებს, კალდერონსა და რუდი ფერნანდესს. ეს ყველაზე ოპტიმისტური სცენარია. ყოველ შემთხვევაში ეს ყველას უნდა. ბიჭები წინააღმდეგი არ არიან. თუმცა ვფიქრობ, სეზონის დასრულებას უნდა დაველოდოთ, რადგან ყველა მათგანს წინ პლეი ოფის გადამწყვეტი მატჩები აქვს“.*

შეგახსენებთ, რომ შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთს NBA-დან მხოლოდ **რუდი ფერნანდესი** და **მარკ გასოლი** დაეხმარნენ. **ხოსე კალდერონიც** ემზადებოდა ჩემპიონატისთვის, მაგრამ შეკრებაზე ტრავმა მიიღო.

ცნობილია, რომ ესპანეთის ნაკრებმა NBA-დან, შესაძლოა, კიდევ ერთი კალათბურთელი, „ოკლაჰომას“ კონგოელი ცენტრი **სერჟ იბაკა** დაიმატოს, რომელიც სულ მალე მიიღებს ესპანეთის პასპორტს. *„იბაკას უნდა ჩვენთან თამაში და ის დიდ დახმარებას გაგვიწევს. სერჟი ესპანეთში გაიზარდა - როგორც ადამიანი და როგორც კალათბურთელი. ეს მის მოტივაციას ამაღლებს. მაგრამ ჯერჯერობით ოფიციალურ დოკუმენტებს ველოდებით“*, - განაცხადა სკარიოლომ.

იბაკას ნატურალიზაციის შემთხვევაში, ლიტვაში ვერ ითამაშებს „რეალის“ ერთ-ერთი ლიდერი - ეთნიკური ჩერნოგორიელი **ნიკოლა მიროტიჩი**, რომლის წლევანდელმა პროგრესმა მთელი ევროპა განაცვიფრა. სკარიოლო ერთგვარად თავს იმართლებს და ამბობს, რომ არ ელოდებოდა 20 წლის მიროტიჩისგან ასეთ გარღვევას.

სამაგიეროდ, შემადგენლობაში მოინახება ადგილი **ხორხე გარბახოსასთვის**, ვისაც „რეალიდან“ დათხოვნის შემდეგ „უნიკახაში“ მეორე სუნთქვა გაეხსნა. *„ნაკრებში თამაშით ის დიდ რისკზე მიდის. თუმცა ბრწყინვალე სეზონი აქვს და ეს ნებისმიერ შემთხვევაში, უდიდეს პატივისცემას იმსახურებს“*, - ამბობს ევროპის მოქმედი ჩემპიონის დამრიგებელი.

■ ■ ■

NBA-ში ლეგიონერების სიმრავლით საფრანგეთიც გამოირჩევა და ამ ქვეყნის ნაკრების სამწვრთნელო შტაბსაც დიდი თავსატეხი ექნება საბოლოო შემადგენლობის დადგენისას. ჯერჯერობით მხოლოდ ერთმა კალათბურთელმა დაადასტურა ევრობასკეტზე სათამაშოდ მზადყოფნა. ეს გახლავთ „ნიუ იორკ ნიქსის“ ცენტრი **რონი ტურიაფი**. ფრანგმა უპასუხა ბოლოდროინდელ ჭორებს იმის შესახებ, თითქოს მან უარი თქვა საფრანგეთის ნაკრების ფორმის ჩაცმაზე.

*„ვერ მივხვდი, საიდან მოიტანეს ეს სულელური ცნობა. მზად ვარ ლიტვაში ნაკრებისთვის ვითამაშო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის“*, - ამბობს ტურიაფი.



როგორი იქნება ესპანეთის ნაკრები?

# ლიგის ახალი წინადადება

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მიმდინარეობს მოლაპარაკებები ლიგის ხელმძღვანელობასა და მოთამაშეთა პროფკავშირს შორის. მხარეები ცდილობენ თავიდან აიცილონ გაფიცვა, რომელიც მომავალი სეზონის გაუქმებას გამოიწვევს. ბოლო ინფორმაციის თანახმად, NBA-ის მმართველთა საბჭო უახლოესი ორი კვირის განმავლობაში წარუდგენს პროფკავშირს კოლექტიური ხელშეკრულების ახალ ვარიანტს. ეს იქნება პირველი კონტრშეთავაზება მას შემდეგ, რაც 2010 წლის დასაწყისში დაწუნებულ იქნა ორი პირველადი ვარიანტი.

*„მოსალაპარაკებლად დიდი დრო არ არის საჭირო. წინ კიდევ 75 დღეა გარიგების დასადებად. საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, იქნება თუ არა რაიმე პროგრესი მხარეებს შორის მოლაპარაკებების დროს“*, - განაცხადა ლიგის კომისრის მოადგილემ **ადამ სილვერმა**. თუმცა არც მან და კომისარმა **დევიდ სტერნმა** არ გაამხილეს ახალი ხელშეკრულების დეტალები.

მოთამაშეები კვლავინდებურად ითხოვენ საკალათბურთო შემოსავლებიდან 57-პროცენტიან წილს, ლიგა კი ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში ლიგის ოცდაათივე გუნდს არ მიეცემა მოგებაზე გასვლის საშუალება.

ლოკაუტის გამოცხადების შემთხვევაში, ორივე მხარის ჯამური ფინანსური დანაკარგი 300 მილიონი დოლარი იქნება.



დევიდ სტერნი

● NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი



# კინაღამ სენსაციები

ყველამ იცის, რომ პლეი ოფი მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგულარული ჩემპიონატის მატჩებისგან. ნებისმიერ გუნდს შეუძლია შემოგვთავაზოს სიურპრიზი, რაშიც წლევანდელი პლეი ოფის პირველივე დღეს დავრწმუნდით.

**აღმოსავლეთი**

**ჩიკაგო-ინდიანა 104:99**

**23:27, 28:28, 20:24, 33:20**

**ჩ**: როუზი (39+6 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), დენგი (18+10 მოხსნა), ბუზერი (12+6 მოხსნა), ნოა (10+11 მოხსნა+3 დაფარება).

**ი**: გრეინჯერი (24+6 მოხსნა), ჰენსბრო (22), კოლისონი (17+9 პასი+6 მოხსნა), ჰიბერტი (11+8 მოხსნა).

**სერია: 1-0**

თითქმის ყველა ანალიტიკოსი ამ სერიაში „ინდიანას“ „მშრალი“ ანგარიშით წაგებას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ „პეისერსმა“ კინაღამ პირველივე დღეს შემოგვთავაზა სენსაცია. სტუმრებმა ყურადღება არ მიაქციეს **დერიკ როუზის** აქტიურობას და თავიდანვე მოიპოვეს ინიციატივა. **გრეინჯერი** სამქულიანებს აგდებდა, **ჰენსბრო** ფარქვეშ იბრძოდა ჩვეულ სტილში, ხოლო **კოლისონი** უნარიანად უძღვებოდა თავისი გუნდის შეტევებს. „ინდიანას“ სტარტზე მოპოვებული უპირატესობა თითქმის ბოლომდე არ გაუშვია ხელიდან.

„ჩიკაგოსთვის“ ისიც მიღწევა იყო, რომ საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე მისი ჩამორჩენა სამ ქულას შეადგენდა. თუმცა იქვე, 57 წამის განმავლობაში ჰენსბრომ ზედიზედ შვიდი ქულა აიღო და თითქმის გადაწყვიტა მატჩის ბედი - 98:88 „ინდიანას“ სასარგებლოდ.

მაგრამ სტუმრებმა ვერ შეძლეს მატჩის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა. შეხვედრის დარჩენილ 218 წამში მათ თამაშიდან ერთი ბურთიც ვერ ჩააგდეს. **დენგმა, ნოამ** და როუზმა ზედიზედ ათი ქულა აიღეს და ანგარიში გათანაბრდა - 99:99. მატჩის გმირი კი **კორვერი** გახდა - თავიდან მან გარღვევაზე გასულ კოლისონს დაუფარა, 14 წამით ადრე კი როუზის პასი გამოიყენა და მატჩში თავისი მეოთხე სამქულიანი ჩააგდო, რომელიც გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა.

**მაიამი-ფილადელფია 97:89**

**19:31, 35:18, 26:20, 17:20**

**მ**: ბოში (25+12 მოხსნა), ჯეიმსი (21+14 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება), უეიდი (17+7 მოხსნა+5 პასი).

**ფ**: იანგი (20+11 მოხსნა), ჰოლიდეი (19+5 მოხსნა+5 პასი), ბრენდი (17+7 მოხსნა), უილიამსი (10).

**სერია: 1-0**

ასევე რთული გამარჯვება მოიპოვა „მაიამიმ“ „ფილადელფიას“ წინააღმდეგ. ფლორიდელებმა დებიუტი ჩააგდეს და პირველ შესვენებამდე 4 წუთითა და 11 წამით ადრე მათი ჩამორჩენა „სიქსერზთან“ 14 ქულას შეადგენდა.

მასპინძლებმა მეორე მეოთხედში გამოასწორეს სიტუაცია. მათ კარგად გაართვეს თავი „ფილადელფიას“ ერთ-ერთი ლიდერის - **ანდრე იგუოდალას** მეურვეობას და იმდენი შეცდომა დააშვებინეს, რამდენიც დანარჩენ ფილადელფიელებს ერთად ალებული ჰქონდათ. შესაბამისად, გასაკვირი არაფერი იყო იმაში, რომ მესამე მეოთხედის ბოლოსთვის სტუმრები 16 ქულას აგებდნენ. ინდიანელებს უჭირდათ **ჯეიმსის, უეიდისა** და **ბოშის** შეჩერება და ხშირად მათზე ჯარიმდებოდნენ - ამ სამეულმა თავისი ქულების 42 პროცენტი საჯარიმოს ხაზიდან დააგროვა: 33 ცდიდან 27 გამოიყენა.

თითქოს მატჩის დასასრული მშვიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯონსის სამქულიანის შემდეგ (ანგარიში გახდა - 88:75), მასპინძლების თამაში მოიშალა. მათი შვიდი შეცდომის წყალობით „ფილადელფია“ 12:0 გაიქცა. მაგრამ ინტრიგამ მხოლოდ 84 წამი იცოცხლა. მოედანზე დაბრუნებულმა ბოშმა და უეიდმა 6:0 საპასუხო გაქცევით ზედმეტი ნერვიულობა აარიდეს თავიდან „მაიამის“.

**ორლანდო-ატლანტა 93:103**

**19:17, 29:38, 23:30, 22:18**

**ო**: ჰოვარდი (46+19 მოხსნა), ნელსონი (26+7 მოხსნა).

**ა**: ჯონსონი (25+5 მოხსნა+5 პასი), კროუფორდი (23+5 პასი), ჰორფორდი (16+6 მოხსნა), სმიტი (15+8 მოხსნა).

**სერია: 0-1**

**დასავლეთი**

**დალასი-პორტლენდი 89:81**

**21:22, 26:15, 14:20, 28:24**

**დ**: ნოვიცკი (28+10 მოხსნა), კიდი (24+5 მოხსნა+6 პასი), ტერი (10).

**პ**: ოლდრიჯი (27+6 მოხსნა), მილერი (18+6 პასი), ბატუმი (14).

**სერია: 1-0**

დღის ტენდენცია გააგრძელა „პორტლენდმა“ და ამ წყვილში ფავორიტად აღიარებულ „დალასს“ დიდი პრობლემა შეუქმნა.

თანაბარი პირველი მეოთხედის შემდეგ მეორე 12-წუთეულში „მავერიქსს“ შედეგი მოუტანეს სათადარიგოებმა - **ტერიმ, მერიონმა, ჰეივუდმა** და **სტოიაკოვიჩმა**. მათი წყალობით „დალასი“ დიდ შესვენებაზე 10-ქულიანი სხვაობით წავიდა. ეს არ იყო გადამწყვეტი უპირატესობა, მაგრამ საფრთხეს „პორტლენდისთვის“ ნამდვილად წარმოადგენდა.

როგორც ჩანს, **ნეიტ მაკმილანმა** საჭირო სიტყვები მონახა თავისი შეგირდების გასამხნევებლად და ხანგრძლივი შტურმი, რომელიც **ბატუმმა, მილერმა** და **ოლდრიჯმა** მოაწყვეს, ბოლო მეოთხედის შუაში 72:66-ზე დასრულდა - წინ სტუმრები იყვნენ. ჩამორჩენის შემცირება თავის თავზე **დირკ ნოვიცკიმ** აიღო - ბოლო მეოთხედში თავისი გუნდის 14 ქულა სწორედ მან ჩაიწერა აქტივში. ასევე აუცილებლად უნდა გამოვყოთ 38 წლის ვეტერანი **ჯეისონ კიდის** თამაში - მისი ექვსი სამქულიანი და 24 ქულა გახდა მასპინძლების პირველი გამარჯვების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი.

# ნეში სანზში დარჩება

„ფინიქს სანზის“ ვიცე-პრეზიდენტმა **ლონ ბებიმ** განაცხადა, რომ მომავალი სეზონისთვის გუნდი სერიოზულად აპირებს შემადგენლობის გადახალისებას, მაგრამ ამასთან, არ აპირებს ვარსკვლავ ვეტერანთან **სტივ ნეშთან** გამოთხოვებას. ბებიმ დაადასტურა, რომ კანადელი გამთამაშებელი „სანზს“ ძალიან სჭირდება.

*„ამ სეზონმა გვიჩვენა, რომ შემადგენლობაში კარდინალური ცვლილებებია საჭირო. რა თქმა უნდა, მოგვიწევს რამდენიმე კალათბურთელთან გამოთხოვება, თუმცა ეს სტივ ნეშს არ ეხება.*

*პირველ რიგში, გვჭირდება ისეთი მოთამაშე, რომელიც სტივს დატვირთვებს შეუმსუბუქებს, რადგან ასაკის გამო მას აღარ შეუძლია გუნდის მარტო „თრევა“*, - განაცხადა ბებიმ.

წელს „ფინიქსი“ ვერ მოხვდა პლეი ოფში, რაც შეეხება ნეშს, ის რეგულარული ჩემპიონატის ლიდერი გახდა შედეგიანი გადაცემების რაოდენობით - 11.4.



სტივ ნეში

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი


სებასტიან ოჟიე

# ლოებმა წააგო და ლიდერი გახდა

რალიში მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი იორდანიაში გაიმართა და ეს რბოლა ლიდერებს შორის დროში მინიმალური სხვაობით შევა ისტორიაში: ფინიშზე პირველ და მეორე ადგილებზე გასულ პილოტებს შორის სხვაობა ორი მეათედი (!) წამი იყო.

იორდანიის რალის ბოლო დღე **სებასტიან ოჟიეს** ნახევარწუთიანი ლიდერობით დაიწყო. „სიტროენის" ახალგაზრდა ფრანგს ტაქტიკური ბრძოლა არ დაუწყია და შაბათს პირველივე სპეცმონაკვეთზე უპირატესობის გაზრდას შეეცადა, მაგრამ პირიქით გამოუვიდა: თავისი ჰანდიკაპის თითქმის ნახევარი გაფლანგა და მას ძალიან მიუახლოვდნენ „ფორდის" წევრი **იარი-მატი ლატვალა** და თანაგუნდელი **სებასტიან ლოები**.

ამასობაში, პოდიუმის შანსი დაკარგა **პეტერ სოლბერგმა**. ასევე რთულად ჰქონდა საქმე „ფორდის" მეორე პილოტსა და საერთო ჩათვლის ლიდერ **მიკო ჰირვონენს**. მართალია, ფინელმა ორი სპეცმონაკვეთი მოიგო, მაგრამ წინა დღეს წარმოქმნილი ტექნიკური პრობლემების გამო ორ წუთზე მეტს აგებდა ლიდერთან.

**კიმი რაიკონენისთვის** ამ დღის დასაწყისმა კარგად ჩაიარა: ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა თავისი „სიტროენით" შეინარჩუნა მეექვსე ადგილი, არადა **მეტიუ უილსონის** „ფორდისგან" დიდ ზეწოლას გრძნობდა.

ოჟიეს არ გამოუვიდა მშვიდად გამარჯვების მოპოვება. ბოლოსწინა სპეცმონაკვეთზე ლიდერობა ლატვალამ მოიპოვა. ოჟიეს თქმით, დრო იმის გამო დაკარგა, რომ გზაზე შემთხვევით გაუთვალისწინებელი ბარიერი შეხვდა და მის გვერდის ავლას მოანდომა გარკვეული დრო.

პირველი ადგილის ბედი ბოლო, ე. წ. „სატელევიზიო" სპეცმონაკვეთზე გაირკვა. ოჟიეს „სიტროენმა" ძალიან მაღალი ტემპი აკრიფა, მოიგო რბოლის ბოლო სეგმენტი, მოიპოვა სამი ბონუსქულა და საბოლოოდ ორი მეათედი წამით აჯობა ლატვალას! ეს უკანასკნელი მეორეზე გავიდა, მსოფლიოს ჩემპიონ ლოებს კი გარკვეული ტექნიკური პრობლემები შეექმნა, ამიტომაც რისკზე არ წავიდა და მესამე პოზიციის შენარჩუნება ამჯობინა. ჰირვონენმა წინა დღის პრობლემების ფონზე, ამჯერად დამაჯერებელი გამოსვლა აჩვენა და მეოთხე ადგილი დაიკავა. ამაში მას **პეტერ სოლბერგის** ავარიაც დაეხმარა.

სოლბერგის გავარდნით შეიძლება რაიკონენსაც ეხეირა, მაგრამ კიმიმ გარანტირებული მეხუთე ადგილი დაკარგა. ბოლოსწინა სპეცმონაკვეთზე ფინელმა ქვაზე საბურავი დააზიანა და საბოლოოდ წინ უილსონი გაუშვა, თვითონ კი მეექვსე პოზიციით დაკმაყოფილდა.

რალის შემდეგი ეტაპი 6-8 მაისს სარდინიაზე გაიმართება.

### IV ეტაპი. იორდანიის რალი

1. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 2:48.28,2; 2. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა") - +0,2; 3. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - +27,7; 4. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა") - +2.44,7; 5. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი") - +5.44,9; 6. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი") - +6.14,9; 7. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი") - +9.18,7; 8. **ხალიდ ალ-ქასიმი** (საემიროები, „ფორდი") - +9.43,7...

### საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 74 ქულა; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა") - 72; 3. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 69; 4. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა") - 66; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - 31; 6. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდ სტობარტი") - 28; 7. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი") - 22; 8. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი") - 18; 9. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი") - 12; 10. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - 10...

ჩოგბურთი

# მეფე ცოცხალია!

შაბათს მონტე კარლოს მასტერსზე ფინალისტები ირკვეოდნენ. დღის პირველ შეხვედრაში **დავიდ ფერერი** და **იურგენ მელცერი** ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამ სტადიაზე ესპანელის მოხვედრა არავის გაკვირვებია, ავსტრიელი კი ტურნირის მთავარი სენსაციის ავტორი გახდა, როცა მეოთხედფინალში **როჯერ ფედერერი** დაამარცხა. მელცერს ნახევარფინალში წარმატების იმედიც ჰქონდა, რადგან აქამდე ფერერს ორი შეხვედრა მოუგო, მათ შორის შარშანდელ როლან გაროსზე.

ავსტრიელმა თავის მეტოქეს უკანა ხაზიდან აგრესიული თამაში შესთავაზა, რის გამოც ფერერი ერთი პირობა ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა. უკვე პირველივე გეიმში იურგენმა სამი ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში იჩქარა და შანსი ვერ გამოიყენა. მიუხედავად ამისა, ფერერმა თავისი შემდეგი გეიმი მაინც წააგო და მელცერს წინ გასვლის საშუალება მისცა. მაგრამ ავსტრიელის სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. დავიდმა დარტყმების სიზუსტე გამოასწორა და სეტის მეორე ნაწილში უნებლიე შეცდომა აღარ ჰქონია. მელცერს კი პირიქით, ჩავარდნა დაეწყო და თითქმის ველარ იგებდა ქულებს. საბოლოოდ, ფერერმა ზედიზედ ხუთი გეიმი აიღო და სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:3.

მეორე პარტიის დასაწყისში იურგენმა თამაში გამოასწორა, ოღონდ მცირე ხნით. რამდენიმე ბრეიკ-პოინტის განიავების შემდეგ ავსტრიელმა ისევ დაიწყო შეცდომების დაშვება და იშვიათად აჩვენებდა გააზრებულ კომბინაციებს. ფერერმა იოლად მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე და პირველად გავიდა მონტე კარლოს მასტერსის ფინალში.

■ ■ ■

გაცილებით დიდ ინტერესს იწვევდა მეორე ნახევარფინალი, რომელშიც **რაფაელ ნადალი** და **ენდი მიურეი** ხვდებოდნენ ერთმანეთს. ეს მათი რიგით მე-14 დაპირისპირება იყო.

თებერვალსა და მარტში განცდილი ფიასკოს შემდეგ ენდი კარგად მოემზადა გრუნტის სეზონისთვის. **შტეპანეკთან, სიმონთან** და **ჟილთან** წინა ეტაპების მატჩებში ბრიტანელი ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდა და დამსახურებულად გავიდა ნახევარფინალში. გრუნტის მასტერსზე ეს მისი მეორე ამგვარი წარმატება იყო. პირველად სწორედ მონაკოში მოხვდა ამ სტადიაზე და მაშინ ნადალმა შეძლო მისი შეჩერება. ის მატჩი ორ სეტში დასრულდა, თუმცა ენდი ღირსეულად გამოიყურებოდა.

ბრიტანელმა ამჯერადაც დიდი ბრძოლა გაუმართა გრუნტის მეფეს. სასტარტო გეიმში საკუთარ მოწოდებაზე ნადალმა ზედიზედ ოთხი შეცდომა დაუშვა და მიურეის ბრეიკი მისცა. თუმცა რაფამ იქვე გამოასწორა შეცდომა და სულ მალე 4:1 დაწინაურდა. ამის შემდეგ მიურეის გარღვევის ჯერი დადგა. მან თითქმის გამორიცხა თავის თამაშში შეცდომები და ზედიზედ სამი გეიმი აიღო, აქედან ერთ-ერთი 15 წუთი გაგრძელდა. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ ენდიმ კონცენტრაცია დაკარგა, რაც ზედიზედ ორი გეიმისა და სეტის წაგებად დაუჯდა - 4:6.


ნადალი გრუნტის მეფეა

მიურეიმ მეორე სეტიც ბრეიკით დაიწყო და პირველისგან განსხვავებით, შეძლო ამ უპირატესობის შენარჩუნება, თუმცა ეს დიდ ძალისხმევად დაუჯდა. მეოთხე გეიმი მის მოწოდებაზე 19 წუთი გაგრძელდა და ნადალმა ამ დროის განმავლობაში ხუთი ბრეიკ-პოინტი გაანიავა. ამ გამოუყენებელი შანსის შემდეგ რაფას თამაში გაუფერულდა და როცა მიურეიმ ორმაგი ბრეიკით წაიყვანა ანგარიში (4:1), პარტიის ბედი გადაწყვეტილი იყო.

პირველ ორ სეტს ჩოგბურთელებმა ორსაათნახევარი მოანდომეს და როგორც აღმოჩნდა, მესამე პარტიაში საბრძოლველად მიურეის ძალები აღარ შერჩა. თანაც ისევ შეახსენა თავი მარჯვენა ხელის იდაყვის ტრავმამ. ამას ისიც დაემატა, რომ ნადალმა შეცდომების პროცენტი შეამცირა. საბოლოოდ, მესამე სეტში ბრძოლა არ შედგა - 6:1 და ესპანელმა მონტე კარლოს მასტერსის ზედიზედ მეშვიდედ მოგების შანსი მიიღო. აქამდე არავის არ მოუგია ATP-ის ტურნირი ზედიზედ შვიდჯერ.

■ ■ ■

როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალი დაძაბული გამოვიდა. თუ ფერერი ფორმაშია ნებისმიერი მეტოქის გამწარება შეუძლია, რაც ნადალის წინააღმდეგაც არაერთხელ გაუკეთებია.

პირველ სეტში მრავლად იყო ბრეიკ-პოინტები და არც ერთ ჩოგბურთელს არ ჰქონია თავის მოწოდებაზე განსაკუთრებული უპირატესობა. გადამწყვეტი მომენტი გახდა მეექვსე გეიმი რაფას მოწოდებაზე, სადაც მან ბრწყინვალე სტილში 0:40-დან გადაარჩინა გეიმი და განიმტკიცა ლიდერობა - 4:2. ამის მეტი ნადალს აღარ აუნერვიულებია თავისი გულშემატკივრები.

მეორე სეტის მესამე გეიმისთვის რაფაელს ბრეიკის გაკეთების ხუთი შესაძლებლობა ჰქონდა, ფერერს - არც ერთი, რაც ნადალის უპირატესობაზე მეტყველებდა. გასაკვირი არ არის, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი 3:1 გაიქრა წინ, მაგრამ 2:4-დან ფერერმა მოულოდნელად ინიციატივა იგდო ხელთ და ზედიზედ სამი გეიმი აიღო. თუმც რაფამ არათუ სეტის, არამედ პარტიის ტაი-ბრეიკამდე მიყვანის შანსი არ მისცა თანამემამულეს - 5:5-ზე მორიგი ბრეიკი გააკეთა, შემდეგ კი მატჩზე წარმატებით ჩააწოდა - 7:5.

ნადალმა ფერერთან მე-16 შეხვედრაში მეთორმეტედ მოიგო და გუშინდელი ფინალის შემდეგ რამდენიმე რეკორდი დაამყარა: ის გახდა ერთადერთი მოთამაშე ისტორიაში, ვინც ერთი ტურნირი ზედიზედ შვიდჯერ მოიგო, გარდა ამისა, ეს მისი მე-19 გამარჯვებაა მასტერსის სერიის ტურნირებზე, რაც აბსოლუტური რეკორდი გახლავთ.

### ATP
### Monte-Carlo Rolex Masters

მონტე კარლო. გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 2 227 500 ევრო

**1/2 ფინალი**

**დავიდ ფერერი** (ესპ, 4)-იურგენ მელცერი (ავსტრია, 7) 6:3, 6:2; **რაფაელ ნადალი** (ესპ, 1)-ენდი მიურეი (ბრიტ, 3) 6:4, 2:6, 6:1.

**ფინალი**

**რაფაელ ნადალი** (ესპ, 1)-დავიდ ფერერი (ესპ, 4) 6:4, 7:5.

ფორმულა 1

# მასა რენოში?

ბრიტანული ჟურნალი „ავტოსპორტი" ბრაზილიელი **ფელიპე მასას** მომავალი კარიერის შესახებ საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს. როგორც ირკვევა, მასა და მისი მენეჯერი **ნიკოლა ტოდტი** 2012 წლის სეზონისთვის სხვადასხვა გუნდთან კონტრაქტის შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ჭორების მიხედვით, „ფერარი" წინააღმდეგი არ არის ბრაზილიელის გაშვებაზე და მასას ახალ გუნდად სულ უფრო ხშირად „ლოტუს-რენო" სახელდება.

„ლოტუს ჯგუფის" აღმასრულებელი დირექტორი და თანამფლობელი **დენი ბაჰარი** ადრე მასასთან ერთად „ფერარიში" მუშაობდა და სურვილი აქვს ბრაზილიელთან ახალ გუნდში გააგრძელოს თანამშრომლობა. აშკარაა ინტერესი ფელიპეს მხრიდან - „ლოტუს რენოს" მანქანები წელს საკმაოდ კონკურენტუნარიანები არიან. **რობერტ კუბიცას** დაბრუნების საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის - ექიმები საბოლოო პასუხს შემოდგომის ბოლომდე არ იტყვიან, ასე რომ, ბრაზილიელმა შეიძლება **ნიკ ჰაიდფელდის** ადგილი დაიკავოს.

რაც შეეხება მასას შემცვლელს „ფერარიში", ამ ეტაპზე სახელდება **მარკ უებერისა** და **სერხიო პერესის** გვარები. საბოლოოდ ეს საკითხი სეზონის შუაში გაირკვევა.


ფელიპე მასა

ველორბოლა

# ლენსის ახალი სკანდალი

სააგენტო AP ერთ-ერთი იტალიელი ჩინოვნიკის ინფორმაციაზე დაყრდნობით სკანდალურ ცნობას ავრცელებს. ლეგენდარული ამერიკელი ველომრბოლი **ლენს არმსტრონგი** და სპორტიდან მოკვეთილი იტალიელი ექიმი **მიკელე ფერარი** ბოლო დროს არაერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. არადა, მათ შორის ოფიციალური თანამშრომლობა 2004 წელს შეწყდა. როგორც ირკვევა რამდენიმე შეხვედრა შარშანდელი ტურ დე ფრანსის წინ შედგა.

თუ სააგენტოს დავუჯერებთ, ბოლო რამდენიმე წელია ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი და ფერარი რეგულარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. შეხვედრის ადგილები იყო შვეიცარიული სამთო კურორტი სენტ მორიტცი და მონტე კარლო.

მიკელე ფერერის სკანდალური სახელი აქვს მსოფლიო სპორტში. შვიდი წლის წინ ის დამნაშავედ სცნეს სპორტსმენებისთვის აკრძალული პრეპარატების დანიშვნაში, გარდა ამისა, ეჭვმიტანილი იყო ველომრბოლებს შორის დოპინგის გავრცელებაში. 2007 წელს იტალიელი კიდევ ერთხელ მოხვდა დოპინგსკანდალში, რომელიც ცნობილი ყაზახი ველომრბოლის **ალექსანდრ ვინოკუროვის** სახელს უკავშირდება.

ამ ყველაფრის გამო ფერარიმ იტალიის ოლიმპიური კომიტეტისგან სამუდამო დისკვალიფიკაცია მიიღო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ლენს არმსტრონგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# ოთხი ფავორიტი გამოიკვეთა


დეტროიტი-ფინიქსი

გასულ ორ დღეს პლეი ოფის რვავე წყვილში გაიმართა მორიგი შეხვედრები და ოთხ დაპირისპირებაში გამოიკვეთა ფავორიტი - „ვაშინგტონმა“, „მონრეალმა“, „დეტროიტმა“ და „ვანკუვერმა“ თავიანთ სერიებში 2:0 წაიყვანეს ანგარიში.

### აღმოსავლეთი

**პიტსბურგი–ტამპა ბეი 1:5**

**0:3, 1:1, 0:1**

**გოლები:** 0:1 ბრიუერი-1 (საიმონ განიე-1, ჰედმანი-1), 0:2 ლეკავალიე-1 (საიმონ განიე-2, სენტ ლუისი-1), 0:3 ტომპსონი-1 (დაუნი-1, ბრიუერი-1), 1:3 კ. ადამსი-1 (ეშემი-1), 1:4 სენტ ლუისი-1 (საიმონ განიე-3, ბრიუერი-2), 1:5 ოლუნდი-1.

**სერია: 1:1**

პირველ მატჩში შესრულებული „შათაუტის“ შემდეგ „პიტსბურგის“ მეკარე **მარკ-ანდრე ფლერიმ** მეორე შეხვედრაში თავიდანვე ნოკდაუნი მიიღო - საწყის შვიდ წუთში ორი შაიბა გაუშვა, რასაც პირველი პერიოდის ბოლოს მესამეც დაემატა და 3:0-მა „ტამპას“ სასარგებლოდ განსაზღვრა კიდეც მატჩის შემდგომი ბედი.

სტუმრებმა ინიციატივა დაუთმეს მეტოქეს და კონტრშეტევებზე ააგეს თამაში, მაგრამ კვლავ **კროსბის** გარეშე მოთამაშე „პინგვინებმა“ მხოლოდ ერთი შაიბის გაქვითვა მოახერხეს - სხვა შემთხვევებში შესანიშნავად თამაშობდა მეკარე **როლოსონი**, რომელსაც იმ საღამოს 35 სეივი დაუგროვდა. ხოლო, როცა მეორე პერიოდის დასრულებამდე 14 წამით ადრე **სენტ ლუისმა** ანგარიში 4:1 გახადა, თამაშში ინტრიგა საბოლოოდ გაქრა.

„პიტსბურგმა“ შვიდი ცდიდან ვერცერთხელ ვერ გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა, სულ კი ამ სერიაში 13 ასეთი შანსი ჰქონდა და ჯერ ვერ გაათამაშა ზედმეტი ჰოკეისტი. აღსანიშნავია, რომ „ტამპამ“ პლეი ოფის გასვლით მატჩებში პირველად გაიტანა ხუთი გოლი. ასევე უნდა გამოვყოთ სტუმართა მოთამაშე **მატიას ოლუნდი** - მან ბოლო ორი წლის განმავლობაში პირველი გოლი გაიტანა NHL-ში.

**ვაშინგტონი–რეინჯერსი 2:0**

**0:0, 2:0, 0:0**

**გოლები:** 1:0 ჩიმერა-1 (მ. იოჰანსონი-1, ლეიჩი-1), 2:0 არნოტი-1 (მაიკ გრინი-1, ოვეჩკინი-1).

**სერია: 2-0**

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მოსაწყენი შეხვედრა - ჯამში ორივე გუნდის ჰოკეისტებმა მხოლოდ 40 ზუსტი დარტყმა შეასრულეს. უფრო კარგად მასპინძელთა გოლკიპერი **მიხალ ნოივირტი** გამოიყურებოდა - მან 22 დარტყმა მოიგერია და პლეი ოფში პირველად შეასრულა „შათაუტი“. ამ სერიაში ჩეხ მეკარეს 47-დან 46 დარტყმა აქვს მოგერიებული.

ყველაფერი კი მეორე პერიოდში გადაწყდა, როცა მასპინძელმა ორი წუთის ინტერვალით ორი გოლი შეუგდეს **პეტერ ლუნდკვისტს**.

**ფილადელფია–ბაფალო 5:4**

**3:3, 2:0, 0:1**

**გოლები:** 1:0 კ. ჟირუ-1 (ტიმონენი-1, ქობურნი-1), 1:1 ვანეკი-1 (გრანიანი-2, პომინვილი-1), 2:1 კარჩილო-1 (ვერსტიგი-1, მ. კარლი-1), 2:2 ვანეკი-2 (სტეფორდი-1, ტიმ კონოლი-1), 2:3 სეკერა-1 (კალეტა-1), 3:3 ვან რიმსდიკი-1 (კ. ჟირუ-1, მეზაროში-1), 4:3 ლეინო-1 (ტიმონენი-2, მეზაროში-2), 5:3 ბრიერი-1 (ჰარტნელი-1, მ. კარლი-2), 5:4 მაკორმიკი-1 (რ. ნიდერმაიერი-1, გრირი-1).

**სერია: 1-1**

გუნდებმა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყეს შეხვედრა და უკვე მე-13 წუთისთვის ხუთი შაიბა იყო გატანილი, აქედან სამი „ფილადელფიას“ რუსი მეკარი **ბობროვსკის** კარში, რომელიც იქვე შეცვალეს და თამაში **ბუშემ** გააგრძელა. ამ სვლამ გაამართლა - „ფლაიერზი“ გამოცოცხლდა და ანგარიში გაათანაბრა.

გადამწყვეტი მომენტი კი მეორე პერიოდის ბოლოს მასპინძლების მიერ გატანილი ორი გოლი გახდა - ზუსტად ერთწუთიან ინტერვალში **ლეინომ** და **ბრიერმა** გააწბილეს **მილერი**. „ბაფალომ“ მხოლოდ ის მოახერხა, რომ ერთი საპასუხო შაიბა გაიტანა, თუმცა შინ ეს გუნდი ერთი მოგებითა და შესაბამისად, საკუთარი მოედნის უპირატესობით ბრუნდება.

**ბოსტონი–მონრეალი 1:3**

**0:2, 1:1, 0:0**

**გოლები:** 0:1 კამალერი-1 (ვიშნიევსკი-1), 0:2 დერჩი-1 (კამალერი-1), 1:2 პ. ბერჟერონი-1 (მარჩანდი-1, რეკი-1), 1:3 ი. უებერი-1 (ელერი-1, ჰამრლიკი-1).

**სერია: 0-2**

„მონრეალმა“ მოულოდნელად ორი გასვლითი მოგებით დაიწყო ეს სერია. ისევე როგორც პირველ მატჩში, მეორეშიც „კანადიენსმა“ აქცენტი სწრაფ გოლზე გააკეთა და ამ გეგმამ ისევ გაამართლა, თანაც სტუმრებმა ორი შაიბა გაიტანეს.

ამის შემდეგ კანადელებმა მატჩის ბედი თავიანთ მეკარეს მიანდეს და **კორი პრაისმა** ისევ იყოჩაღა. მის კარში მხოლოდ ერთი გოლი გავიდა, ხოლო, როცა სხვაობა ისევ ორშაიბიანი გახდა, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ „მონრეალი“ ამ მატჩს აღარ დათმობდა.

### დასავლეთი

**ვანკუვერი–ჩიკაგო 4:3**

**1:0, 2:1, 1:2**

**გოლები:** 1:0 ჰანსენი-2 (დ. სედინი-1, ჰ. სედინი-1), 2:0 დ. სედინი-1 (ერჰოფი-1, კესლერი-2), 2:1 ბ. სმიტი-1 (ბიკელი-1, ბ. კემპბელი-1), 3:1 ედლერი-1 (ჰოჯსონი-1, ბაროუზი-1), 3:2 სტალბერგი-1, 4:2 დ. სედინი-2 (ჰამჰუისი-1), 4:3 ბ. სმიტი-2 (ფროლიკი-1, პ. კეინი-1).

**სერია: 2:0**

როგორც ჩანს, „ვანკუვერმა“ შეისწავლა წინ ორი წლის შეცდომები და ჯერჯერობით შანსს არ უტოვებს სტენლის თასის მოქმედ მფლობელ „ჩიკაგოს“. საქმე ისაა, რომ გასულ ორ სეზონში ამ გუნდების ორ სერიაში „ბლეკჰოქსმა“ შვიდიდან შვიდი გასვლითი შეხვედრა მოუგო „ვანკუვერს“.

მეორე მატჩის ბედი ორივე გუნდის ლიდერთა თამაშმა გადაწყვიტა. თუ ძმებმა **სედინებმა** ჯამში ხუთი ქულა (2+3) მოაგროვეს, „ჩიკაგოს“ მრისხანე წყვილი **ტეუვზი-კეინი** ერთი შედეგიანი პასით შემოიფარგლა. ამ სერიაში ამერიკული გუნდის სხვა წამყვანი ჰოკეისტებიც ვერ ბრწყინავენ - **მარიან ჰოსასა და პატრიკ შარპს** ჯერ ქულა არ აქვთ აღებული.

**ანაჰაიმი–ნეშვილი 5:3**

**2:0, 2:1, 1:2**

**გოლები:** 1:0 პერი-1 (ს. კოივუ-2, ვიშნოვსკი-1), 2:0 სელიანე-2 (ფაულერი-1, გეტცლაფი-1), 2:1 შ. უებერი-2 (ს. კოსტიცინი-1, ფიშერი-2), 3:1 რაიანი-1 (გეტცლაფი-2, ბოშემენი-1), 4:1 გეტცლაფი-1 (პერი-1, ბოშემენი-2), 4:2 ჰორნკვისტი-1 (შ. უებერი-1, ს. კოსტიცინი-2), 4:3 ჯ. უორდი-1 (ერატი-1, ლეგვანდი-1), 5:3 რაიანი-2 (ფაულერი-2, პერი-2).

**სერია: 1-1**

„პიტსბურგის“ მეკარე ფლერის მსგავსი ისტორია შეემთხვა „ნეშვილის“ გოლკიპერ **პეკა რინეს**. პირველ მატჩში „შათაუტის“ შემდეგ ფინელმა მეორე შეხვედრაში პირველი პერიოდის სტარტზე 38 წამის ინტერვალით ორი შაიბა გაუშვა და მასპინლებმა თავიდანვე სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს.

მეორე პერიოდში „იხვებმა“ გაზარდეს უპირატესობა და მესამე ოცწუთეულის წინ ტაბლოზე ასეთი ციფრები ეწერა - 4:1. მაგრამ „ნეშვილმა“ არ მისცა მეტოქეს მატჩის მშვიდად დასრულების საშუალება. 51-ე წუთისთვის სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა და სტუმრებს ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლოთ, მაგრამ საჭირო მომენტში „ანაჰაიმი“ **რეი ემერიმ** გადაარჩინა. ბოლო წუთზე კი **ბობ რაიანმა** ცარიელ კარში გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს „დაქსის“ ბრწყინვალე ტრიოს (**პერი, გეტცლაფი,** რაიანი) თამაში - მის ანგარიშზე ოთხი გოლი მოდის. თუმცა სერიის მესამე და მეოთხე მატჩში რაიანი ვერ ითამაშებს - მან უხეშობისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

**დეტროიტი–ფინიქსი 4:3**

**3:0, 1:1, 0:2**

**გოლები:** 1:0 დაციუკი-2 (ლიდსტრიომი-1, ბერტუცი-1), 2:0 რაფალსკი-2 (დაციუკი-1, ჰოლმსტრიომი-2), 3:0 ჰელმი-1 (დაციუკი-2, ლიდსტრიომი-2), 4:0 ჰოლმსტრიომი-1 (ფილპულა-2, დაციუკი-3), 4:1 ვრბატა-2 (დოუნი-2, იენდლი-1), 4:2 დოუნი-1 (ჰანჟალი-2, იენდლი-2), 4:3 დოუნი-2 (იენდლი-3, ვრბატა-1).

**სერია: 2-0**

ამ სერიაში „ფინიქსი“ მთავარ აქცენტს რუს მეკარე **ილია ბრიზგალოვზე** აკეთებს - ბევრი რამ გუნდში სწორედ ამ გოლკიპერზეა დამოკიდებული, მაგრამ ჯერჯერობით ის ვერ ამართლებს იმედებს. ამჯერად ბრიზგალოვს შავი დღე აყარა მისივე თანაგუნდელმა **პაველ დაციუკმა** - „დეტროიტის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ოთხივე გოლში მიიღო მონაწილეობა და ეს გამარჯვება მისი დამსახურებაა.

„ფინიქსმა“ 0:4-ის შემდეგ კინაღამ გადაარჩინა მატჩი, მაგრამ სტუმრებს თავიდანვე უნდა ეთამაშათ ასე აქტიურად და შესაძლოა, სხვა შედეგი მიეღოთ.

**სან ხოსე–ლოს ანჯელესი 0:4**

**0:2, 0:1, 0:1**

**გოლები:** 0:1 ჯ. ჯონსონი-1 (დაუტი-1, ჰანძუში-1), 0:2 დაუტი-1 (რ. სმიტი-2, ჯ. ჯონსონი-1), 0:3 დაუტი-2 (კლიფორდი-1, სკუდერი-1), 0:4 კლიფორდი-1 (რიჩარდსონი-1, დაუტი-2).

**სერია: 1-1**

„სან ხოსემ“ ძალიან აქტიურად დაიწყო შეხვედრა და თითქოს სწრაფი გოლი უნდა გაეტანა, მაგრამ მუდმივად მის შეტევებს „კინგზის“ მეკარე **ჯონათან კუიკი** ელობებოდა. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ვერ ბრწყინავდა „ზვიგენების“ მეკარე **ანტი ნიემი** - პირველ პერიოდში მას **ჯონსონისა** და **დაუტის** დარტყმების შემდეგ მოუწია საკუთარი კარიდან შაიბის გამოტანა.

საბოლოოდ, კუიკმა 34 დარტყმა მოიგერია და ამ პლეი ოფში პირველი „შათაუტი“ შეასრულა, ნიემის კი კიდევ ორჯერ გაუტანეს და გაათანაბრეს სერიაში ანგარიში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| სან ანტონიო-მემფისი | 98:101 |
| ლეიკერსი-ნიუ ორლეანი | 100:109 |
| **ევროლიგა** | |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| ბენეტონი-ცედევიტა | 57:59 |
| **ფინალი** | |
| უნიქსი-კახასოლი | 92:77 |
| **ესპანეთი** | |
| მენორკა-ვალენსია | 65:74 |
| კახა ლაბორალი-ბილბაო | 89:75 |
| ბარსელონა-ვალიადოლიდი | 77:53 |
| უნიკახა-ალიკანტე | 90:78 |
| ფუენლაბრადა-მანრესა | 55:54 |
| გრან კანარია-ხირონა | 79:74 |
| **იტალია** | |
| სასარი-რომა | 86:85 |
| ვარეზე-მილანი | 82:71 |
| ვანოლი-[illegible] | 88:95 |
| კაზერტა-აველინო | 75:83 |
| კანტუ-ბიელა | 82:77 |
| **გერმანია** | |
| ულმი-ოლდენბურგი | 86:91 |
| ტიუბინგენი-ბრემერჰავენი | 80:71 |
| გისენი-მიტლდოიჩე | 81:71 |
| ჰაგენი-არტლანდი | 93:99 |
| ბრაუნშვაიგი-ტრირი | 72:58 |
| სკაილაინერსი-ტელეკომ ბონი | 78:60 |
| ბამბერგი-ლუდვიგსბურგი | 88:61 |
| ჯაიანტსი-ბაიროიტი | 77:73 |
| **ჰოკეი** | |
| **NHL** | |
| რეინჯერსი-ვაშინგტონი | 3:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ბოლესლავი-სლოვანი | 4:1 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-ვოლფსბურგი | 5:4 |

## TV პროგრამა

**18 აპრილი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ტიგრე.
12:00 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-უდინეზე.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ბორუსია (მ).
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-ლორიანი.
18:00 იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ინტერი.
20:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. გოდოი კრუსი-არგენტინოს ხუნიორსი.
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-სარაგოსა (LIVE).
01:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ლაციო.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ლეიკერსი-ნიუ ორლეანი. I მატჩი.
14:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულონი-ტულუზა.
15:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. მიმოხილვა.
16:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. მაიამი-ფილადელფია. I მატჩი.
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. როჯერ ფედერერი-იურგენ მელცერი.
20:25 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ენდი მიურეი-ფრედერიკო ჟილი.
21:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. დავიდ ფერერი-ვიქტორ ტროიცკი.
23:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. რაფაელ ნადალი-ივან ლუბიჩიჩი.
00:35 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ლეიკერსი-ნიუ ორლეანი. I მატჩი.
03:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. მაიამი-ფილადელფია. II მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-სარაგოსა (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

16:40 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ნალჩიკი-ტომი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

05:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. ჩიკაგო-ინდიანა. II მატჩი (LIVE).

**SPORT+**

16:40 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ნალჩიკი-ტომი (LIVE).

**EUROSPORT**

13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. III დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
17:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. III დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. III დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. III დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
15:15 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. III დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
17:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. III დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. III დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

კრივი. სატიტულო ბრძოლები

# ახალი და ძველი ჩემპიონები

გასულ უქმეებზე ორი საინტერესო ბრძოლა გაიმართა პროფესიულ რინგზე. ორივე საჩემპიონო შეხვედრა იყო.

მანჩესტერში „MEN-არენაზე“ პირველ ნახევრადსაშუალო წონაში WBA-ის ჩემპიონმა **ამირ ხანმა** წარმატებით დაცვა ტიტული **პოლ მაკლოსკისთან** ბრძოლაში. ეს უკანასკნელი აქამდე დაუმარცხებელი იყო პროფესიულ რინგზე.

ბრძოლა გაცილებით აქტიურად და ხარისხიანად ჩემპიონმა ჩაატარა. მან უამრავი ზუსტი დარტყმა შეასრულა, ირლანდიელი მაკლოსკი კი ცუდად იცავდა თავს.

ხანის რამდენიმე ბრწყინვალე კომბინაციის შემდეგ ცხადი გახდა, რომ პრეტენდენტი სერიოზულ პრობლემებს ვერ შეუქმნიდა ჩემპიონს. ყველაფერი მეექვსე რაუნდში გადაწყდა - მოკრივეები ერთმანეთს თავებით შეეჯახნენ და მაკლოსკიმ მარცხენა თვალი დაიზიანა. მსაჯმა მიიჩნია, რომ ირლანდიელი ბრძოლას ვერ გააგრძელებდა და ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება ბრიტანელს მიანიჭა. იმ მომენტისთვის სამივე მსაჯს ხანის სასარგებლოდ ერთნაირი ანგარიში ჰქონდა დაფიქსირებული - 60:54.

■ ■ ■

ამერიკაში გამართულ ჩხუბში WBC-ის ტიტული ვერ შეინარჩუნა 27 წლის **ანდრე ბერტომ**. ასე რომ, ნახევრადსაშუალო წონას 24 წლის **ვიქტორ ორტისის** სახით ახალი ჩემპიონი ჰყავს.

მთელმა ბრძოლამ ორმხრივ იერიშებში ჩაიარა და ორივე მოკრივემ მოასწრო ნოკდაუნში მოხვედრა. გარკვეულ მომენტებში ჩემპიონი ძალიან აქტიური იყო და შეეძლო პრეტენდენტის ნოკაუტში გაგზავნა, მაგრამ ორტისმა გაუძლო ამ იერიშებს და საბოლოოდ, სამივე მსაჯმა უპირატესობა სწორედ მას მიანიჭა - 115:110, 114:112 და 114:111.

ოლიმპიზმი

# მონღოლური მედლები ლონდონისთვის

ლონდონის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ჟურნალისტებს გაუმხილეს, თუ რა მასალისგან იქნება დამზადებული ოლიმპიური მედლები.

2012 წლის ზაფხულის თამაშების ოქროს, ვერცლისა და ბრინჯაოს მედლები (სულ 4700 ცალი) დამზადდება წიაღისეულისგან, რომელსაც თავის მაღაროებში მოიპოვებს ერთ-ერთი უმსხვილესი სამთომომპოვებელი კორპორაცია - ბრიტანო-ავსტრალიური „რიო ტინტო“.

ორგანიზატორთა მონაცემებით, ისინი წიაღისეულს მიიღებენ ოიუ ტოლგვას ოქროსა და სპილენძის მაღაროდან, რომელიც მონღოლეთში მდებარეობს, აგრეთვე იუტას შტატში მდებარე სპილენძის მომპოვებული უმსხვილესი მაღაროდან. ადრე სწორედ კომპანია „რიო ტინტოს“ მიერ მიწოდებული წიაღისეულისგან იყო დამზადებული მედლები 2002 წელს სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის თამაშებზე.

ამჟამად მიმდინარეობს მედლის დიზაინზე მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ჩინეთის გრან-პრი

# ფეტელი ლუისმა შეაჩერა



ფეტელმა ჰემილტონს მიულოცა

**სებასტიან ფეტელის** მიერ მოპოვებული ზედიზედ მესამე პოულის შემდეგ ბევრს გაახსენდა ის სეზონები, როცა **მიხაელ შუმახერი** დომინირებდა მსოფლიოს ჩემპიონატში და ტიტულისთვის ბრძოლას აზრი ეკარგებოდა. პირველ ორ რბოლაში „რედ ბულის" პილოტმა კარგად გამოიყენა ეს უპირატესობა, მაგრამ ზედიზედ მესამედ გერმანელმა სტარტის მოგება ვერ მოახერხა და ორი „მაკლარენი" წინ გაიჭრა. **ჯენსონ ბატონი** დამაჯერებლად გადავიდა პირველ ადგილზე, **ლუის ჰემილტონმა** კი ფეტელთან დაძაბულ ბრძოლაში მაინც მოიპოვა მეორე პოზიცია. უფრო მეტიც, მსოფლიოს ჩემპიონი კინალამ მესამე პილოტმაც ჩამოიტოვა, თუმცა სებმა ბოლო მომენტში წინ არ გაუშვა **ნიკო როსბერგი** („მერსედესი"). **ფელიპე მასამ** („ფერარი") კი უკვე ტრადიციულად სტარტზე თანაგუნდელ **ფერნანდო ალონსოს** გაუსწრო.

■ ■ ■

ფეტელს წარუმატებელი სტარტის გამო არ უნაღვლია და დაელოდა იმ მომენტს, როცა „მაკლარენის" პილოტების ბოლიდებზე საბურავები გამოუსადეგარი გახდა: „რედ ბულის" ლიდერმა ჰემილტონს ტრასაზე გაუსწრო, ბატონს - უფრო წარმატებული პიტსტოპის ხარჯზე. პრინციპში, იმ მომენტში დამნაშავე თავად ბატონი იყო, რომელიც პიტლეინზე შეცდომით „რედ ბულის" მექანიკოსებთან შევიდა (!!!), რითაც გვარიანად შეაშინა ავსტრიული და საკუთარი გუნდის ტექნიკური პერსონალი.

საერთოდ, საკუთარ პიტსტოპებამდე „მაკლარენის" წევრები ისე ნელა მოძრაობდნენ, რომ მალე ამ დუეტს დაეწია მასასა და ალონსოს წყვილი. საბოლოოდ, პირველი გაჩერების შემდეგ ბრაზილიელმა ერთი ხელის მოსმით გაუსწრო ბატონსაც და ჰემილტონსაც. კიდევ უფრო უცნაური ამბები ხდებოდა წინ: პირველი პიტსტოპების შემდეგ ლიდერი არა ფეტელი, არამედ როსბერგი გახდა! ნიკო რბოლის პირველ ნაწილში ბევრით არ ჩამორჩენილა „მაკლარენის" დუეტსა და ფეტელს, ადრე გაემართა საბურავების შესაცვლელად და ამის წყალობით პელოტონის სათავეში მოექცა. უფრო მეტიც, ამ წარმატებით გამხნევებული გერმანელი სიჩქარითაც დიდად არ ჩამოუვარდებოდა მრისხანე „რედ ბულს".

საერთო ჯამში, ძალიან მალე ცხადი გახდა, რომ ლიდერები ვერ გარკვეულიყვნენ ტაქტიკის შესახებ: ორი თუ სამი პიტსტოპი, ბოქსებში ნაადრევად შესვლა თუ გვიან... სიტუაცია ფაქტობრივად ყოველ წრეზე იცვლებოდა და სისწრაფეში უპირატესობა ერთი მეტოქიდან მეორეზე გადადიოდა. ერთი მომენტი ისე ჩანდა, გამარჯვებასთან ყველაზე ახლოს როსბერგი იყო, შემდეგ იგივე აზრი მასას მიმართ გაჩნდა, მოგვიანებით ფეტელისა და „მაკლარენების" ჯერი დადგა... აბსოლუტურად არეული სიტუაცია იყო.

რაც შეეხება წინა ორი ეტაპის კიდევ ერთ ლიდერს - „ლოტუს-რენოს", მათ გვიან შეასრულეს პირველი პიტ-სტოპი, რითაც შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ისინი ორ პიტსტოპზე მიდიოდნენ. თუმცა ეს ეჭვი არ გამართლდა **ნიკ ჰაიდფელდთან** მიმართებაში, რომელმაც მეორედ მექანიკოსებთან ადრე შეუხვია, **ვიტალი პეტროვი** კი აშკარად ორ პიტსტოპზე მიდიოდა და წინასწარი გათვლებით ქულათა ზონში უნდა შესულიყო. საბოლოოდ ასეც მოხდა - რუსმა ორი ქულით შეავსო საერთო ჩათვლაში საკუთარი მარაგი.

■ ■ ■

დავუბრუნდეთ ლიდერებს. პიტსტოპების მეორე ტალღის შემდეგ წინ როსბერგი დარჩა, რომელიც უსწრებდა „მაკლარენის" წყვილს. თავის მხრივ, ბატონმა და ჰემილტონმა ნაადრევად გამოცვალეს საბურავები და ამით მასას გასწრება მოახერხეს. რაც შეეხება ფეტელს, მან მეორე პიტსტოპი ძალიან გვიან შეასრულა, რითაც ყველას მიანიშნა, რომ ბოქსებში შესვლას აღარ აპირებდა. გასარკვევი ის იყო, რამდენად გაუძლებდა საბურავი და როგორ შეიცვლებოდა სხვაობა კონკურენტებთან. იგივე კითხვები ისმოდა მასასთან მიმართებაში.

მესამე პიტსტოპის შემდეგ როსბერგი ტრასაზე პირდაპირ ჰემილტონის წინ დაბრუნდა - ისინი მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ, რბოლის სათავეში კი ფეტელი და მასა იყვნენ. როსბერგისა და ჰემილტონის დუეტი სულ მცირედით ჩამორჩებოდა მასას, ვისაც უფრო ახალი საბურავი ჰქონდა. იქვე ნიკოს რადიოთი შეატყობინეს, რომ, შესაძლოა, საწვავი ფინიშამდე არ ჰყოფნოდა... და შეტევების მთელი სერიის შემდეგ ლუისი მაინც წინ გაიჭრა.

■ ■ ■

რბოლის დასრულებამდე 15 წრით ადრე ლიდერთა მდგომარეობა ასეთი იყო: ფეტელი და მასა ლიდერობდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ მესამე პიტსტოპს თავიდან აიცილებდნენ, ბრაზილიელს უახლოვდებოდა ჰემილტონი, როსბერგზე იერიშის მიტანას აპირებდა ბატონი. ალონსოს არავინ აწუხებდა მეექვსე პოზიციაზე (ესპანელი პიტსტოპების შემდეგ ტრაფიკში ხვდებოდა და მისი ჩამორჩენა ამით აიხსნებოდა), მის უკან კი **მარკ უებერი** („რედ ბული") მიდიოდა: ავსტრალიელმა მე-18 პოზიციიდან აილო სტარტი, სამი პიტსტოპი შეასრულა და ძალიან წაიწია წინ. უფრო მეტიც, ფინიშთან ახლოს „რედ ბულის" პილოტი კოსმოსურ სიჩქარეს აჩვენებდა (1.39 კონკურენტების 1.41-ის წინააღმდეგ) და ოპერატიულად მიუახლოვდა ალონსოს. მეექვსე ადგილისთვის ბრძოლა არ ყოფილა - მარკმა უბრალოდ გვერდი აუარა ფერნანდოს.

კარგად მიჰყავდა რბოლა **მიხაელ შუმახერს** („მერსედესი"): ბრწყინვალე სტარტის შემდეგ გერმანელს მოძრავ ანტიფრთასთან დაკავშირებით პრობლემა შეექმნა და ამის მიუხედავად, დამაჯერებლად ინარჩუნებდა მერვე ადგილს. ქულათა ზონის ბოლო ორი პოზიცია **პოლ დი რესტასა** („ფორს ინდია") და **კამუი კობაიაშის** („ზაუბერი") ეკავათ.

ჰემილტონმა როსბერგის გასწრების შემდეგ არ მოისვენა, სწრაფად დაეწია მასას და საკმაოდ ოპერატულად გაუსწრო ბრაზილიელს. შემდეგ კი ლუისმა არც ფეტელი დაინდო ლიდერობისთვის ბრძოლაში. ამასობაში, ბატონმა უკან ჩამოიტოვა როსბერგი და ასევე კვალში ჩაუდგა მასას - „მაკლარენი" ორმაგ პოდიუმს უმიზნებდა. და სულ მალე ბატონმა სამეულში შეაღწია. ბრაზილიელი კი ამით არ „დაკმაყოფილდა" და როსბერგიც და უებერიც გაატარა.

უებერი სასწაულებს ახდენდა და ყოველ წრეზე ორ წამს უგებდა ლიდერებს. ავსტრალიელმა მეორე ცდიდან გაუსწრო როსბერგს და მეოთხე ადგილზე გადავიდა, რაც ისედაც ბრწყინვალე შედეგი იყო. ნაკლებად სჯეროდა ვინმეს, რომ უებერი ბატონსაც გაუსწორდებოდა. მართალია, „მაკლარენი" გაცილებით ნელა მოძრაობდა, მაგრამ ფინიში სულ ახლოს იყო. და მაინც, პოდიუმზე სწორედ ავსტრალიელი ავიდა, რაც ამ რბოლის მთავარი გმირობა და სენსაცია იყო.

■ ■ ■

ჰემილტონმა კი პირველ გამარჯვებას მიაღწია სეზონში, პირველი პოდიუმი მოიპოვა უებერმა, აშკარა იყო „მერსედესის" პროგრესი (ორივე პილოტი ქულათა ზონაში მოხვდა)... სეზონი სულ უფრო საინტერესო ხდება.

*„ვფიქრობ, დღეს ჩვენ სწორად შერჩეული ტაქტიკა დაგვეხმარა, რომელიც ჯერ კიდევ კვალიფიკაციამდე დავგეგმეთ. ახალი რბილი საბურავები, როგორც ჩანს, უფრო დიდხანს ძლებდა, ვიდრე საბურავები მეტოქეების მანქანებზე. მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი: პიტსტოპები იყო იდეალური, მანქანა ბრწყინვალედ გამოიყურებოდა, მე კი საბურავებს ვუფრთხილდებოდი. საერთო ჯამში, სეზონში საუკეთესო რბოლა ჩავატარე - დაძაბული ბრძოლითა და ბევრი გასწრებით...*

*ნინ გრძელი სეზონია, გუნდი აგრძელებს დაძაბულ მუშაობას „რედ ბულთან" მაქსიმალურად ახლოს მისასვლელად. ვფიქრობ, რბოლის დროს ტემპი თითქმის ერთნაირი გვაქვს, მაგრამ კვალიფიკაციაში აშკარად ჩამოვრჩებით. ასე რომ, სამუშაო ბევრი გვაქვს",* - განაცხადა ჰემილტონმა, რომელსაც, სხვათა შორის, შარშან აგვისტოს შემდეგ არ ჰქონდა მოგებული ეტაპი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჩინეთის გრან-პრი. III ეტაპი

### შანხაი (56 წრე, 305.066 კმ)

| | |
|---|---|
| 1(3). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 1:36.58,226 |
| 2(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +5,198 |
| 3(18). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +7,555 |
| 4(2). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +10,000 |
| 5(4). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +13,448 |
| 6(6). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +15,840 |
| 7(5). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +30,622 |
| 8(14). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +31,026 |
| 9(10). ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო, რუსეთი) | +57,404 |
| 10(13). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) | +1.03,273 |
| 11(8). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | +1.08,757 |
| 12(16). ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო, გერმანია) | +1.12,739 |
| 13(15). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | +1.30,189 |
| 14(9). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | +1.30,671 |
| 15(11). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | 1 წრე |
| 16(19). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 1 წრე |
| 17(12). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) | 1 წრე |
| 18(17). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | 1 წრე |
| 19(20). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 2 წრე |
| 20(21). ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი, ბელგია) | 2 წრე |
| 21(22). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 2 წრე |
| 22(23). ვიტანტონიო ლიუცი (HRT F1, იტალია) | 2 წრე |
| 23(24). ნარაიან კართიკეიანი (HRT F1, ინდოეთი) | 2 წრე |
| 24(7). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 46 წრე |

### კონსტრუქტორთა თასი

1. რედ ბული - 105 ქულა; 2. მაკლარენი - 85; 3. ფერარი - 50; 4. ლოტუს-რენო - 32; 5. მერსედესი - 16; 6. ზაუბერი - 7; 7. ტორო როსო - 4; 7. ფორს ინდია - 4.

| | ავს | მალ | ჩინ | თურ 08.05 | ესპ 22.05 | მონ 29.05 | კან 12.06 | ევრ 26.06 | ბრიტ 10.07 | გერ 24.07 | უნგ 31.07 | ბელ 28.08 | იტა 11.09 | სინ 25.09 | იაპ 09.19 | ს. კორ 16.10 | ინდ 30.10 | ა-დაბი 13.11 | ბრა 27.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ფეტელი** (რედ ბული) | 25 | 25 | 18 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 68 |
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 18 | 4 | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 47 |
| **ბატონი** (მაკლარენი) | 8 | 18 | 12 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 38 |
| **უებერი** (რედ ბული) | 10 | 12 | 15 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 37 |
| **ალონსო** (ფერარი) | 12 | 8 | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 26 |
| **მასა** (ფერარი) | 6 | 10 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 24 |
| **პეტროვი** (რენო) | 15 | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 17 |
| **ჰაიდფელდი** (ლოტუს-რენო) | -- | 15 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 15 |
| **როსბერგი** (მერსედესი) | -- | -- | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 10 |
| **კობაიაში** (ზაუბერი) | -- | 6 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 7 |
| **მ. შუმახერი** (მერსედესი) | -- | 2 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 |
| **ბუემი** (ტორო როსო) | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 4 |
| **დი რესტა** (ფორს ინდია) | 1 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 |
| **სუტილი** (ფორს ინდია) | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 |